

დამხმარე მასალა სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის

გთავაზობთ დამხმარე რესურსს სამოქალაქო განათლებაში, რომელიც მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH nternational ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

რესურსის ავტორია ცენტრის თანამშრომელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ნინო ჭიაბრიშვილი, ხოლო კონსულტანტი სამოქალაქო განათლების ექსპერტი შალვა მეკრავიშვილი.

პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.



USAID
ამერიკელი ხალხისათვის

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE



დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასაგეგმად

მოქალაქეობა VIII კლასი

თემა: ადგილობრივი თვითმმართველობა

ავტორი: ნინო ჭიაბრიშვილი

კონსულტანტი: შალვა მეკრავიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2019 წელი.

დამხმარე რესურსი მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოცემული დამხმარე რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევით. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება ავტორს და ის არ წამოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოქალაქეობა

VIII კლასი

თემა: ადგილობრივი თვითმმართველობა	საათების სავარაუდო რაოდენობა – 17 (+4)
საკითხები 1. თვითმმართველობის არჩევნები; 2. ადრეული შეტყობინების სისტემა; 3. ურთიერთობა მუნიციპალურ ორგანოებთან.	
შემაჯამებელი სამუშაო - 4 საათი	
ცნებები სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები ინიციატივა - დაგეგმვა, პროექსია, ფინანსები სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება	
საკვანძო შეკითხვები • რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა? რა ევალუა მას? • რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად? • რატომ აქვს მოსახლეობას საკრებულოს სხდომებზე დასწრების უფლება? რატომ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება? • როგორ შემიძლია ჩემს თემში არსებული პრობლემების (მაგ., საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ეკოლოგიის) გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა? • რატომ უნდა იყვნენ თემში მცხოვრები ქალები და კაცები თვითმმართველობაში თანასწორად წარმოდგენილნი?	

აქტივობები
იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული საჭიროებების იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზების დასახვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13); • სათემო აქტივობების დაგეგმვისას მუნიციპალური ორგანოების როლის განსაზღვრა; საჭიროების შემთხვევაში, მათთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება); თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,10,12,13); • ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასებისას/მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ.საბ.1,3,4,10,11,12,13).
მკვიდრი წარმოდგენები • ლოკალური პრობლემების მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის (და არა ცენტრალური ხელისუფლების) ფუნქციაა; • თვითმმართველობასთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით ადგილობრივი პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა შეიძლება; • მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩევნების, დასახლების საერთო კრების, საკრებულოს სხდომაზე დასწრების, პეტიციებისა და სხვა საშუალებით მონაწილეობენ; • საკრებულო და მერია/გამგეობა ანგარიშვალდებულია მოქალაქეთა წინაშე.

ეტაპების/ნაბიჯების სახით სასწავლო თემის აგების ნიმუში

1. საკითხი: თვითმმართველობის არჩევნები (6 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ: რესურსების ყაირათიანად ხარჯვის მნიშვნელობას გარემოს დაცვისა და განვითარების თვალსაზრისით; მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისთვის; შეძლებენ გარემოს დაცვის მიმართულებით აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საკვანძო შეკითხვები:

მოქალაქეთა დასახლების რა კატეგორიები არსებობს?

როგორ მონაწილეობენ მოქალაქეები ქვეყნის მართვაში?

რა არის თვითმმართველობა?

რა როლი აქვს თვითმმართველობას ადგილობრივ დონეზე ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში?

როგორ პასუხობს ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივ საჭიროებებს?

როგორ იმართება თვითმმართველობის არჩევნები?

როგორ მონაწილეობენ მოქალაქეები თვითმმართველობაში?

თემატური ცნებები:

- თვითმმართველობა
- ადგილობრივი პრობლემები
- თვითმმართველობის არჩევნები
- მოქალაქეთა მონაწილეობა

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაფიქრდნენ და გაიხსენონ ოჯახის, სკოლის, სამეზობლოს, საზოგადოებისთვის გაწეული სამსახური. სთხოვს, იმსჯელონ:

რატომ გახდა საჭირო ეს სამსახური?

რა და როგორ შეიძლებოდა, განვითარებულიყო მათი მონაწილეობის გარეშე?

რამ განაპირობა/რატომ გადაწყვიტეს მონაწილეობა?

რას ფიქრობდნენ, სანამ მონაწილეობას გადაწყვეტდნენ?

რას ფიქრობდნენ მონაწილეობის შემდეგ?

როგორი იყო გარშემომყოფთა რეაქცია?

სთხოვს, გაიხსენონ და ისაუბრონ შეძენილ ცოდნაზე, საკუთარ ემოციებზე და დამოკიდებულებებზე.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ევროპის საბჭოს მიერ შექმნილ ანიმაციას [ერთხელ, უძველეს დროში – ადგილობრივი დემოკრატია](#) (Once upon a time, local democracy) და სთხოვს, იმსჯელონ ფილმში არსებულ პრობლემაზე, მისი გადაჭრის გზებზე, მონაწილე პერსონაჟებზე, მათ გადაწყვეტილებებზე. მოსწავლეები, ასევე, მსჯელობენ ფილმის სხვაგვარი დასასრულის სასურველობისა და/ან შესაძლებლობის, საზოგადოებაში ინდივიდის პასუხისმგებლობის, რაციონალური გადაწყვეტილების მიღების, სხვების დახმარების მნიშვნელობის, სამოქალაქო საზოგადოებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის და ა.შ. შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ და დაახასიათონ სამეზობლოში, სკოლაში, თემში არსებული რომელიმე პრობლემა; გაიხსენონ საკუთარი და სხვათა მოსაზრებები არსებული პრობლემის შესახებ: როგორ მოიქცნენ მოქალაქეები? სცადეს თუ არა პრობლემის გადაჭრა? როგორ დამთავრდა მცდელობები? რა ისწავლეს ამ გამოცდილებით? როგორ უნდა მოქცეულიყვნენ უკეთესი შედეგის მისაღებად?

აქტივობა

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ანიმაციურ ფილმს [ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა](#) (The Man Who Planted Trees). ფილმი ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან ჟიონოს ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით არის გადაღებული. ჩვენების შემდეგ დისკუსია იმართება აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე უფრო ხარისხიანი გარემოს შექმნის მიზნით. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობაზე, ადამიანის თვითმართვაზე, პასუხისმგებლობის როლზე ადამიანის პიროვნულ განვითარებაში, დადებითი მაგალითის ძალაზე საზოგადოების განვითარებისთვის.

აქტივობა

მასწავლებელი აცნობს/ახსენებს მოსწავლეებს დასახლების კატეგორიებს: სოფელი, დაბა, ქალაქი და მათ ძირითად თავისებურებებს. მოსწავლეებს სთხოვს, ინდივიდუალურად, სასურველი ფორმატით (ppt პრეზენტაცია, ნახატი, ფოტოალბომი,

ტექსტი და სხვ.) მოამზადონ ინფორმაცია დასახლების კონკრეტულ კატეგორიაზე და კლასს გაუზიარონ. ინფორმაცია, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- როდის გაჩნდა დასახლება?
- როგორ გაჩნდა დასახლება?
- რა ისტორიული ამბები არსებობს დასახლების შესახებ?
- ვინ იყვნენ პირველი მოსახლეები?
- რა საქმიანობას მისდევდნენ ისინი?
- როგორი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები აქვს დასახლებას?
- რამდენი მოსახლე/ოჯახი ცხოვრობს ამჟამად?
- როგორია მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა?
- როგორ ერთობა მოსახლეობა?
- რას საქმიანობენ თქვენი თანატოლები?
- რა ღირსშესანიშნაობა/ები აქვს დასახლებას?
- რას შეცვლიდით დასახლების ცხოვრებაში?
- მიამატეთ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც საინტერესოდ მიიჩნევთ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს ილია ჭავჭავაძის ფრაზას: „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“. სთხოვს, იმსჯელონ ფრაზაში მოყვანილი სიტყვების მნიშვნელობაზე: „კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“. ხაზს უსვამს სიტყვათა წყვილს „კეთილად დადგენილი“ და „ცხადად განსაზღვრული“.

მასწავლებელს შეუძლია, რესურსად გამოიყენოს მთლიანად წერილი [ცხოვრება და კანონი](#) და სხვადასხვა მიმართულებით მსჯელობა (შრომისმოყვარეობის მნიშვნელობა, უფლებები და მოვალეობები, დაწერილი და დაუწერელი კანონები, საზოგადოებრივი წესრიგი/შეთანხმება, სარგებელი, ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება და სხვ.) შესთავაზოს მოსწავლეებს.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს [ადგილობრივი თვითმმართველობის](#) განმარტებაზე: „საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია: საკრებულო და გამგეობა (მერია)“.

სთხოვს, იმსჯელონ ფრაზების: „მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა“, „მოაწესრიგონ და მართონ ... საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“; დაასახელონ, რა შეიძლება იყოს „ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“?

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ამონარიდს [ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან](#): „საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა (მუხლი 6, პუნქტი 2)“.

სთხოვს, იმსჯელონ მოქალაქეთა თანასწორი მონაწილეობის პრინციპის მნიშვნელობაზე ადგილობრივ თვითმმართველობაში; ასევე - თანასწორი მონაწილეობის მნიშვნელობაზე პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით.

ამ თემისათვის დამატებით რესურსად მასწავლებელს, შეუძლია, გამოიყენოს:

„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან“, თავი 1, „რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა“, გვ. 10–17;

„თანამშრომლობა ადგილობრივი სარგებლისთვის“, თავი 1, „პრობლემები საზოგადოებაში, დამოკიდებულება პრობლემებისადმი, გვ. 10–17;

„როგორ გავხდეთ აქტიური მოქალაქე“, თემა 2, „აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება“, გვ. 24–33.

საარჩევნო პროცედურების საკითხის სიღრმისეულად გააზრების სურვილის შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების ამომრჩევლის სამახსოვროს: <http://electionreforms.ge/res/docs/A2-Poster2019.pdf>

ასევე, შეუძლია, სურვილისა და საჭიროების შესაბამისად გააცნოს სასწავლო და საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალაც, რომელიც მოცემულია ბმულზე: <http://electionreforms.ge/geo/list/show/2659-2019-tslis-19-maisis-shualeduri-da-riggareshe-archevnebisvis-shemushavebuli-sastsavlo/sainformatsio-masalebi>

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება მათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთან ვიზიტის დაგეგმვაში და მისთვის სავარაუდო კითხვების მონახაზის შექმნაში. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსწავლეები პრეზენტაციას ამზადებენ და უზიარებენ კლასს/სკოლას.

ბ. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის ვიზიტს გეგმავენ სკოლაში ან თავად სტუმრობენ მას. საინტერესო საკითხების ჩამონათვალს (საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებიდან დაწყებული, პრაქტიკული ხასიათის შეკითხვებით დასრულებული) წინასწარ ამზადებენ. მოსმენილისა და ნანახის საფუძველზე მომზადებულ პრეზენტაციას შემდეგ სკოლის თემს უზიარებენ.

გ. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ადგენენ კითხვარს, რომლის საშუალებითაც ადგილობრივ პრობლემებს იკვლევენ. საჭიროების შემთხვევაში შემდეგი გეგმის შესაბამისად მოქმედებენ:

სიტუაციის ანალიზი;

საჭიროების შეფასება;

მიზნების დასახვა;

აქტივობების დაგეგმვა;

რესურსების განაწილება;

განხორციელება;

შეფასება.

დ. მასწავლებელი მოსწავლეებს სკოლის თვითმმართველობის იმიტირებული არჩევნების ჩატარებას სთავაზობს დამხმარე სახელმძღვანელოს გამოყენებით - „მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში“, თემა 5 - „როგორ ვირჩევთ სკოლის თვითმმართველობის ორგანოებს“, გვ. 86–112.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

2. საკითხი: ადრეული შეტყობინების სისტემა (5 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები ბუნებრივი საფრთხეებისა და კატასტროფების შესახებ ცოდნის მნიშვნელობას გაიაზრებენ და შეაფასებენ ადრეული შეტყობინების სისტემის როლს საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან საფრთხის შედეგების შესამცირებლად.

საკვანძო შეკითხვები:

რატომ არის საჭირო ბუნებრივი კატასტროფის შესახებ ცოდნა?

რა ბუნებრივი საფრთხეები არსებობს საქართველოში?

რა არის ადრეული შეტყობინების სისტემა?

როგორ უნდა გამოვიყენოთ ადრეული შეტყობინება საფრთხეში მყოფ მოქალაქეთა დასაცავად?

თემატური ცნებები:

- ბუნებრივი კატასტროფების არსი და გეოგრაფია
- ბუნებრივი საფრთხეები საქართველოში
- მოწყვლადობა
- ადრეული შეტყობინების სისტემა
- სისტემის გამართულობის მნიშვნელობა

აქტივობა

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს [საქართველოს ბუნებრივი კატასტროფებისა და რისკების გეოპორტალის](#) ვებგვერდს; სთხოვს, მონაცემთა ბაზების დახმარებით აირჩიონ ბუნებრივი კატასტროფის სასურველი სახეობა, ისტორიული პერიოდი და ვარაუდები წარმოადგინონ კატასტროფის გამომწვევი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორების შესახებ; იმსჯელონ, როგორ შეიძლება, მომავალში შევამციროთ ან თავიდან ავიცილოთ ადამიანური ფაქტორების გავლენა.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ინდივიდუალურად ან წყვილებში შეარჩიონ საქართველოში/მსოფლიოში მომხდარი რომელიმე ბუნებრივი კატასტროფა და მის შესახებ ინფორმაცია/პრეზენტაცია მოამზადონ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ინფორმაცია მოამზადონ კატასტროფათა კატეგორიების შესახებ [გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის](#) ვებგვერდისა და ნებისმიერი შესაბამისი რესურსის დახმარებით.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს „ადრეული შეტყობინების სისტემის“ განმარტებას და მის 4 ელემენტს: ადრეული შეტყობინების სისტემები ის საშუალებებია, რომელიც სისტემატურად გვაწვდის შესაბამის და დროულ ინფორმაციას კატასტროფის დადგომამდე, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება შევძლოთ.

არსებობს ადრეული შეტყობინების სისტემის 4 ძირითადი ელემენტი, რომელთა ეფექტურ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული სისტემის წარმატება:

- ✓ **რისკის შესახებ ცოდნა** გვადლევს რისკების შესახებ საბაზისო ინფორმაციას (საფრთხეები, მოწყვლადობა) და ამ დონეზე განსაზღვრავს პრიორიტეტებს.
- ✓ **მონიტორინგი** ლოგიკური თანმიმდევრული ქმედებებია, რომლის საშუალებით ვიგებთ რისკებისა და მოწყვლადობის დროში ცვლილებას.
- ✓ **რეაგირების უნარი** ყველა დონეზე საშუალებას გვადლევს, შევამციროთ რისკი მისი გამოვლენისა და გამოცხადების შემდეგ. შესაძლებელია, მოიცავდეს სეზონის დადგომამდე შემარბილებელ აქტივობებს, ევაკუაციას და სხვას, რაც დამოკიდებულია შეტყობინების დროზე.

- ✓ შეტყობინებათა კომუნიკაცია, რომლის მიზანია ინფორმაციის მონიტორინგის გადაქცევა ქმედით შეტყობინებებად მათთვის, ვისაც ის სჭირდება და მზად არის, გაიგოს.

ოთხივე ელემენტი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და, შესაბამისად, რომელიმეს წარუმატებლობას, შეიძლება, მთელი სისტემის წარუმატებლობა მოჰყვეს შედეგად.

მსჯელობა იმართება სისტემის ძირითადი ელემენტებისა და მათი ურთიერთკავშირის შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, [ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა](http://tbilisi.gov.ge/page/3188) (<http://tbilisi.gov.ge/page/3188>) და [ბორბონჩიას](http://borbonchia.ge/) (<http://borbonchia.ge/>) ვებგვერდზე გაეცნონ სტიქიური უბედურებების დროს სამოქალაქო უსაფრთხოების წესებს, შეარჩიონ მათთვის საინტერესო სტიქიური მოვლენა და ე.წ. „სამახსოვრო“ მოამზადონ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარებით ბუნებრივი კატასტროფების მიმართულების სპეციალისტთან გეგმავს შეხვედრას. შეხვედრამდე მოსწავლეები მათთვის საინტერესო თემების შესახებ ამზადებენ კითხვებს. სტუმარი მოსწავლეებს ბუნებრივი კატასტროფების შესახებ კანონმდებლობის დეტალებს გააცნობს და მათ შეკითხვებს უპასუხებს. შემდეგ იმართება დისკუსია ადრეული შეტყობინების სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებისა და მოგვარებაში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სამ წყაროს: [ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო–პროგრამა 2005–2015](#), [გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი](#), [საქართველოს ბუნებრივი კატასტროფებისა და რისკების გეოპორტალი](#) და სთხოვს, სურვილის შემთხვევაში, დამატებით მოიძიონ წყარო და მოამზადონ პრეზენტაციები, პოსტერები, ბროშურები, ინფოგრაფიკა, აპლიკაციის <https://learningapps.org/> გამოყენებით, სასურველი რესურსი რომელიმე სანიმუშო მიმართულებით:

ბუნებრივი კატასტროფები საქართველოში;

ბუნებრივი კატასტროფების მიმართ მოწყვლადი რეგიონები საქართველოში;

ადრეული შეტყობინების სისტემა;
ინფორმირებული და აქტიური მოქალაქის სამახსოვრო.

ბ. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ადგენენ კითხვარს და ბუნებრივი კატასტროფების შესახებ თემში გამოკითხვას ატარებენ; ანალიზებენ რესპონდენტების შეხედულებებს; ამზადებენ კრებულს „ბუნებრივი კატასტროფების მატთან“. გაწეული სამუშაოს შესახებ მომზადებულ პრეზენტაციას კი შემდეგ კლასს/სკოლას უზიარებენ.

გ. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს "იმედის" დილის გადაცემას [კოლხური ბზა გადაშენების პირასაა - რა უნდა გაკეთდეს ბზის შესანარჩუნებლად](#) და სთხოვს მოსწავლეებს, კოლხური ბზის გადარჩენის მათეულ გზებზე იმსჯელონ.

აცნობს „მოწყვლადის“ განმარტებას: მოწყვლადი = ის ვისი/რისი ტკენა, ვისზე/რაზე გავლენა/დაზიანება ადვილია. სთხოვს განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა ამ ტერმინის გამოყენება ბზასთან მიმართებაში; ასევე, სთხოვს, ტერმინთან დაკავშირებით გაიხსენონ ადამიანი, მოვლენა, ამბავი; იმსჯელონ სიტყვის პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობაზე.

ასევე, შესაძლებელია, მოსწავლეებს ვთხოვოთ, სხვადასხვა ფორმატში (პრეზენტაციები, ბუკლეტები, ვიდეოები, და სხვ.) მოამზადონ საინფორმაციო ხასიათის ნამუშევრები კოლხურ ბზაზე ზრუნვის შესახებ - თემში ცნობიერების ასამაღლებლად.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

3. საკითხი: ურთიერთობა მუნიციპალურ ორგანოებთან (6 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გაიაზრებენ: მუნიციპალიტეტების როლსა და სტრუქტურას ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისას; მოქალაქეთა თანამშრომლობის მნიშვნელობას მუნიციპალიტეტებთან; შეძლებენ საკუთარი ჩართულობით მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებების განსაზღვრასა და გადაჭრის გზების მოძებნას; მუნიციპალურ ორგანოებთან თანამშრომლობას ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად; საკუთარი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელებისას დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებას.

საკვანძო შეკითხვები:

რა არის მუნიციპალიტეტი და რა როლი აქვს მას?

როგორია მუნიციპალიტეტის სტრუქტურა?

რა ფუნქციები აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს?

რა მიზანი აქვს მოქალაქეთა დასწრებას საკრებულოს სხდომებზე?

თემატური ცნებები:

- მუნიციპალიტეტი
- წარმომადგენლობითი ორგანო
- აღმასრულებელი ორგანო
- საკრებულოს სხდომა
- დასახლების კრება

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სიტყვა [მუნიციპალიტეტის](#) განმარტებას Civil ენციკლოპედიური ლექსიკონიდან: „ტერმინი ჯერ კიდევ რომის რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გაჩნდა და წარმოსდგება ლათინური სიტყვისგან municipium - თვითმმართველი თემი. იმ დროს ასე თვითმმართველობის უფლებით აღჭურვილ ქალაქებს ეწოდებოდა. ამჟამად მუნიციპალიტეტად ქალაქისა და სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოები მოიხსენიება“; საუბრობს იმის შესახებ, რას ნიშნავს „თვითმმართველი თემი“ და რატომ არის მნიშვნელოვანი ქალაქად და სოფლად ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არსებობა.

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ვებგვერდს <http://nala.ge/member-municipalities> და ამზადებენ პრეზენტაციას რამდენიმე მიმართულებით: მუნიციპალიტეტის სტრუქტურა; მუნიციპალიტეტის სამსახურები; მუნიციპალიტეტის სერვისები; პრესცენტრის საქმიანობა.

თეორიული მასალის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მათ სთავაზობს წინასწარ დაგეგმილ სიმულაციას: „მუნიციპალიტეტის ერთი სამუშაო დღე“. მაგალითად, გზის დაზიანებული ნაწილის შესახებ შემოსული წერილის განხილვა; საპროექტო წინადადების მომზადება და განხილვა და ა.შ.

აქტივობა

მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან წარმომადგენელს იწვევენ; უსვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით და მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის შესაძლო გზებს გეგმავენ.

აქტივობა

მოსწავლეები „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის“ ვებგვერდის <http://nala.ge/self-governing-cities> გამოყენებით თვითმმართველი ქალაქების შესახებ ამზადებენ ინფორმაციას და უზიარებენ კლასს.

აქტივობა

მოსწავლეები მოიძიებენ ბეჭდურ ან ინტერნეტრესურსებს, სადაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობაა აღწერილი. ამ საქმიანობის მიზნისა და მიღებული შედეგების შესახებ ამზადებენ პრეზენტაციას.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ელექტრონულ რესურსებს: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი http://www.civilin.org/FAQ_Council.php?q=5 და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო მუხლს კანონიდან [ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ](#). აღნიშნული ელექტრონული რესურსების გამოყენებით შერჩეული მუხლის შესახებ პრეზენტაციას ამზადებენ და კლასს უზიარებენ.

აქტივობა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის http://www.civilin.org/FAQ_Council.php?q=5 ვებგვერდის გამოყენებით მოსწავლეები ინფორმაციას ამზადებენ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობის/მერიის შესახებ, მათთვის სასურველი მიმართულებით, რომელსაც კლასს უზიარებენ.

აქტივობა

მასწავლებელი გეგმავს და ათანხმებს მოსწავლეთა დასწრებას საკრებულოს სხდომაზე ან დასახლების კრებაზე. სხდომის/კრების შემდეგ საუბარი იმართება კრებაზე განხილული საკითხის/ების, კრების ფორმატის, კრების ენისა და სხვა დეტალების შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებით შეხვედრას გეგმავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთან. შეხვედრამდე მოსწავლეები მათთვის საინტერესო თემების შესახებ ამზადებენ კითხვებს. სტუმარი მოსწავლეებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის დეტალებს გააცნობს და მათ შეკითხვებს უპასუხებს. იმართება დისკუსია ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისა და მოგვარებაში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით კითხვარს ადგენენ ადგილობრივი თემის საჭიროების დასადგენად. შემდეგ ამ საჭიროების განსაზღვრის მიზნით გამოკითხვას ატარებენ თემში. რანჟირების გზით ადგენენ პრიორიტეტულ საჭიროებას და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის სახელზე წერენ წერილს, რომელსაც კანცელარიას აბარებენ. დათქმულ დროს მოსწავლეები ხვდებიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს და პრიორიტეტული საჭიროების დაკმაყოფილებისა და მასში საკუთარი წვლილის (მონაწილეობის) შეტანის გზებს მასთან ერთად გეგმავენ.

ბ. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით კითხვარს ადგენენ და გამოკითხვას ატარებენ თემში ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილების შესახებ; ანალიზებენ რესპონდენტების შეხედულებებს და თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო პოსტერებს ამზადებენ, რომელთაც შემდეგ თემში ავრცელებენ. გაწეული სამუშაოს შესახებ მომზადებულ პრეზენტაციას კი კლასს/სკოლას უზიარებენ.

გ. მოსწავლეები ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით საკუთარი ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა–გაყიდვას გეგმავენ, საიდანაც შემოსულ თანხას ადგილობრივ თემში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე:
<http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>



დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასაგეგმად

მოქალაქეობა VII კლასი

თემა: ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

ავტორი: ნინო ჭიაბრიშვილი

კონსულტანტი: შალვა მეკრავიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2019 წელი.

დამხმარე რესურსი მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოცემული დამხმარე რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება ავტორს და ის არ წამოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოქალაქეობა

VII კლასი

თემა: ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საკითხები 1. ვანდალიზმი; 2. ბრაკონიერობა. შემაჯამებელი სამუშაო - 4 საათი	საათების სავარაუდო რაოდენობა – 10 (+4)
ცნებები სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება	
საკვანძო შეკითხვები • როგორ და რატომ უნდა ვიზრუნოთ სკოლის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? • რატომ უნდა ვიზრუნოთ გარემოზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში ვერ დავინახავთ მომენტალურ შედეგებს? • რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე? • რატომ არის რესურსების რაციონალური გამოყენება (წყლის ეკონომიური მოხმარება, რესურსების მეორადი გადამუშავება) სამოქალაქო ცნობიერების გამოვლინება? • რატომ არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, წარსულის პატივისცემასთან ერთად, მის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვაც? • რატომ და როგორ უწყობს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხელს მხარის/თემის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას?	

აქტივობები იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება (მოქ. საბ. 3,4,7,9,10,11,13); • საკუთარ დასახლებაში/რეგიონში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების (ვანდალიზმი, ბრაკონიერობა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12); • ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ. საბ.3,4,9,10,11,13).
მკვიდრი წარმოდგენები • ბუნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ქვეყანაზე ზრუნვას ნიშნავს; • ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა პირველქმნილი სახით არის ღირებული; • არსებობს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; • კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა საზოგადოების კეთილდღეობას განაპირობებს; • ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება დანაშაულია და კანონით ისჯება.

ეტაპების/ნაბიჯების სახით სასწავლო თემის აგების ნიმუში

1. საკითხი: ვანდალიზმი (5 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ: რესურსების ყაირათიანად ხარჯვის მნიშვნელობას გარემოს დაცვისა და განვითარების თვალსაზრისით; მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისთვის; შეძლებენ გარემოს დაცვის მიმართულებით აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საკვანძო შეკითხვები:

რა არის რესურსები?

რა სახის რესურსები არსებობს ბუნებაში?

რატომ არის მნიშვნელოვანი რესურსების მომჭირნედ გამოყენება?

როგორ შეიძლება, დავზოგოთ რესურსები?

რატომ არის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები ადამიანთა საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი?

რა როლს ასრულებს კულტურული მემკვიდრეობა ადამიანისა და საზოგადოების განვითარებაში?

თემატური ცნებები:

- რესურსები
- მომჭირნეობა, რაციონალურობა
- კულტურული მემკვიდრეობა
- კულტურული ფასეულობა
- მატერიალური ფასეულობა
- არამატერიალური ფასეულობა
- ვანდალიზმი

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს, საჭიროებიდან გამომდინარე, აჩვენებს ერთ-ერთს ამ ვიდეო რესურსებიდან: [პოლიეთილენის პარკების გადამამუშავებელი ქარხანა](#), [ნარჩენების დახარისხება და გადამამუშავება თბილისში](#), [ბეტონის გზას ნარჩენების გადამამუშავებით მიღებული პლასტმასი ჩაანაცვლებს](#). შემდეგ იმართება მსჯელობა ნარჩენების გადამამუშავებასა და რესურსების რაციონალურად გამოყენებას შორის მჭიდრო კავშირზე.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ნარჩენების შემცირებისა და დახარისხების მნიშვნელობაზე ესაუბრება გარემოს დაცვის მიზნით; აჩვენებს რუკას [ნარჩენების დახარისხების კუთხეები საქართველოში](#) და უხსნის მასზე მუშაობის წესებს; ამბობს, რომ რუკაზე ნარჩენებია ნარჩენების დახარისხების კუთხეები თბილისში, სადაც შეგვიძლია, მივიტანოთ დახარისხებული ქაღალდი, მინა, პლასტიკი და ალუმინი. დახარისხებული ნარჩენების ნაწილი ადგილობრივ გადამამუშავებელ კომპანიებში ხვდება, ნაწილი კი ექსპორტზე გადის.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონში მოცემული [კულტურული ფასეულობის](#) განმარტებას: „შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება“; აჩვენებს და აცნობს სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ ფასეულობათა ნიმუშებს; ესაუბრება კულტურისა და ადამიანთა ცხოვრების ურთიერთკავშირზე და ურთიერთგანვითარებაზე.

შემდეგ სთხოვს მომდევნო შეხვედრისთვის მოიძიონ საქართველოში არსებული მათთვის სასურველი კულტურული ფასეულობის შესახებ ინფორმაცია და პრეზენტაციის სახით ერთმანეთს გაუზიარონ.

აქტივობა

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ [Civil ენციკლოპედიურ ლექსიკონში](#) არამატერიალური ფასეულობა მოხსენებულია, როგორც „უსხეულო ნივთი“; სთხოვს, დაფიქრდნენ ამ განმარტებაზე და გამოიტანონ დასკვნა არამატერიალური ფასეულობების რაობის შესახებ; სთხოვს, იმსჯელონ შემდეგ საკითხებზე:

მათი აზრით, რა არამატერიალური ფასეულობები აქვთ მათ ოჯახებს?

რატომ და ვისთვის არის ეს ფასეულობები მნიშვნელოვანი?

ახდენს თუ არა გავლენას ეს ფასეულობები ოჯახის წევრთა პიროვნულ განვითარებაზე? როგორ?

მნიშვნელოვანია თუ არა ამ ფასეულობათა დაცვა? რატომ?

შეუძლიათ თუ არა საზოგადოებისთვის დამახასიათებელი არამატერიალური ფასეულობის დასახელება?

ახდენს თუ არა გავლენას ეს ფასეულობები საზოგადოების წევრთა პიროვნულ განვითარებაზე? როგორ?

რას იტყოდნენ სამყაროს არამატერიალური ფასეულობების შესახებ?

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სიტყვა [ვანდალიზმის](#) განმარტებას სამოქალაქო განათლების ლექსიკონიდან: „საზოგადოების, ან კერძო პირების კუთვნილი კულტურული და მატერიალური ფასეულობების მიმართ განხორციელებული ქმედება, რაც ამ ფასეულობების უაზრო, სასტიკ, ბოროტ და უმეცარ განადგურებაში გამოიხატება“; ხაზს უსვამს განმარტებაში გამოყენებულ სიტყვებს: „უაზრო“, „სასტიკი“, „ბოროტი“, „უმეცარი“.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს დოკუმენტურ ვიდეოს [ვანდალიზმი თბილისის ცენტრში](#). შემდეგ სთავაზობს მსჯელობას ნანახის შესახებ და ვარაუდების გამოთქმას სთხოვს ვანდალური ქმედების ჩამდენთა დასაცავად და გასამტყუნებლად.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორ ფოტოს: [ფოტო 1](#) და [ფოტო 2](#) და ამ ფოტოებზე წარმოდგენილი რეალობის შესახებ მსჯელობას სთხოვს, კერძოდ: რომელი ფოტო ასახავს შემოქმედებას და რომელი - „უაზრო, სასტიკ, ბოროტ და უმეცარ განადგურებას“. შეიძლება, ასევე, სთხოვოს, გაიხსენონ ქუჩის მხატვრობის მაგალითები – გრაფიტი/სტენსილსი და ფოტოები ამ თვალსაზრისითაც შეადარონ ერთმანეთს.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ავტორთა ჯგუფის Anna Hinds Paddock-ის, Isabela Littger de Pinho-სა და Kriti Kaur-ის ანიმაციას [None of That](#). შემდეგ კი 4–5 კაციან ჯგუფებში განაწილებული მოსწავლეები იმის შესახებ მსჯელობენ, თუ როგორ ესმით ანიმაციის გმირებს - კანონდამცველსა და სასულიერო პირს - ხელოვნება და ვანდალიზმი და საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებენ.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ-ერთს:

ა. მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას ქუჩის მხატვრობის გრაფიტის/სტენსილსის შესახებ; ინტერვიუს იღებენ სფეროს ექსპერტებისგან იმის თაობაზე, ქუჩის მხატვრობა ვანდალური ქმედებაა თუ ხელოვნება? ინტერვიუსთვის საკვანძო შეკითხვებს

მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, წინასწარ ამზადებენ. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი პრეზენტაციას ამზადებენ და კლასს/სკოლას უზიარებენ.

ბ. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში წარმოდგენილ 4 [ქართულ ნომინაციას](#). კლასს 4 ჯგუფად ჰყოფს და თითოეულ ჯგუფს 4 ნომინაციას შორის არჩევანის გაკეთებას სთხოვს. მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეთა ვიზიტის დაგეგმოს შესაბამის წარმომადგენლებთან. მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსწავლეები პრეზენტაციას ამზადებენ და კლასს/სკოლას უზიარებენ.

გ. მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის (მაგ., კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი) წარმომადგენელთან ვიზიტს გეგმავენ; ეცნობიან ორგანიზაციის მუშაობას, განხორციელებულ პროექტებს გარემოს დაცვის მიმართულებით. მათი დახმარებით შემდეგ გარემოს დაცვის ღონისძიებას გეგმავენ (მაგ., პოსტერების მომზადება და გავრცელება). ვიზიტისა და განხორციელებული საქმიანობის შესახებ პრეზენტაციას ამზადებენ და აცნობენ სკოლას.

დ. მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, რეგიონში მდებარე კულტურულ ძეგლს შეისწავლიან: ინფორმაციას მოიძიებენ ამ ძეგლის შესახებ, პრეზენტაციას მოამზადებენ და გააცნობენ კლასს/სკოლას.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

2. საკითხი: ბრაკონიერობა (5 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გაიაზრებენ: კანონმორჩილების მნიშვნელობას გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით; ნადირობას, როგორც საზოგადოების ყოველდღიური ყოფის ელემენტს წარსულში და მის ცვლილებას

აწმყოში; ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოსწავლეთა მონაწილეობის მნიშვნელობას; შეძლებენ კანონმორჩილების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საკვანძო შეკითხვები:

რას ნიშნავს გარემოს დაცვა და გარემოს დაცვაში მონაწილეობა?

რა ფუნქციები აქვს გარემოს დაცვის კანონმდებლობას?

რა კავშირია კანონმორჩილებასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის?

როგორ შეგვიძლია გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი იდეების ხორცშესხმა?

სამოქალაქო მონაწილეობის რა ფორმები, შეიძლება, გამოვიყენოთ გარემოს დაცვის მიმართულებით?

თემატური ცნებები:

- გარემოს დაცვა
- კანონმდებლობა
- კანონმორჩილება
- ბრაკონიერი/ბრაკონიერობა
- ნადირობის წესი
- მდგრადი განვითარება

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სიტყვა [ბრაკონიერობის](#) განმარტებას Civil ენციკლოპედიური ლექსიკონიდან: „უკანონო, არალეგალური ნადირობა“; საუბრობს იმაზე, რომ ხშირად ადამიანები თავადვე აღიარებენ ბრაკონიერობას, თუმცა ამას დანაშაულად არ თვლიან და მოკლული ცხოველებით ტრაზახობენ კიდეც. შემდეგ დისკუსია იმართება იმის შესახებ, თუ რა მიზეზით შეიძლება, ადამიანი ბრაკონიერი გახდეს; როგორ შეიძლება, გადავაფიქრებინოთ მათ ცხოველებისა და ფრინველების უკანონოდ ხოცვა.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოს [ნადირობის წესები და ბრაკონიერობა - რა პრობლემები ექმნება გარემოს?](#) მსჯელობა იმართება იმ ზიანზე, რომელიც ბრაკონიერობას მოაქვს გარემოსთვის და ადამიანისთვის; უხსნის, რომ საქართველოში ნადირობის წესებს არეგულირებს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, რომლის თანახმად, ნადირობა მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზეა დაშვებული, კერძოდ, სამონადირეო მეურნეობებში.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სახეობათა კონსერვაციის არასამთავრობო, არაკომერციული ცენტრის „ნაკრესის“ ვებ-გვერდს <http://nacres.org/> უხსნის მსგავს ორგანიზაციებში მოხალისედ მუშაობის სიკეთებს; შეხვედრას გეგმავს ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ინფორმაციას [ბრაკონიერის](#) შესახებ; ყურადღებას ამახვილებს დამსჯელ ღონისძიებაზე და სთხოვს, ახსნან, თუ რამ განაპირობა დასჯის ამ ფორმის გამოყენება.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ერთწუთიან ვიდეოს [გლობალური დათბობა, ჩვენი მომავალი ქრება](#) (Global warming, our future is disappearing) და სთხოვს, იმსჯელონ ვიდეოს მთავარი სათქმელის შესახებ: რატომ არის მნიშვნელოვანი რესურსების მოხმარებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება; რატომ უნდა ვიზრუნოთ დღეს, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი გვექონდეს; რისი გაკეთება შეგვიძლია პიროვნულ, ოჯახის, საზოგადოების დონეებზე მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და ა.შ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს თავისი შეხედულების მიხედვით აცნობს ცალკეულ პუნქტებს საქართველოს კანონიდან [საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ](#) და საქართველოს კანონიდან [ცხოველთა სამყაროს შესახებ](#). მოსწავლეები მსჯელობენ კანონმორჩილების მნიშვნელობაზე ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისა და განვითარების თვალსაზრისით.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე პუნქტს:

საქართველოს კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ

მუხლი 8. პუნქტი გ. ხელი შეუწყონ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების განხორციელებას;

მუხლი 10. პუნქტი 3 დ. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე შესაძლო მავნე ანთროპოგენური ზეგავლენის მოხდენის გათვალისწინება სავალდებულოა: სასუქების, შხამქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას, აგრეთვე იმგვარი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას, რომელმაც შეიძლება უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოსპობა, რაოდენობის შემცირება, საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება.

მუხლი 11, პუნქტი 1. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა.

მუხლი 12, პუნქტი 1. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა მოსპობა, მათი რაოდენობის ან/და გავრცელების არეალის შემცირება.

მუხლი 20, პუნქტი 3. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა სახეობების აღდგენითი ღონისძიებები მოიცავს მათ დაცვას ბიოლოგიური საშუალებებით (პრეპარატებით), ხელოვნურ გაშენებასა და ამ სახეობათა ბუნებრივ გარემოში კონსერვაციას.

მუხლი 22, პუნქტი 1. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში – გადარჩენის, განკურნების, პოპულაციის აღდგენისა და სამეცნიერო მიზნებისათვის, რაც ხორციელდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წერილობითი თანხმობით.

საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ

მუხლი 14, პუნქტი 2. ფიზიკური პირები ვალდებული არიან:

ა) დაიცვან ცხოველთა სამყარო;

ბ) ხელი შეუწყონ ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

გ) შეატყობინონ სათანადო ორგანოებს ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ კანონმდებლობის მათთვის ცნობილი დარღვევები.

მუხლი 16, პუნქტი 2. ცხოველთა სამყაროს დაცვის მიზნით სახელმწიფო:

ა) ქმნის ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს, ადკვეთილებსა და სხვა დაცული ტერიტორიების კატეგორიებს;

ბ) აფინანსებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა სახეობების გენოფონდის რეზერვატების შექმნასა და ფუნქციონირებას;

გ) იცავს ცხოველთა სამყაროს თვითნებური სარგებლობისგან და სხვა დარღვევებისაგან;

დ) გარეულ ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების მიზნით ატარებს სამშენებლო, საწარმოო თუ ტექნოლოგიურ პროცესთა პროექტების ექსპერტიზას, რომელთა განხორციელებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ცხოველთა სამყაროს;

- ე) არეგულირებს ბუნებიდან ცხოველთა სამყაროს ობიექტების ამოღებას, მათ შორის ზოოლოგიური კოლექციებისთვის;
- ვ) ატარებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს გარეულ ცხოველთა დაავადებების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა მიზეზების შედეგად მათი დაღუპვის თავიდან აცილებისათვის;
- ზ) აფინანსებს მეცნიერულ კვლევას, რომლის მიზანია ცხოველთა სამყაროს დაცვის მეთოდების დამუშავება და დახვეწა;
- თ) ადგენს ცალკეულ სახეობათა კეთილდღეობის სტატუსს;
- ი) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეწევა ცხოველთა სამყაროს დაცვის პროპაგანდას.

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან საქართველოს კანონებს [საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ](#) და [ცხოველთა სამყაროს შესახებ](#); იძიებენ/იხსენებენ ბეჭდურ ან ინტერნეტრესურსებს, სადაც აღწერილია კანონდარღვევა; კანონდარღვევას უსადაგებენ კანონის შესაბამის მუხლს და რესურსში აღწერილი დანაშაულის შესახებ მსჯელობენ; ამზადებენ პრეზენტაციას, სადაც ასახული იქნება შემდეგი საკითხები:

- კანონების მნიშვნელობა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვის თვალსაზრისით;
- კონკრეტული კანონდარღვევის შესახებ ინფორმაცია;
- კანონდარღვევის შესაბამისი მუხლი/მუხლები;
- კანონმორჩილების მნიშვნელობა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვისა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ-ერთს:

ა. მოსწავლეები მოიძიებენ ბეჭდურ ან ინტერნეტრესურსებს, სადაც კანონდარღვევაა აღწერილი. მასწავლებლის მითითებით (ან დამოუკიდებლად) ეცნობიან საქართველოს კანონების [საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ](#) და [ცხოველთა სამყაროს შესახებ](#) ცალკეულ მუხლებს; მოიწვევენ სამართალმცოდნეს (ეს შეიძლება იყოს მშობელი, მეზობელი, ნაცნობი და სხვ.) და მისი თანდასწრებით იმართება იმიტირებული სასამართლო პროცესი კონკრეტული სამართალდარღვევის განსახილველად.

ბ. მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, ადგენენ კითხვარს და გამოკითხვას ატარებენ თემში ბრაკონიერობის შესახებ ძველად და ახლა; ანალიზებენ რესპონდენტების შეხედულებებს; ამზადებენ საინფორმაციო პოსტერებს ბრაკონიერობის მანკიერებაზე და ავრცელებენ თემში. გაწეული სამუშაოს შესახებ ამზადებენ პრეზენტაციას, რომელსაც კლასს/სკოლას უზიარებენ.

გ. მასწავლებელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარებით, შეხვედრას გეგმავს გარემოს დაცვის მიმართულებით სამართალმცოდნესთან. შეხვედრამდე მოსწავლეები ამზადებენ კითხვებს მათთვის საინტერესო თემების შესახებ. სტუმარი მოსწავლეებს გააცნობს გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის დეტალებს და მათ შეკითხვებს უპასუხებს. შემდეგ იმართება დისკუსია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისა და მოგვარებაში მოსწავლეთა მონაწილეობის ირგვლივ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>



დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასაგეგმად

მოქალაქეობა VII კლასი

თემა: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ

ავტორი: ნინო ჭიაბრიშვილი

კონსულტანტი: შალვა მეკრავიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2018 წელი.

დამხმარე რესურსი მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოცემული დამხმარე რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება ავტორს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოქალაქეობა

VII კლასი

თემა: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ	საათების სავარაუდო რაოდენობა – 10 (+4)
საკითხები 1. დაწერილი და დაუწერელი წესები – 3 საათი 2. არასრულწლოვანი და დანაშაული – 3 საათი 3. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება – 2 საათი 4. კულტურული მრავალფეროვნება ჩემ გარშემო – 2 საათი შემაჯამებელი სამუშაო - 4 საათი	
ცნებები სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება	
საკვანძო შეკითხვები • რა და როგორ აყალიბებს თემში არსებულ ჯგუფებს ერთიან საზოგადოებად? • რატომ არის საერთო სივრცეზე (სადარბაზო, ეზო) ზრუნვა მოქალაქის მოვალეობა? • რატომ და როგორ უნდა განვახორციელო ჩემი საცხოვრებელი გარემოსთვის აქტუალური სათემო აქტივობები? • როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენს თემში მცხოვრებ განსხვავებული შეხედულებების/ შესაძლებლობების/ წარმოშობის ადამიანებთან? • რატომ უარესდება საზოგადოებრივი ურთიერთობები თემში პიროვნული ღირსების შელახვის შემთხვევაში? • რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო ჩემს თემში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე (იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ახლო მომავალში ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფა მოსალოდნელი არ არის)?	

აქტივობები იდები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • თემში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (დაწერილი და დაუწერელი წესების თანაარსებობა, არასრულწლოვანთა დანაშაული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ბუნებრივი საფრთხეები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საზ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13); • სათემო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა; თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება (მოქ.საზ.1,2,3,4,5,6,8,9,12); • პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება (მოქ.საზ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).
მკვიდრი წარმოდგენები • თემში განსხვავებული შეხედულებების, ინტერესებისა და ღირებულებების მქონე ადამიანები ცხოვრობენ, თუმცა მათ საერთო საზრუნავი აერთიანებთ; • თემის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა/ჩართულობა მასზე ზრუნვას ნიშნავს; • ადამიანის ღირსების პატივისცემა აუცილებელია თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის; • თემის წევრები ქმნიან ამხანაგობებს საერთო პრობლემების მოსაგვარებლად და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ეტაპების/ნაბიჯების სახით სასწავლო თემის აგების ნიმუში

თემა: დაწერილი და დაუწერელი წესები (3 საათი)

გაკვეთილის თემა: ინდივიდი და საზოგადოება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთქმედების მრავალმხრივობას.

საკვანძო შეკითხვები:

როგორ ყალიბდება ინდივიდი?

როგორ ყალიბდება საზოგადოება?

რატომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდისა და საზოგადოების ჯანსაღი კომუნიკაცია?

რატომ სჭირდება ინდივიდს საზოგადოება და საზოგადოებას – ინდივიდი?

რატომ არის საზოგადოების კეთილდღეობის პირობა ინდივიდების განვითარებაზე ზრუნვა?

თემატური ცნებები:

- ინდივიდი
- საზოგადოება
- თემი

აქტივობა N1

მასწავლებელი წინასწარ ავალეს მოსწავლეებს, მოიტანონ რამდენიმე საკუთარი ფოტო; გაკვეთილზე სთხოვს, გადახედონ ფოტოებს, მოგონებებს და დაწერონ თხზულება სათაურით - „მე“. მოსწავლეები სრულიად თავისუფლები არიან თხზულების შინაარსის, სტრუქტურის, ფორმის, მოცულობის არჩევაში.

მასწავლებელი წინასწარ უთანხმდება მოსწავლეებს, რომ კლასისთვის თხზულების გაზიარება–არგაზიარება მათი პირადი გადაწყვეტილებაა. ისინი, ასევე, თავად წყვეტენ, აჩვენონ თუ არა ნამუშევარი მასწავლებელს.

მასწავლებელი სთხოვს ნამუშევრის ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში შენახვას; ასევე, სთხოვს პერიოდულად (მაგ., წელიწადში ერთხელ) გადახედონ ნამუშევარს და „მე“-ში მომხდარ ცვლილებებს დააკვირდნენ.

ეს აქტივობა, შესაძლებელია, რამდენიმე ვარიანტად განხორციელდეს:

- მოსწავლეები საკუთარ დახასიათებას წერენ, შემდეგ უკითხავენ მეწყვილეს და ერთმანეთს უკეთ ეცნობიან.
- მოსწავლეები ანონიმურად წერენ საკუთარ დახასიათებას და ერთ ყუთში ათავსებენ. შემდეგ მორიგეობით იღებენ ყუთიდან რომელიმე დახასიათებას, უკითხავენ კლასს და ცდილობენ, გამოიცნონ, ვისზეა საუბარი.

- მოსწავლეები ირჩევენ ერთ–ერთ თანაკლასელს, წერენ მის დახასიათებას და ერთ ყუთში ათავსებენ. შემდეგ მორიგეობით იღებენ ყუთიდან რომელიმე დახასიათებას, უკითხავენ კლასს და ცდილობენ, გამოიცნონ ავტორი.

აქტივობა N2

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ ის ადამიანები, მოვლენები, წიგნები, ფილმები, რომლებმაც გავლენა მოახდინა მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე; სთხოვს, ისაუბრონ ამ გავლენის არსზე.

აქტივობა N3

როგორ განსაზღვრავდით საკუთარ თავს? მოიფიქრეთ, რა არის თქვენთვის უმნიშვნელოვანესი საკუთარი თავის თქვენეულ ხედვაში; როგორ გსურთ, რომ სხვები გხედავდნენ?

აქტივობა N4

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს და სთხოვს, ინდივიდუალურად შეავსონ.

1. ვინ ვარ?

2. როგორი ვარ?

3. ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი დადებითი თვისება.

4. ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი უარყოფითი თვისება.

5. რაზე ვოცნებობ?

6. რა მიშლის ხელს? (ამ კითხვას პასუხს არ ვცემთ, თუკი ხელშემშლელი არ არსებობს.)

7. როგორ ვგეგმავ წინააღმდეგობის დაძლევას? (ამ კითხვას პასუხს ვცემთ ხელშემშლელის არსებობის შემთხვევაში.)

აქტივობა N5

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ყურადღებით გაეცნონ [ბავშვის უფლებათა კონვენციის](#) ადაპტირებულ ვერსიას; შეარჩიონ მათთვის ყველაზე სასურველი, საინტერესო, საჭირო, აქტუალური მუხლი და კლასისთვის მისი გაცნობის გზები მოიფიქრონ. ეს გზები, შესაძლოა, იყოს: პრეზენტაცია, ინსცენირება, სასამართლო პროცესი, პლაკატი და სხვ. მოსწავლეებმა, შესაძლებელია, იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში და ჯგუფებად.

წარმდგენი/ები ასაბუთებს, რამ განაპირობა კონკრეტული მუხლის არჩევა. მოსწავლეები ცდილობენ, გამოიყენონ უფლებების წარმოდგენილი მუხლი და გაიხსენონ ცხოვრებისეული სიტუაცია, როცა ამ კონკრეტული მუხლის მიხედვით უფლების დარღვევის მოწმეები გახდნენ.

აქტივობის ბოლო ეტაპზე, შესაძლებელია, ვთხოვოთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ წარმოდგენილი უფლების დაცვის ინსტრუმენტებზე.

აქტივობა N6

მასწავლებელს შეუძლია, წიგნიდან [ბავშვები ბავშვთა უფლებების შესახებ](#) ერთ–ერთი ნამუშევარი შესთავაზოს მოსწავლეებს სიტუაციური სავარჯიშოს სახით.

ბავშვთა უფლებების შესახებ დამატებით რესურსად, შეიძლება, გამოვიყენოთ 2016 წელს ორგანიზაციის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ მიერ განხორციელებული პროექტის [ბავშვის უფლებათა კონვენცია ანიმაციაში](#) ფარგლებში შექმნილი 16 ანიმაციური ფილმი, რომლებიც რეალურ ისტორიაზეა დაფუძნებული.

გაკვეთილის თემა: საზოგადოება და წესები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები ისწავლიან დაუწერელ წესებს და მათ გამოყენებას შეძლებენ.

საკვანძო შეკითხვები:

რატომ ქმნის საზოგადოება წესებს?

რა განსხვავებაა დაწერილ და დაუწერელ წესებს შორის?

რომელი წესია უფრო მნიშვნელოვანი სოციალური წესრიგისთვის - დაწერილი თუ დაუწერელი?

რატომ არის მნიშვნელოვანი სოციალური წესრიგი?

ვინ არის მოგებული დაწერილი და დაუწერელი წესების დაცვით?

როგორ შეიძლება, ავხსნათ არისტოტელეს ცნობილი ფრაზა - „ადამიანი სოციალური ცხოველია“?

თემატური ცნებები:

- დაწერილი წესები
- დაუწერელი წესები
- საზოგადოებრივი შეთანხმება
- სოციალური წესრიგი

აქტივობა N1: საჭიროების განსაზღვრა

ა. წამოიწყეთ საკლასო დისკუსია საზოგადოების დაწერილი და დაუწერელი წესების შესახებ. შესთავაზეთ რამდენიმე მაგალითი:

- ✓ სალექ რეზინას არ ვაგდებთ ასფალტზე, ვახვევთ ქაღალდში და ისე ვაგდებთ ურნაში;
- ✓ არ ვწყვეტთ სკვერში ან ოფისში არსებულ ყვავილებს;
- ✓ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ვიცავთ საკუთარ და სხვის პირად სივრცეს (მაგ., ადამიანებთან ურთიერთობისას ვიცავთ მანძილს, რომელიც კომფორტულია ურთიერთობაში მონაწილე ყველა მხარისათვის).

საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია, ისარგებლოს [კომუნიკაციის ზონების ედუარდ ჰოლისეული](#) რანჟირებით, იხ. გვ. 143–144).

ბ. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ შემთხვევა, როცა მათ გაუცნობიერებლად დაარღვიეს სოციალური შეთანხმება ან წესი.

გ. აღნიშნეთ, რომ ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობისთვის მნიშვნელოვანია დაუწერელი წესების დაცვა.

აქტივობა N2: ცოდნისა და უნარების განსაზღვრა

უთხარით მოსწავლეებს, რომ გაკვეთილი დაეხმარებათ:

- 1) კონკრეტული დაუწერელი წესების შესწავლაში;
- 2) შეძლებენ ახალი ან განსხვავებული დაუწერელი წესების განსაზღვრას.

აქტივობა N3: უნარების მოდელირება

ა. გამოიყენეთ ყურადღებით შერჩეული ვიდეო youtube პორტალიდან (მაგ., <https://www.youtube.com/watch?v=qLGNj-xrgvY> (CGI Animated Short Film: "Mr Indifferent" by Aryasb Feiz) ან <https://www.youtube.com/watch?v=tWXkX9axcWs> Pub Fosterhjem: A child has nothing to eat at school) იმისათვის, რომ გააანალიზოთ ვიდეოში ასახული დაუწერელი საზოგადოებრივი წესის/ების დაცვა ან დარღვევა.

ბ. შესთავაზეთ მოსწავლეებს დაუწერელ წესებთან დაკავშირებული სიტუაციის გადაჭრის გზები; სთხოვეთ, დაფიქრდნენ და მისაღები ვერსია აირჩიონ.

აქტივობა N4: როლური თამაში

ა. დააჯგუფეთ მოსწავლეები სამ–სამად. ორ მათგანს სთხოვეთ, გაითამაშოს სოციალური წესის დარღვევის სიტუაცია. სთხოვეთ მესამე სტუდენტს, ახსნას, რომელი დაუწერელი წესი დაირღვა და რატომ იყო ის მნიშვნელოვანი.

ბ. საკლასო დისკუსიის საშუალებით დაადგინეთ სოციალური წესების დარღვევის შედეგები თითოეულ გათამაშებულ სიტუაციაში.

გ. ყურადღება გაამახვილეთ სხვების როლზე – როგორ შეიძლება, გრძნობდნენ სხვა ადამიანები თავს აღნიშნულ სიტუაციებში.

აქტივობა N5: ვარჯიში

ა. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოძებნონ ვიდეოები youtube პორტალზე, რომელშიც დაუწერელი სოციალური წესების დარღვევის შემთხვევები იქნება ასახული.

ბ. სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკვირდნენ სკოლის გარემოს (მაგ., დერეფანი, ბიბლიოთეკა, სასადილო) და აღმოაჩინონ დაუწერელი სოციალური წესები.

აქტივობა N6: განზოგადება

- ა. სთხოვეთ მოსწავლეებს, ოჯახის წევრებთან ინტერვიუს საფუძველზე, განსაზღვრონ სოციალური წესების ჩამონათვალი, რომლის დარღვევაც მათ აღიზიანებთ.
- ბ. წაიყვანეთ მოსწავლეები საზოგადოებრივ ადგილებში და სთხოვეთ, დააკვირდნენ, დაუწერელი სოციალური წესების მოქმედებას.
- აქტივობა N7: შეფასება**
- ა. პერიოდულად დააკვირდით მოსწავლეებს და შეაფასეთ მათ მიერ დაუწერელი წესების დაცვა.
- ბ. სთხოვეთ კოლეგას ან სკოლის საზოგადოების ნებისმიერ წევრს, დააკვირდნენ, როგორ იცავენ მოსწავლეები დაუწერელ წესებს.
- გ. შეაგროვეთ მონაცემები პროგრესის მონიტორინგის სტრატეგიების გამოყენებით.
- დ. შეიმუშავეთ ინდივიდუალური ინტერვენციები იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც ჯერ არ გამოუმუშავდა დაუწერელი წესების დაცვის უნარი ან ვერ იყენებს მას სკოლისგან განსხვავებულ კონტექსტში.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

- ა. მოსწავლეები ინტერვიუს იღებენ რამდენიმე ზრდასრულისგან (მაგ., ოჯახის, თემის, სამეზობლოს წევრი) იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე; როგორ შეიცვალა მათი პიროვნება წლების განმავლობაში; რამ იმოქმედა ამ ცვლილებაზე. ინტერვიუსთვის საჭირო კითხვებს ჯგუფი მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით ამზადებს. ინტერვიუს საფუძველზე კი შემდეგ პრეზენტაციას ამზადებენ და კლასს წარუდგენენ.
- ბ. მოსწავლეები გამოკითხვას ატარებენ თემში ძველი და ახალი დაუწერელი წესების შესახებ; აანალიზებენ რესპონდენტების შეხედულებებს, ადარებენ ძველ და ახალ დაუწერელ წესებს და ცვლილებების მიზეზებზე საუბრობენ; ამზადებენ პრეზენტაციას.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

თემა: არასრულწლოვანი და დანაშაული (3 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გააანალიზებენ: არასრულწლოვანებასთან დაკავშირებულ სიკეთეებსა და საფრთხეებს; არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელ ფაქტორებს; გაეცნობიან სამართლებრივ დოკუმენტებს არასრულწლოვან დამნაშავეთა შესახებ.

საკვანძო შეკითხვები:

ვინ არის არასრულწლოვანი?

რა ძირითადი უფლებები და ვალდებულებები აქვს არასრულწლოვანს?

როგორ არის დაცული არასრულწლოვანის უფლებები სამართლებრივ დოკუმენტებში?
რა შემთხვევაში ისჯება არასრულწლოვანი?

თემატური ცნებები:

- არასრულწლოვანება
- უფლებები და მოვალეობები
- სამართალდარღვევები
- პასუხისგება

ამ თემისთვის განკუთვნილი აქტივობების ნიმუშები მოცემულია სახელმძღვანელოში [სამართლებრივი კულტურა](#), გვ. 19–36.
მოცემული რესურსები მოსწავლეებს თემის სიღრმისეულად შესწავლაში დაეხმარება.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან სიტუაციურ სავარჯიშოს (იხ. სავარჯიშოს ნიმუში ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში), სხვა საჭირო რესურსებს და [აკვარიუმის მეთოდით](#) მისი განხილვისთვის ემზადებიან.

ბ. მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან ერთ–ერთ რეალურ ან ჰიპოთეტურ საქმეს, რომელიც არასრულწლოვანის დანაშაულს შეეხება; ინაწილებენ როლებს, ემზადებიან როლის შესასრულებლად და იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

თემა: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება (2 საათი)

თემის მიზანი: მოსწავლე გააცნობიერებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების მნიშვნელობას და მათ დაცვაზე იზრუნებს; განსაზღვრავს ბუნებრივ საფრთხეებს; განივითარებს ქუჩაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოძრაობის კულტურას.

საკვანძო შეკითხვები:

რატომ არის აუცილებელი პირადი უსაფრთხოების დაცვა?

რატომ არის მნიშვნელოვანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები?

რა კავშირია უსაფრთხოების წესებსა და საზოგადოების უსაფრთხოებას შორის?

როგორ უნდა მოვიქცეთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემჩნევისას?

თემატური ცნებები:

- პირადი უსაფრთხოება
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება
- პირველადი დახმარება

ამ თემისთვის განკუთვნილი აქტივობების ნიმუშები მოცემულია ბმულზე <http://mes.gov.ge/content.php?id=2844&lang=geo> მათი ადაპტირებული სახით გამოყენება მოსწავლეებს თემის სიღრმისეულად შესწავლაში დაეხმარება.

გთავაზობთ ადაპტირებულ ნიმუშს:

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე ცნობს და განასხვავებს საგზაო ნიშნების ჯგუფებს ფერის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით; ასახელებს კონკრეტული ვითარების შესაბამის საგზაო მოძრაობის წესებს (მაგ., განმარტავს, თუ რატომ არის მოცემული რომელიმე აკრძალვის ნიშანი, ამა თუ იმ ადგილას).

გამოწვევა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და „გონებრივი იერიშის“ მეთოდს მიმართავს. დაფის ცენტრში/ფლიპჩარტზე ხაზავს წრეს, რომელშიც წერს „სატრანსპორტო შემთხვევები“ და მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოთვალონ სატრანსპორტო შემთხვევათა შესაძლო მიზეზები. მოსწავლეთა მოსაზრებებს წრიდან გამომავალ სხივებზე წერს.

სიღრმისეული წვდომა

მასწავლებელი, სურვილის მიხედვით, მოსწავლეებს აჩვენებს ერთ-ერთ ვიდეოს მთლიანად ან ნაწყვეტს:

საგზაო უსაფრთხოება იწყება ჩვენით – პროექტი "შეანელე, გზა დაუთმე"

https://www.youtube.com/watch?v=AzRSfmWn30&fbclid=IwAR2_7YLqStkxJTtJMz1j7qS1uzLHqIQg7b4Tdr6uRRiPwVT5upX7juwE6ws

საბავშვო სამგზავრო სავარძლები ბავშვების სიცოცხლის დასაცავად

https://www.youtube.com/watch?v=D0fJoMnNYQc&fbclid=IwAR2HDs6JAPGbiBMsYli2cIR5A8y3LGUqv3g7sitL_VavmKTzA5ITMiOydE

ნუ დააბრალებ ბედისწერას!

https://www.youtube.com/watch?v=kSWy1UGTJ1k&fbclid=IwAR2OPrjK1fJYyMerhKz1_6OVLIPvxoxwBVUGZvgecyEc19MG5XbosVlpHA

საგზაო უსაფრთხოება იწყება ჩვენით - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის

<https://www.youtube.com/watch?v=Hp-pD0RqxVs&fbclid=IwAR2Hva-2oscE5ON56RwKueG-ZbCwrPDvjYvpeJgFS3DvGepl-Flt3x4gVck>

მებო ნუცუბიძის რჩევები პატარა ქვეითებს

https://www.youtube.com/watch?v=iWl3aCDOgaU&t=19s&fbclid=IwAR2OPrjK1fJYyMerhKz1_6OVLIPvxoxwBVUGZvgecyEc19MG5XbosVlpHA

ესაუბრება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნების შესახებ. პრეზენტაციის სახით წარუდგენს მასწავლებლის წიგნის 25–35 გვერდებზე მოცემული საგზაო ნიშნების კატეგორიებს (გამაფრთხილებელი, პრიორიტეტული, ამკრძალავი, მიმითითებელი, საინფორმაციო, მომსახურების, დამატებითი ინფორმაციის) და ყოველი კატეგორიის ყველაზე გავრცელებულ ნიშნებს.

რეფლექსია

მოსწავლეები წყვილში ან ინდივიდუალურად კითხულობენ თემის ბოლოს დართულ შეკითხვებს და აღნიშნული საკითხების ირგვლივ მსჯელობენ. მასწავლებელი კლასს 3–4 კაციან ჯგუფებად ჰყოფს და აძლევს დავალებას: „რა უნდა გაკეთდეს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობის და მათგან გამოწვეული ზიანის შესამცირებლად? მოსწავლეები ნამუშევრების პრეზენტაციას წარმოადგენენ.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

მოსწავლეებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მასწავლებელი აჩვენებს საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევის ამსახველ რამდენიმე ვიდეოს (მაგ., https://www.youtube.com/watch?v=-_2x9oDGuI4). 3–4 მოსწავლისგან დაკომპლექტებული ჯგუფები ვიდეოებს ინაწილებენ, მსჯელობენ დარღვევის სახეზე და პრეზენტაციას ამზადებენ. პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ იმართება დისკუსია, რომლის საფუძველზეც მოსწავლეები დარღვევის თავიდან ასაცილებელ რეკომენდაციებს შეიმუშავენ.

ბ. მოსწავლეები შეიმუშავენ პროექტს საკუთარ რეგიონში/ქალაქში საგზაო შემთხვევების შესამცირებლად (მაგ., რეგიონში/ქალაქში საგზაო შემთხვევების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება, საგზაო შემთხვევების გამომწვევი ძირითადი პრობლემების განსაზღვრა და მისი გადაჭრის სავარაუდო გზების დასახვა). პროექტზე მუშაობისას სასურველია მოსწავლეთა თანამშრომლობა მართლწესრიგის ოფიცერთან.

პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებს მოსწავლეები პრეზენტაციის სახით წარმოადგენენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

თემა: კულტურული მრავალფეროვნება ჩემ გარშემო (2 საათი)

თემის მიზანი: მოსწავლეები გაიგებენ, რომ ინდივიდუალური განსხვავებები საზოგადოების ცხოვრებას მრავალფეროვნას, ხარისხიანს, საინტერესოსა და ფასეულს ხდის.

საკვანძო შეკითხვები:

რა განაპირობებს ადამიანთა განსხვავებულობას?

რატომ არის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ადამიანთა განსხვავებულობა?

როგორ უწყობს ხელს ადამიანთა განსხვავებულობა საზოგადოების განვითარებას?

თემატური ცნებები:

- განსხვავებულობა
- თავისებურება
- მსგავსება
- ურთიერთქმედება
- კულტურა

ამ თემისთვის განკუთვნილი აქტივობების ნიმუშები მოცემულია „[ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი](#)“, გვ. 111–119

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები (1 საათი):

2-3 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები ინტერვიუს იღებენ თემში მცხოვრები განსხვავებული კულტურის მქონე რამდენიმე ზრდასრულისგან (მაგ., ოჯახის, თემის, სამეზობლოს წევრი) სხვადასხვა საკითხის ირგვლივ (მაგ., დაბადებასთან, ქორწინებასთან, მეგობრობასთან, გარდაცვალებასთან დაკავშირებული ტრადიციები, ტრადიციული კერძი, ცეკვა, სამოსი). ინტერვიუსთვის საჭირო კითხვებს ჯგუფი მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით ამზადებს. ინტერვიუს საფუძველზე კი პრეზენტაციას ამზადებენ და წარუდგენენ კლასს.

ბ. მოსწავლეები, ოჯახის წევრებთან ერთად, მცირე პრეზენტაციას ამზადებენ საზოგადოებაში არსებული კულტურული ჯგუფების ურთიერთობის ტრადიციების შესახებ; ადარებენ კულტურული ჯგუფების ურთიერთობების ძველ და ახალ თავისებურებებს და ცვლილებების მიზეზებზე საუბრობენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.



დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასაგეგმად

მოქალაქეობა X კლასი

თემა: სამშვიდობო პროცესები

ავტორები: ნინო ჭიაბრიშვილი (სამუშაო ჯგუფის ლიდერი)

სოფიო ბაჩილავა

ბაკურ ხიჯაკაძე

კონსულტანტი: შალვა მეკრავიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2020 წელი.

დამხმარე რესურსი მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოცემული დამხმარე რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევით. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წამოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოქალაქეობა

X კლასი

თემა: სამშვიდობო პროცესები

საათების სავარაუდო რაოდენობა – 22 (+8)

საკითხები

1. საერთაშორისო საფრთხეები – 5 საათი;
2. მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები – 4 საათი;
3. საქართველო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში – 4 საათი;
4. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი – 4 საათი;
5. საქართველო და ევროპის კავშირი – 3 საათი;
6. გაერო – 2 საათი.

შემაჯამებელი სამუშაო - 8 საათი

ცნებები

სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები;

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები;

ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები;

სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება;

მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება.

საკვანძო შეკითხვები

- რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში? რატომ არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები?
- რატომ შეუძლიათ ქალებს სამშვიდობო პროცესებში პოზიტიური როლის შესრულება?
- რატომ აქცევს ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ადამიანს/საზოგადოებას/ საერთაშორისო საზოგადოებას მოძალადედ? რატომ არის აუცილებელი მოვლენებისთვის (აგრესია/ძალადობა) საკუთარი სახელის დარქმევა?
- რატომ არის მართლმსაჯულება (სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე) მშვიდობის წინაპირობა?

- რატომ არის ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემა?
- რატომ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიული/მილიტარისტული პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევა?
- რატომ აგებს სახელმწიფო პასუხს მისი, თუნდაც ერთი, მოქალაქის უფლებების დარღვევის შემთხვევაში?
- რატომ ხდება ურთიერთდაპირისმართული ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქის პასიურობის შემთხვევაში?
- როგორ შემიძლია მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სოციალიზაცია

- მიგრაციის თანამედროვე გამოწვევებზე (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) მსჯელობისას ემპათიისა და შემწყნარებლობის გამოვლენა (მოქ.საბ.1,2,3,4).

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები

- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების (ადამიანის უფლებები, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით (მოქ.საბ.1,2,3,4,10,11,13).

ინიციატივა

- საერთაშორისო საფრთხეებისა (ტერფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი) და მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) იდენტიფიცირება; მათი გადაჭრის შესაძლო გზებსა და ამისთვის საჭირო რესურსებზე მსჯელობა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7, 8,9,10,11,12,13).

სამოქალაქო მონაწილეობა

- სამშვიდობო პროცესებში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება (მოქ.საბ.2,6,8,9).

მდგრადი განვითარება

- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით (მოქ.საბ.1,2,3,10,11,13).

მკვიდრი წარმოდგენები

- ადამიანის უფლებების დაცვა და სამშვიდობო პროცესების უზრუნველყოფა საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., გაერო, სტრასბურგის სასამართლო) მთავარი ამოცანაა;
- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია;
- თავდასხმითი ომის გამოცხადებით სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების უფლებებსაც არღვევს;
- ომსაც აქვს შეზღუდვები;
- საერთაშორისო საფრთხეების (ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი) წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ადამიანების, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი;
- პასიურობა და ნიჰილიზმი ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს;
- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში ბავშვს უფროსებისგან დამოუკიდებლად შეუძლია განცხადების გაგზავნა.

ეტაპების/ნაბიჯების სახით სასწავლო თემის აგების ნიმუში

1. საკითხი: საერთაშორისო საფრთხეები (5 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისთვის; მსოფლიოში და საქართველოს წინაშე არსებული საერთაშორისო საფრთხეების (ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი და სხვ.) არსს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს; პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლს საერთაშორისო საფრთხეებთან ბრძოლასა და მშვიდობის დამყარებაში; აქტივიზმისა და ინფორმირების მნიშვნელობას მშვიდობიანი და სტაბილური გარემოს შენარჩუნებისთვის.

საკვანძო შეკითხვები:

- რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის მშვიდობას, უსაფრთხო და სტაბილურ გარემოს?
- რა საერთაშორისო საფრთხეების წინაშეა თანამედროვე მსოფლიო და საქართველო და როგორ იბრძვის მშვიდობის შესანარჩუნებლად?
- რაში მდგომარეობს ტერორიზმის არსი და რა კავშირი აქვს მას ფუნდამენტალიზმთან?
- რა როლი აქვს ინფორმირებულობას საერთაშორისო საფრთხეებთან ბრძოლაში?
- როგორ შეუძლია მოქალაქეს საერთაშორისო და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობა და წვლილის შეტანა?

თემატური ცნებები:

- საერთაშორისო საფრთხეები
- საერთაშორისო საფრთხეები საქართველოში
- საერთაშორისო უსაფრთხოება
- ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი
- საინფორმაციო აქტივიზმი

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს [საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტს](#). მასწავლებელი კლასს დაყოფს ხუთ ჯგუფად, თითოეული ჯგუფი მოამზადებს პრეზენტაციას დოკუმენტში აღწერილ ერთ-ერთ საფრთხეზე და წარუდგენს კლასს. მოსწავლეები შეადარებენ 2010-2013 წლის მდგომარეობით მიმოხილულ სიტუაციას დღევანდელობასთან (მაგ., 2018 წლის დოკუმენტი [საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზი](#)) და უკვე აღმოფხვრილ საფრთხეებსა და ქვეყნის წინაშე არსებულ ახალ გამოწვევებზე იმსჯელებენ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას - [საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში](#). მასწავლებელი კლასს ხუთ ჯგუფად დაყოფს, თითოეული ჯგუფი გაეცნობა დოკუმენტს, მოამზადებს პრეზენტაციას საერთაშორისო თანამშრომლობაში საქართველოს მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმის შესახებ და წარუდგენს კლასს.

აქტივობა

მასწავლებელი ატარებს მინილექციას თემაზე - კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (გენოციდი, ეკოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული). მოსწავლეები [მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის](#) (მე-7, მე-16, მე-17, მე-20, 21-ე მუხლების) გამოყენებით მსჯელობენ, თუ რა შეზღუდვები და პრივილეგიები არსებობს საქართველოში კაცობრიობის წინაშე დამნაშავეებისა და დამსახურების მქონე უცხოელი ადამიანებისთვის მოქალაქეობის ჭრილში. [საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის](#) მე-14 კარში, „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“, მოცემულია საჭირო ინფორმაცია მინი ლექციის ჩასატარებლად.

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ ერთ-ერთ სიუჟეტს მაღალა იუსაფზაის შესახებ [მაღალას ამბავი](#) ან [მაღალა | გოგონა, რომელსაც მსოფლიოს შეცვლა სურს](#); იმსჯელებენ, თუ რა საფრთხეები შეიძლება წარმოშვას ფუნდამენტალიზმმა. მასწავლებელი მართავს დისკუსიას ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის საუკეთესო იარაღის შესახებ. ხაზი ესმება მოსწავლეთა დამოკიდებულებას საკითხისადმი „რატომ არის მნიშვნელოვანი, გოგონებსა და ბიჭებს თანაბრად ჰქონდეთ განათლების მიღების შესაძლებლობა“.

აქტივობა

მოსწავლეები უსმენენ შაბანა ბასიჯ-რასიხის TED საუბარს [Dare To educate Afghan girls](#) ქართული სუბტიტრებით; მსჯელობენ გამოსვლის ძირითადი სათქმელის შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი აწყობს ვიდეოჩვენებას ტერორიზმის თემატიკაზე – [მსოფლიო ტერორიზმი](#). მოსწავლეები განიხილავენ ვიდეოფილმის შინაარსს და მსჯელობენ შემდეგ საკითხებზე:

- ტერორიზმი - ტერორიზმის გამომწვევი მიზეზები;
- ტერორიზმი ყოველთვის იწვევს უდანაშაულო მსხვერპლს;
- ტერორიზმის კონტროლის მექანიზმი.

აქტივობა

მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით დისკუსიას მართავენ თემაზე - „რელიგიის თავისუფლება და ფუნდამენტალიზმი“.

დისკუსიის კითხვები:

1. რა იწვევს საზოგადოებაში ღირებულებათა კონფლიქტს?
2. რა საზოგადოებრივ საფრთხეებთან არის დაკავშირებული ღირებულებათა კონფლიქტი?
3. თქვენი აზრით, რატომ ჩნდება ღირებულებათა კონფლიქტი გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისას?
4. როგორ შეიძლება, შეიზღუდოს რელიგიის თავისუფლება თანამედროვე სამყაროში?
5. თქვენი აზრით, რა საფრთხეები ახლავს ფუნდამენტალიზმს? რატომ?
6. დაასახელეთ ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრის გზა/გზები.

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ ფილმს [ტალღა/The Wave](#) (რეჟისორი: დენის განზელი, გამოშვების წელი: 2008). ფილმის ჩვენების შემდეგ მოეწყობა დისკუსია და აზრების გაზიარება შემდეგი საორიენტაციო მიმართულებებით:

- რადიკალიზმი და ექსტრემიზმი ახალგაზრდებში;
- სკოლის როლი რადიკალიზმის პრევენციაში;
- ჩვენს რეალობაში არსებული რადიკალიზმის წყაროები.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო მექანიზმების შესახებ – [ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა](#). მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ როგორ შეიძლება ტრეფიკინგთან ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, ინფორმირებისა და ცნობიერების გაზრდით, თითოეული მოქალაქის აქტიურობით.

აქტივობა

კლასი უსმენს სიმღერას - [We are the world](#), სიმღერის მოსმენის შემდეგ იმართება საუბარი თემაზე: სამოქალაქო საზოგადოების და თითოეული მოქალაქის როლი საერთაშორისო საფრთხეებით დაზარალებულთა დახმარებაში და საფრთხეების პრევენციაში.

მასწავლებელს დამატებით რესურსად შეუძლია, გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელოში - [ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზმის პრევენცია](#) (გვ. 47-51) - მოცემული სავარჯიშოები და დავალებები.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 2 საათი:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით შეადგენენ კითხვარს საერთაშორისო საფრთხეების, მათ შორის, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ და გამოკითხვას ჩაატარებენ სკოლის თემში. გამოკითხვის მიზანია სკოლის თემის ინფორმირებულობის დონის დადგენა საერთაშორისო საფრთხეებთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით,

საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეები მოამზადებენ საინფორმაციო პოსტერებს საერთაშორისო საფრთხეების თემატიკაზე სკოლის თემის ინფორმირების მიზნით.

ბ. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას [საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის](#) მეთოთხმეტე კარის XLVII თავიდან „დანაშაული კაცობრიობის, მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ“ (სურვილის შემთხვევაში, შეიძლება სპეციალისტის მოწვევაც აღნიშნულ თემატიკაზე ლექციის ჩასატარებლად). მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციებს/პოსტერებს თემაზე, თუ რომელი ქმედებები მიიჩნევა კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად ქართული კანონმდებლობის მიხედვით და როგორ ისჯება აღნიშნული ქმედებები. პრეზენტაციის მიზანია სკოლის თემის ინფორმირება კაცობრიობის წინაშე არსებულ დანაშაულებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით.

გ. მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ამუშავებენ დამხმარე სახელმძღვანელოს „[მალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზმის პრევენცია](#)“ მე-5 თავს – „რადიკალიზაცია და ექსტრემიზმი ახალგაზრდებში - ნიშნები, მიზეზები, ამოცნობა, რეაგირება და თავიდან აცილება“. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, თითოეული წყვილი მოამზადებს საკონფერენციო თემას გაკვეთილზე განხილულ ერთ ან მეტ საკითხზე (ნიშნები, მიზეზები, ამოცნობა, რეაგირება და თავიდან აცილება). შემდეგ იმართება მოსწავლეთა კონფერენცია. მოსწავლეები თავიანთ მოხსენებებს გააცნობენ კლასს/სკოლის თემს.

დ. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად დაამუშავებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას [ადამიანით ვაჭრობის თემაზე](#). კლასი დაიყოფა ჯგუფებად და პრეზენტაციის მოსამზადებლად დაინაწილებენ შემდეგ თემებს: ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაცია, საზოგადოების ინფორმირება და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მოსწავლეები პრეზენტაციებს წარუდგენენ კლასს/სკოლის თემს.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

2. საკითხი: მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები (4 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ მიგრაციის არსს და მნიშვნელობას თანამედროვე პერსპექტივაში; გაეცნობიან მიგრაციის ლეგალურ და არალეგალურ, ნებაყოფლობით თუ იძულებით ფორმებს; იმსჯელებენ მიგრაციის გამომწვევ/ხელშემწყობ მიზეზებზე, თანმდევ შედეგებზე, საფრთხეებსა თუ გამოწვევებზე; დაინახავენ მიგრაციის კავშირს ტრანსნაციონალურ

დანაშაულებთან, გაიაზრებენ სახელმწიფოს ეფექტიანი პოლიტიკის მნიშვნელობას მიგრაციის მართვის მიმართულებით; შეიმუშავენ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების პრევენციისა და მოგვარების შესაძლო გზებს.

საკვანძო შეკითხვები:

- რა არის მიგრაცია და რომელია მისი გამომწვევი, ხელშემწყობი მიზეზები? რატომ ხდებიან ადამიანები მიგრანტები?
- მიგრაციის რომელი ტიპები არსებობს და რა შესაძლო საფრთხეები ახლავს თითოეულ მათგანს?
- რა გავლენას ახდენს მიგრაცია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, შობადობის დონეზე?
- რატომ არის საჭირო თანამედროვე სამყაროში მიგრაციის ეფექტიანი მართვა? რა სიკეთეები შეიძლება ჰქონდეს მიგრაციას?
- რა საფრთხეების/გამოწვევების წინაშე დგას დღეს მსოფლიო აქტიური მიგრაციიდან გამომდინარე?
- რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველო მიგრაციის მართვის კუთხით?
- რა კავშირი აქვს მიგრაციას ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან (ტრეფიკინგი, ტერორიზმი და ა.შ.)?
- როგორ შეიძლება, გადაიჭრას მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები/საფრთხეები? (მაგ.: არალეგალური მიგრაცია, ტრეფიკინგი, სამუშაო ადგილების არარსებობის გამო შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადინება ქვეყნიდან და სხვ.).
- როგორ აისახება მიგრაცია მოსახლეობის (ადგილობრივი და მასპინძელი ქვეყნების) კეთილდღეობის დონესა და ხარისხზე?

თემატური ცნებები:

- მიგრაცია
- შრომის უფლება
- ლეგალური და არალეგალური მიგრაცია
- ტრანსნაციონალური დანაშაული
- მიგრაციის პოლიტიკა
- მიგრაციის ეფექტიანი მართვა
- ლტოლვილი
- დევნილი
- ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი

აქტივობა

მასწავლებელი ტექსტის სახით წარუდგენს მოსწავლეებს ზოგად ინფორმაციას [საქართველოში თავშესაფრის მიღების](#) შესახებ. მოსწავლეები ჯერ ინდივიდუალურად წაიკითხავენ ტექსტს, შემდეგ წყვილებში დაუსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს და შეამოწმებენ, რამდენად სწორად გაიგეს მასწავლებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ვის ეწოდება ლტოლვილი?
2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვის ენიჭება ჰუმანიტარული სტატუსი?
3. რა პროცედურების გავლაა საჭირო ლტოლვილის ან/და ჰუმანიტარული სტატუსის მისაღებად?
4. თანამედროვე საქართველოში რა პერიოდიდან დაიწყო ლტოლვილების გამოჩენა და რა ფაქტორებმა განაპირობა მათი რიცხვის ზრდა?

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს განსახილველად სთავაზობს „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ მომზადებულ 2 სოციალურ ვიდეო რგოლს ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების შესახებ, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან: [სირიიდან კონფლიქტს გამოქცეული ქალი](#) და [თავშესაფრის მაძიებლებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების დაცვა და გაძლიერება საქართველოში](#)

მოსწავლეები მსჯელობენ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები, შეიძლება, მოჰყვეს მიგრაციას.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს Amnesty Poland-ის მიერ მომზადებულ ვიდეოს [გაიხედეთ საზღვრებს მიღმა – 4 წუთიანი ექსპერიმენტი](#) (Look Beyond Borders - 4 minutes experiment), რომლის ანოტაციაში ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ლტოლვილებზე საუბრისას დეჰუმანიზებულ მეტყველებას ვიყენებთ, რომელიც ადამიანურ ტრაგედიას ციფრებამდე და სტატისტიკამდე აკნინებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, ეს ტრაგედია რეალურ ადამიანებს ეხება, რომლებსაც ჰყავთ ოჯახი, საყვარელი ადამიანები, მეგობრები, საკუთარი ისტორიები, ოცნებები, მიზნები... როდესაც კონკრეტული ადამიანის პირისპირ აღმოვჩნდებით და თვალებში ვუყურებთ, ჩვენს წინაშე ანონიმური ლტოლვილის ნაცვლად ადამიანს ვხედავთ, რომელიც ჩვენნაირია – უყვარს, სტკივა, ოცნებობს...¹

¹ 20 წლის წინ ფსიქოლოგმა არტურ არონმა აღმოაჩინა, რომ 4 წუთის განმავლობაში ერთმანეთის თვალებში ყურება ადამიანს აახლოებს. ამ აღმოჩენის გამოყენებით მარტივი ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტეს, რომლის დროსაც ლტოლვილები და ევროპელები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და თვალებში უყურებდნენ. ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთს დრო მივცეთ ურთიერთგაგებისა და გაცნობისათვის.

მოსწავლეები საუბრობენ ლტოლვილობაში ადამიანური ტკივილების გაზიარების მნიშვნელობაზე.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტის სახით წარუდგენს ზოგად ინფორმაციას [იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ](#). ტექსტი შეკითხვების შესაბამისად ნაწილებად იქნება დაყოფილი. მოსწავლეებს ჯგუფებში ურიგდებათ თემის ნაწილები, ისინი იმახსოვრებენ ინფორმაციას თავიანთი ნაწილებიდან, შემდეგ კი კლასის დანარჩენ წევრებს აცნობენ. სანამ ერთი ჯგუფი თავის ინფორმაციას ჰყვება, დანარჩენი მოსწავლეები ინიშნავენ; ასე გრძელდება მანამ, სანამ ინფორმაცია ამოიწურება და ყველა ჯგუფი თავის ნაწილს გააცნობს კლასის დანარჩენ წევრებს. როცა ინფორმაცია გამთლიანდება, მასწავლებელი ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს დასვამს.

აქტივობაში კლასის ყველა წევრი ერთვება და იმართება დისკუსია:

1. ვის ეწოდება იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი?
2. რა ძირითადი პრობლემები აქვთ საქართველოში დევნილებს?
3. ვინ ხელმძღვანელობს დევნილთა საკითხების მოგვარებას საქართველოში?
4. რომელია ორი უმთავრესი მიზეზი, რომელთა მიღწევაც სურს სახელმწიფოს დევნილებთან მიმართებაში?
5. რა ღონისძიებები განახორციელა სახელმწიფომ დევნილთა მხარდასაჭერად უკანასკნელი წლების განმავლობაში?

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს რეზოლუციას: „მიგრაცია - ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი?“ კლასი ორ „დაპირისპირებულ ბანაკად“ იყოფა. იმართება დებატები. ერთი ნაწილი ემხრობა იდეას, რომ მიგრაცია ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს, ხოლო მეორე ნაწილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ მიგრაცია აფერხებს ქვეყნის განვითარებას. დაპირისპირებული მხარეების მიზანია, რომ მინიმუმ არგუმენტები მოიყვანონ საკუთარი პოზიციის დასაცავად.

აქტივობა

ექსპერიმენტი ბერლინში ჩატარდა – ქალაქში, რომელიც, პირველ რიგში, უთანხმოების დამლევის სიმბოლოა და, მეორე, თანამედროვე ევროპის ცენტრად მიიჩნევა. გვსურდა, ექსპერიმენტის საფუძველზე შექმნილი ფილმი შეძლებისდაგვარად სიმბოლური ყოფილიყო და ადამიანთა შორის ზოგად განსხვავებებს შეხებოდა.

ექსპერიმენტის მონაწილეები ჩვეულებრივი, ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანები იყვნენ და სიტუაციაც არ იყო წინასწარ მომზადებული, რადგან ბუნებრივი, სპონტანური რეაქციების დაკვირვება სურდათ. ლტოლვილები სირიიდან იყვნენ და წელიწადზე მეტი იყო, რაც ევროპაში ცხოვრობდნენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს [საქსტატის 2018 წლის მონაცემებს ქვეყანაში მოსახლეობის შემოდინებისა და ქვეყნიდან მოსახლეობის გასვლის](#) შესახებ. მოსწავლეების მიზანია, არსებული მონაცემების გაანალიზებისა და შედარების საფუძველზე: ა) ჯგუფებში ჩამოაყალიბონ მიზეზები, რასაც შეიძლება, წლების განმავლობაში მონაცემთა ცვლილება გამოეწვიოს; ბ) იმსჯელონ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ მაჩვენებლებს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე.

მიგრაციის მიზეზები: https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/migracia-imigrantebi/mizezebi?fbclid=IwAR3E347BHN6GLpsrLk3xLwj9H_7bIUhf5SaY7UnnJ-hZkc5Ue7nfnl03A
მიგრაციის განხილვა: <https://forbes.ge/blog/104/migracia---qveynis-ganviTarebis-mastimulirebeli-Tu-Semaferxebeli-factori?fbclid=IwAR2o6GUMOABGiO0qacWOgtpjqM5h0ram5e684RMUPHvSkM3DfamXPvpNZ5w>

აქტივობა

მოსწავლეები ხუთ ჯგუფად იყოფიან. მათი მიზანია, შეიმუშაონ კითხვარი და ინტერვიუ ჩაატარონ მიგრაციაში ყოფნის გამოცდილების მქონე (მაგ.: ემიგრანტები/იმიგრანტები) ადამიანებთან (მინიმუმ სამი ინტერვიუ). „მიგრაციის“ თემის ფარგლებში მოსწავლეები, საკუთარი სურვილისამებრ, არჩევენ იმ კონკრეტულ საკითხებს, რომლებზეც ყურადღების გამახვილება სურთ (მაგ.: „საზღვარგარეთ დასაქმება - გამოწვევები და საფრთხეები“). ჯგუფები ინტერვიუებს გაანალიზებენ და შედეგებს პრეზენტაციის სახით წარუდგენენ კლასის დანარჩენ წევრებს.

აქტივობა

მოსწავლეები გაეცნობიან სერჯიო გუტილას ლექსს² [ეს რომ შენი შვილი იყოს](#). იმსჯელებენ იძულებითი მიგრაციის შედეგებზე, სირთულეებზე, რომლის გადალახვაც უწევთ მიგრანტებს; ყურადღებას გამახვილებენ, რამდენად მნიშვნელოვანია თანაზიარობა და სხვისი უფლებების დასაცავად ბრძოლა.

აქტივობა

მოსწავლეები უყურებენ ვიდეოს [თავისუფლების #კითხვები: როგორია მიგრაცია რიცხვებში?](#) და იმსჯელებენ, თუ რას იწვევს აღნიშნული ინფორმაციის დამახინჯება და ვის ინტერესში შეიძლება შედიოდეს არასწორი ინფორმაციის გავრცელება. მოსწავლეები, ასევე, გამოკვეთენ გზებს, თუ როგორ შეიძლება ინფორმაციის გადამოწმება.

² ლექსი 2018 წელს არის დაწერილი და სამარ მოქმედებას გაქცეულ და ზღვაში მაშველი გემის მოლოდინში დაღუპულ 100 მიგრანტს ეძღვნება. ევროპაში მიგრანტების კრიზისის მართვასთან დაკავშირებული შეთანხმებების მიუხედავად, ხმელთაშუა ზღვაში 3 ბავშვი დაიხრჩო, ხოლო დაახლოებით 100 ადამიანი უკვალოდ დაიკარგა ლიბიის სანაპიროსთან მიგრანტებით სავსე ნავის ჩაძირვის შედეგად.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ემანუელ მაკრონის ფრაზას: „მე საერთოდ არ მჯერა ხალხის, ვინც კედლებს ააშენებს, რადგან კედლები საქმეს არ შველის. ჩვენ შეგვიძლია თვალები დავხუჭოთ ან დავიმალოთ, მაგრამ მიგრაცია მაინც გაგრძელდება, მოგვწონს ეს თუ არა, რადგან ჩვენ მიგრაციის სამყაროში ვცხოვრობთ“. წყაროს ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებმა ინდივიდუალურად უნდა დაწერონ ესე: „მიგრაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორები თანამედროვე მსოფლიოში“.

ესე უნდა შეიცავდეს: შესავალს, მინიმუმ სამ არგუმენტს ფაქტობრივი დასაბუთებით, დასკვნას.

აქტივობა

მოსწავლეებს მცირე ჯგუფებში უნაწილდებათ ტექსტი: [საერთაშორისო შრომითი მიგრაცია – გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი](#)

ჯგუფებმა უნდა გააანალიზონ ტექსტი და გამოყონ შრომითი მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. შემდეგ მოახდინონ SWOT ანალიზი.

აქტივობა

კლასი იყოფა ჯგუფებად. ჯგუფები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო მეტ ქვეყანას დაასახელებს, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ მიმოსვლა შეუძლიათ. შემდეგ მასწავლებელი ურიგებს თითოეულ ჯგუფს მსოფლიო რუკას (იხ. ნაშრომი [ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი](#), 2017, გვ. 17–18), რომელზეც აღნიშნულია ქვეყნები, სადაც საქართველოს მოქალაქეებისთვის ნებადართულია უვიზო მიმოსვლა. მოსწავლეები შეადარებენ თავიანთ ნამუშევარს და გამოავლენენ გამარჯვებულს.

მასწავლებელს დამატებით რესურსად შეუძლია გამოიყენოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს მიერ გამოცემული ნაშრომი [ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი](#), 2017.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ-ერთს:

ა. მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებად ჰყოფს და შემაჯამებელი სამუშაოს სახით აძლევს **კვლევით პროექტს**, სადაც გაწერილია:

- საკვლევი საკითხი;
- კვლევის მიზნები;
- ამოცანები;

- კვლევის ვადები;
- რესურსები/ბიუჯეტი;
- მოსალოდნელი შედეგები;
- კვლევის მონიტორინგი/შეფასება.

მოსწავლეები ჩაატარებენ რაოდენობრივ კვლევას, თემაზე „ემიგრაცია“. კვლევის ინსტრუმენტი იქნება სტრუქტურირებული კითხვარი (სტრუქტურირებულ კითხვარში დახურული კითხვები შედის, რომლებსაც თან ახლავს არჩევითი სავარაუდო პასუხები, მაგ: სქესი: ა) მდედრობითი, ბ) მამრობითი. "რომელ ასაკობრივ ჯგუფს ასწავლით ამჟამად?" ა) სკოლამდელი ბ) საბაზო გ) საშუალო). კითხვარს მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით შეადგენენ ჯგუფებში.

კვლევის ფარგლებში მოხდება მეცხრე და მეთათე კლასის მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვა შემდეგი საორიენტაციო კითხვების საშუალებით: გყავთ თუ არა ემიგრანტი ოჯახში/ნათესავებში? როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გახდეს უცხო ქვეყანაში წასვლის მიზეზი? რა დადებითი/უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ემიგრაციას?

მოსწავლეები გააანალიზებენ რესპონდენტთა პასუხებს და დაწერენ კვლევის ანგარიშს, რომელსაც მოგვიანებით პრეზენტაციის სახით წარუდგენენ სკოლის თემს.

თავიანთი პრეზენტაციის ფარგლებში მათ უნდა წარმოადგინონ:

- სტატისტიკური მონაცემები;
- ძირითადი მიგნებები და ტენდენციები, რაც კვლევის შედეგად გამოვლინდა;
- დასკვნა
- რეკომენდაციები

მოსწავლეები შეფასდებიან წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

კრიტერიუმები	0	1	2
პროექტის სტრუქტურა	პროექტის სტრუქტურა დარღვეულია, აკლია ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა, არ არის დაწერილი აკადემიური ენით.	პროექტი კარგად არის სტრუქტურირებული, ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა დაცულია, თუმცა არ არის აკადემიური ენით დაწერილი.	პროექტის გეგმა სანიმუშოდაა სტრუქტურირებული, დაცულია ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა, დაწერილია აკადემიური ენით.

ვიზუალური მასალა	არ იყენებს თვალსაჩინოებას	იყენებს თვალსაჩინოებას, თუმცა, არ ხსნის მის კავშირს მიწოდებულ ინფორმაციასთან.	იყენებს თვალსაჩინოებას, რაც აუდიტორიას მიწოდებული ინფორმაციის ვიზუალიზაციაში ეხმარება.
აუდიტორიის ფლობა	არაა სათანადოდ მომზადებული, ვერ საუბრობს თავდაჯერებულად, ვერ ამყარებს თვალთ კონტაქტს აუდიტორიასთან	მომზადებულია, თუმცა, ნაწილობრივ ამყარებს თვალთ კონტაქტს აუდიტორიასთან, ან/და არ არის თავდაჯერებული	მომზადებულია სათანადოდ, არის თავდაჯერებული, ამყარებს თვალთ კონტაქტს აუდიტორიასთან.
არგუმენტირებული მსჯელობა	ვერ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ვერ მოჰყავს არგუმენტები.	აფიქსირებს თავის პოზიციას, ვერ მოჰყავს არგუმენტები.	აფიქსირებს თავის პოზიციას არგუმენტირებულად.
დროის ლიმიტი	ვერ ეტევა მისთვის განკუთვნილ დროში.	განკუთვნილ დროში ეტევა, თუმცა პრეზენტაციას ძალიან მალე ასრულებს.	მომხსენებელი ეტევა მისთვის განკუთვნილ დროში.

კითხვარის შედგენის მეთოდოლოგია

ბ. მოსწავლეებს დაურიგდებათ უმბერტო ეკოს სტატია: [მიგრაცია, შემწყნარებლობა და შეუწყნარებლობა](#). მოხდება ტექსტის წაკითხვა, გააზრება და გაანალიზება მასწავლებლის დახმარებით. მოსწავლეების მიზანია, ამ ტექსტის გაანალიზების საფუძველზე დაწერონ ესე იგივე სათაურით და იმ პროლემატიკაზე იმსჯელონ, რაც ტექსტში იყო წარმოდგენილი, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და დაასაბუთონ ისინი არგუმენტირებულად. (ნაშრომის შეფასებისას ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ რამდენადაა დაცული ესეს სტრუქტურა, არგუმენტირებული მსჯელობისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი).

გ. საქართველოს [პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზის](#) გამოყენებით მოსწავლეები მოამზადებენ პრეზენტაციას ცნობილ ან ნაკლებად ცნობილ ქართველ ემიგრანტზე. პრეზენტაციაში უნდა აისახოს: მოკლე ბიოგრაფია, უცხოეთში წასვლის მიზეზები, სირთულეები ემიგრაციაში, მიღწევები და გამოწვევების გადალახვა, მოღვაწეობის ან საქმიანობის სოციალური/ეკონომიკური/კულტურული მნიშვნელობა.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

3. საკითხი: საქართველო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში (4 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გაიაზრებენ სამშვიდობო და ჰუმანიტარული მისიების არსს; საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტულ მიზნებს; ამ მიზნების მიღწევაში სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში საქართველოს ჩართულობის მნიშვნელობას; შეძლებენ ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში საქართველოს როლის შესახებ საინფორმაციო აქტივობების დაგეგმვას.

საკვანძო შეკითხვები:

რას წარმოადგენს სამშვიდობო მისია და ჰუმანიტარული მისია?

რა არის საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტული მიზნები?

რა პერიოდიდან და რატომ დაიწყო საქართველოს სახელმწიფომ სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში დამოუკიდებლად მონაწილეობა?

რომელ სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობს საქართველო?

რა მნიშვნელობა აქვს სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში ჩართულობას საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის?

თემატური ცნებები:

- სამშვიდობო მისია
- ჰუმანიტარული მისია
- ნატო
- ევროატლანტიკური უსაფრთხოება
- შეიარაღებული კონფლიქტი
- ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე

აქტივობა

კლასი დაიყოფა ხუთ ჯგუფად, თითოეული ჯგუფი დაამუშავებს და კლასის წინაშე წარსადგენად მოამზადებს პრეზენტაციას

[საერთაშორისო მისიებზე](#), რომელშიც მონაწილეობდა ან მონაწილეობს საქართველო.

აქტივობა

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ნახავენ დოკუმენტურ ფილმს - [საქართველო მსოფლიო მშვიდობისთვის](#), რომელიც სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობის შესახებ მოგვითხრობს. ფილმში ასახულია სამშვიდობო მისიები, რომელშიც საქართველო მონაწილეობდა ან ამჟამად მონაწილეობს. ფილმში ხაზგასმულია აღნიშნული სამშვიდობო მისიების მიზნები და საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობა.

ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეები შემდეგ საორიენტაციო საკითხებზე იმსჯელებენ:

- ქართველი სამხედროების მოვალეობები და ამოცანები მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში;
- სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მნიშვნელობა და მიღებული გამოცდილება;
- საერთაშორისო მისიებში ქართული არმიის მონაწილეობის პოლიტიკური მნიშვნელობა და სარგებელი ქვეყნის განვითარებისთვის;
- რა მნიშვნელობა აქვს სამშვიდობო მისიებს კონკრეტული ქვეყნებისთვის, რომლებშიც მიმდინარეობს აღნიშნული მისიები;
- რა გავლენა აქვს მისიებს ზოგადად მსოფლიოზე და სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქვეყნებზე.

აღნიშნული საორიენტაციო კითხვების გამოყენებით, შესაძლებელია, მოსწავლეებს შევთავაზოთ ჯარისკაცისთვის წერილის მიწერა, პოსტერის, კომიქსის, მოთხრობის, ჟურნალისტური რეპორტაჟის, ვიდეორგოლის და სხვათა შექმნა.

აქტივობა

მასწავლებელი სთავაზობს საკლასო დისკუსიას/დებატებს თემაზე „უნდა მონაწილეობდეს თუ არა საქართველო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში“. დისკუსიის დროს მნიშვნელოვანია შემდეგ საკითხებზე მსჯელობა:

საერთაშორისო მისიებში საქართველოს მონაწილეობის მიღწევები და დადებითი შედეგები;

საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის უარყოფითი შედეგები;

საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი საერთაშორისო მისიებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

აქტივობა

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს [2008 წელს საქართველოში ჩატარებული პლებისციტის](#) შესახებ - საქართველოს ნატოში გაწევრიანების პლებისციტი. ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ ქართულ არჩევანზე, სამშვიდობო მისიებში ჩართვის აქტუალურობაზე ამ მიზნების მისაღწევად, ქვეყანაში არსებულ განსხვავებულ პოზიციებზე. გაკვეთილის ბოლოს კლასში ჩატარდება პლებისციტი საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დოკუმენტური ფილმის [წითელი ჯვრის პირველი ქართველი მედდა პირველ მსოფლიო ომში](#)³ ნახვას. სიუჟეტი მოგვითხრობს ნინო ჯორჯაძის შესახებ, რომელიც პირველ მსოფლიო ომში წითელი ჯვრის მოწყალეების და გახლდათ. ფილმის ნახვის შემდეგ იმართება დისკუსია ჰუმანიტარული მისიების მნიშვნელობის შესახებ. მასწავლებელი ხაზს უსვამს მათში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მარო მაყაშვილიც წითელი ჯვრის ერთ-ერთი მოხალისე იყო.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

მცირე ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ-ერთს:

ა. მოსწავლეები მოამზადებენ და სასკოლო თემს წარუდგენენ საინფორმაციო პლაკატებს/პრეზენტაციებს საერთაშორისო მისიებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ (სანიმუშოდ იხ. რესურსები: [ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე](#), [საერთაშორისო მისიები](#)) პლაკატების მიზანია იმ საერთაშორისო მისიების შესახებ, რომლებშიც ქართული არმია მონაწილეობდა, შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: მონაწილეობის მიღწევები, შედეგები და მიღებული გამოცდილება. პლაკატი/პრეზენტაცია, ასევე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ქართველი მშვიდობისმყოფელის დღეზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამ დღის აღსანიშნავად იმართება.

ბ. მოსწავლეები მოამზადებენ და სასკოლო თემს წარუდგენენ საინფორმაციო პლაკატებს/პრეზენტაციებს [საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის](#) შესახებ. პლაკატი/პრეზენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: საქართველოს წითელი ჯვრის ისტორია; საქართველოს წითელი ჯვრის საქმიანობის სფეროები; მიმდინარე პროექტები; მოხალისეობა; სახელმწიფოს გარანტიები და ხელშეწყობა ორგანიზაციის მუშაობაში.

დამატებით რესურსად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს: [საქართველოს მთავრობასა და წითელ ჯვარს შორის დადებული ხელშეკრულება](#)

გ. ისტორიის მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები მოიძიებენ ისტორიულ ფაქტებს საერთაშორისო კონფლიქტებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეარჩევენ ერთ-ერთ საერთაშორისო მისიას, რომელშიც საქართველო 1992 წლის შემდეგ მონაწილეობდა. ინფორმაციის დამუშავების შედეგად მოსწავლეები შექმნიან ნაშრომს/თემას/პრეზენტაციას „საქართველო საერთაშორისო მისიაში, ისტორიული და თანამედროვე გამოცდილება.“

³ ვიდეოს დასაწყისში სარიყამიშის ბრძოლასთან დაკავშირებული ციტატა 1914 წლის მარტით არის დათარიღებული. ცნობილია, რომ ეს ბრძოლა დეკემბერში დაიწყო.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

4. საკითხი: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (4 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გაეცნობიან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შექმნის ისტორიას, ძირითად პრინციპებსა და სამართლებრივ დოკუმენტებს; გააცნობიერებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსს: ვის იცავს, რა შემთხვევაში გამოიყენება და რა როლი აქვს მას შეიარაღებული კონფლიქტების დროს; გაიაზრებენ განსხვავებას საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს შორის; კონკრეტული მაგალითების საფუძველზე მოსწავლეები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სიკეთეებზე მსჯელობას შეძლებენ.

საკვანძო შეკითხვები:

- რა არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?
- ვის იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?
- რა როლი აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შეიარაღებული კონფლიქტების დროს?
- რა განსხვავებაა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს შორის?
- რა შემთხვევაში მოქმედებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?
- რამდენად უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მშვიდობიანი მოსახლეობის (მათ შორის, ქალების და ბავშვების) დაცვას?
- როგორ იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საქართველოს მოსახლეობას?

თემატური ცნებები:

- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
- ჟენევის კონვენცია, ოქმები
- მშვიდობიანი მოსახლეობა
- ადამიანის უფლებათა სამართალი
- შეიარაღებული კონფლიქტი

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს ჯგუფებად. მას აქვს წინასწარ გამზადებული ტექსტი (ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი 3, [საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი](#)) თემასთან დაკავშირებით, რომელიც დაყოფილია იმდენ ნაწილად, რამდენი ჯგუფიცაა. თითოეულ ჯგუფს ტექსტის გარკვეული ნაწილი შეხვდება. აქტივობა შემდეგი ფაზებისგან შედგება:

- თემის ნაწილების დამუშავება ჯგუფების შიგნით;
- თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში;
- თემის ნაწილების გადაცემა ძირითად ჯგუფებში;
- მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სახლში ნახონ ფილმი [ბიჭი ზოლიან პიჯამში](#). ფილმის ნახვის შემდეგ კლასში იმსჯელებენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე, რომელიც ფილმის სიუჟეტში ირღვევა და გამოკვეთენ: რა მიზნით შეიძლება იყენებდნენ პროპაგანდას; საჭიროებებს, რის გამოც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციები და დოკუმენტები ადამიანის უფლებისა თუ ჰუმანიტარული სამართლის მიმართულებით.

ამავე სახელწოდების წიგნის ელექტრონული ვერსია მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ ბმულზე:

<https://eon.ge/book/%e1%83%91%e1%83%98%e1%83%ad%e1%83%98-%e1%83%96%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9c-%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%9f%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%98/>

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სახლში ნახონ ფილმი [წიგნის ქურდი](#). ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რა გავლენა აქვს ომს ადამიანის ცხოვრებაზე და როგორ მოქმედებს ის თავდასხმითი ომის წამომწყები ქვეყნის მოქალაქეებზე.

ამავე სახელწოდების წიგნის ელექტრონული ვერსიის ნახვა მოსწავლეებს შეუძლიათ ბმულზე:

<https://eon.ge/book/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98/>

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ ნაწყვეტს ფილმიდან [შინდლერის სია](#) (ნაწყვეტი ფილმიდან - SCHINDLER'S LIST); იმსჯელებენ სიცოცხლის, როგორც უმთავრესი ღირებულების მნიშვნელობაზე ომისა და მშვიდობის პირობებში.

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ შექმნილ ვიდეო რგოლს [საჩუქარი, რომლის მოტანა სანტას არ შეუძლია](#) (The one gift Santa can't deliver | The Laws Of War), შემდეგ კი იმსჯელებენ საორიენტაციო საკითხებზე:

- რა შედეგები მოჰყვება ომს და მიგრაციას ინდივიდებისთვის, ოჯახებისთვის, ქვეყნისთვის;
- რა როლი აკისრია ჰუმანიტარულ მისიებს ამ პროცესში.

აქტივობა

მოსწავლეები უყურებენ ინგლისურენოვან ანიმაციურ საინფორმაციო ფილმს [ომის წესები](#) (Rules of war (in a nutshell) The Laws Of War) ჰუმანიტარული სამართლის შესახებ. ფილმში მარტივად და გასაგებად არის ახსნილი ჰუმანიტარული სამართლის არსი, მნიშვნელობა და პრინციპები. ვიდეოს ნახვის შემდეგ მოსწავლეები თავიანთ აზრებსა და პოზიციებს გაუზიარებენ ერთმანეთს ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ სარეკლამო ვიდეორგოლს პირველი მსოფლიო ომის დროს ე.წ. [„საშობაო ზავის“](#) (1914 | Sainsbury's Ad | Christmas 2014) შესახებ და ომის აბსურდულობასა და სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობის მნიშვნელობაზე იმსჯელებენ.

აქტივობა

მოსწავლეები უყურებენ სიუჟეტს [ჰოლოკოსტი - გენოციდი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა](#); იმსჯელებენ ადამიანის უფლებებზე, რომელიც ჰოლოკოსტის დროს ირღვეოდა. მოსწავლეები გამოკვეთენ საჭიროებებს, რის გამოც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციები და დოკუმენტები ადამიანის უფლებისა თუ ჰუმანიტარული სამართლის შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ანა ფრანკის ისტორიას, რის შემდეგაც მოსწავლეები ეცნობიან [ანა ფრანკის დღიურის](#) ნაწყვეტებს: 1942 წლის 9 ოქტომბერი (გვ. 24); 1942 წლის 19 ნოემბერი (გვ. 32); 1944 წლის 25 მაისის ჩანაწერს (გვ. 144); 1944 წლის 15 ივლისის ჩანაწერის ბოლო აბზაცს (გვ. 158). დღიურის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები იმსჯელებენ ადამიანის უფლებებზე, რომელიც

აღნიშნული მოვლენის დროს ირღვეოდა. მოსწავლეები გამოკვეთენ საჭიროებებს, რის გამოც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციები და დოკუმენტები ადამიანის უფლებისა თუ ჰუმანიტარული სამართლის შესახებ.

აქტივობა

მოსწავლეები გაეცნობიან სასწავლო რესურსს [ჰუმანიტარული სამართალი](#); იმსჯელებენ ჰუმანიტარული სამართლის როლზე ომიანობისა და მშვიდობის დროს; ჰუმანიტარული სამართლის სუბიექტებზე; პასუხისმგებლობაზე, რომელიც ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისას შესაძლოა წარმოიშვას და იმ სუბიექტებზე, ვისაც შეიძლება დაეკისროს ამგვარი პასუხისმგებლობა.

აქტივობა

მოსწავლეები ნახავენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ შექმნილ ვიდეოს [შეუძლია ერთ გადაწყვეტილებას თქვენი ცხოვრების შეცვლა?](#) (Can one decision change your life? | The Laws of War) და იმსჯელებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ომში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების დაცვა.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ბრუნო ბოზეტოს ანიმაციას [კალიები](#) (CAVALLETTE (Grasshoppers) - Bruno Bozzetto), რომლის შემდეგ იმართება მსჯელობა შეიარაღებული კონფლიქტების ისტორიაზე და მის შედეგებზე კაცობრიობის განვითარების კონტექსტში.⁴

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ფრიდრიხ ნიცშეს გამონათქვამს: „სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი, აი კაცთა მოდგმის ისტორია“. იმართება მსჯელობა გამონათქვამის შესახებ ომისა და მშვიდობის პერსპექტივიდან.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 2 საათი:

2-3 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს ვთავაზობთ შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ერთ-ერთს:

ა. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები გეგმავენ ვიზიტს/ინტერვიუს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ქართველ წარმომადგენელთან.

⁴ შესაძლებელია მასწავლებელმა ეს აქტივობა ისტორიის მასწავლებელთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს.

მოსწავლეები წინასწარ მოამზადებენ შეკითხვებს მათთვის საინტერესო საკითხებზე; შემდეგ განახორციელებენ ვიზიტს წითელი ჯვრის საზოგადოებაში, სადაც ადგილზე გაეცნობიან საქართველოში წითელი ჯვრის დაარსების ისტორიას, მისიას, ინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ.

მოსწავლეები საკუთარ შთაბეჭდილებებს მათთვის სასურველი ფორმატით (მაგ: ესეს, ნახატის, პოსტერის სახით) გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას.

ბ. კლასი სამ ჯგუფად დაიყოფა. მოსწავლეებს დაურიგდებათ [ჟენევის კონვენციები](#):

- ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;
- სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ;
- ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ.

თითოეული ჯგუფი დაამუშავებს კონვენციას და უპასუხებს შეკითხვებს: 1. ვის და რას ეხება მოცემული კონვენცია? 2. რა უფლებები აქვთ კონვენციით დაცულ პირებს? რა არის აკრძალული კონვენციით დაცულ პირთა მიმართ? რა კეთდება კონვენციით დაცული პირებისთვის?

საკუთარ ნაშრომებს პოსტერების სახით წარუდგენენ კლასელებს.

გ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ნახონ მხატვრული ფილმი [ახლა საიტ წავიდეთ](#)? (რეჟისორი: ნადინ ლაბაკი, გამოშვების წელი: 2011). ფილმის საფუძველზე ამზადებენ პრეზენტაციას სასურველი ფორმატით (ბლოგი, სკოლის ვებ-გვერდზე (ფეისბუქგვერდზე) სიუჟეტი, ფლაერი, ანიმაცია, ადგილობრივ რადიოში/ტელევიზიაში სიუჟეტი და სხვ.), სადაც ხაზგასმული იქნება კონფლიქტის დაწყების სიმარტივე, უკან დახევის სირთულე, კონფლიქტში ჩართული მხარეების ღირებულებათა სისტემის მნიშვნელობა, კონფლიქტის არამალადობრივი გზებით მოგვარების ღირსება. მოსწავლეებისაგან შემდგარი ჟიური წინასწარ შექმნილი კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასებს ნამუშევრებს. გამარჯვებული ნაშრომის/ების ავტორთან/ებთან ეწყობა შეხვედრა, სადაც ისინი საკუთარ მოსაზრებებს სასკოლო საზოგადოებას გაუზიარებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

5. საკითხი: საქართველო და ევროპის კავშირი (3 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები ინფორმაციას მიიღებენ ევროკავშირის შესახებ; იმსჯელებენ და გააანალიზებენ იმ მოსალოდნელ შედეგებს, რაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას შეიძლება მოჰყვეს. მოსწავლეები გაეცნობიან საქართველო-ევროკავშირის

ურთიერთობის ისტორიას და საერთო გამოცდილებას. მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების გამოყენებით წარმოადგინონ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების შედეგები, ევროკავშირის წვლილი საქართველოს განვითარებაში; შეძლებენ მსჯელობას ვიზალიზერალიზაციის თანმდევ პერსპექტივებსა და გამოწვევებზე.

საკვანძო შეკითხვები:

- რა არის ევროკავშირი? როდის შეიქმნა ევროკავშირი? რა იყო ევროკავშირის შექმნის მიზანი?
- რა საერთო აქვთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს? რა შესაძლებლობები და პასუხისმგებლობები აქვთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს?
- როგორია საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა დღეს? რას საქმიანობს ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში?
- რა შესაძლებლობას იძლევა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობა?
- რას ნიშნავს უვიზო მიმოსვლით სარგებლობა? რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გადაადგილებისას? რა შეიძლება მოჰყვეს წესების დარღვევას?

თემატური ცნებები:

- ევროკავშირი
- ასოცირების ხელშეკრულება
- ვიზალიზერალიზაცია (უვიზო მიმოსვლა)
- ევროკომისია
- ლეგალური მიგრაცია

აქტივობა

მოსწავლეები უყურებენ ვიდეოფილმს - [ევროკავშირის წევრი ქვეყნები](#). შემდეგ იყოფიან მცირე ჯგუფებად და იმ შესაძლებლობებსა და პრივილეგიებზე მსჯელობენ, რომლითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები სარგებლობენ; ასევე, იმ სიკეთეებზე, რაც ევროკავშირის წევრობას მოჰყვება. საკუთარ ნააზრევს თანაკლასელებს გააცნობენ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, [პროსოპოგრაფიულ ბაზაში](#) მოიძიონ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოცემული სტატიები, რომლებშიც საქართველოს ევროპული არჩევანია დაფიქსირებული. მოსწავლეები კლასს აცნობენ ნაპოვნ სტატიებს და მსჯელობენ ევროპული არჩევის ისტორიულ მნიშვნელობასა და ამ არჩევის აქტუალობაზე დღევანდელობაში.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ევროკავშირში გაწევრიანების სამ მთავარ კრიტერიუმს (პოლიტიკური, ეკონომიკური, ინსტიტუციური) გააცნობს (იხ. [ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმები](#) გვ. 42). შემდეგ გაიმართება ფორუმი, რომელზეც მოსწავლეები შემდეგ საორიენტაციო საკითხებზე იმსჯელებენ:

- რამდენად აკმაყოფილებს თანამედროვე საქართველო აღნიშნულ კრიტერიუმებს;
- რა გამოწვევები აქვს საქართველოს ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიმართულებით;
- როგორია ქვეყნის პროგრესი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად.

აქტივობა

მოსწავლეები უყურებენ ვიდეოფილმებს [მე ვარ ქართველი, მასამადამე... ზურაბ ჟვანიას გამოსვლა](#). ვიდეოების ნახვის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ საქართველოს ევროპულ არჩევანზე; საქართველოს წარსულ თუ სამომავლო მიკუთვნებულობაზე; ევროკავშირის, როგორც ქართული არჩევნის მიზანზე. მათთვის სასურველი ფორმატით ამზადებენ ნაშრომს „მე ვარ ქართველი, მამასადამე ვარ ევროპელი“ და უზიარებენ სასკოლო საზოგადოებას.

აქტივობა

მოსწავლეები მსჯელობენ ვახტანგ გორგასლის ანდერძის მონაკვეთის შესახებ: „...ნუ დაუტევებთ გზასა ბერძენთასა“. ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- რა იგულისხმება აღნიშნულ მონაკვეთში;
- რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ანდერძს საქართველოსთვის;
- რა იყო ვახტანგ გორგასლის ისტორიული არჩევანი;
- რა კავშირი აქვს ქართულ ისტორიულ არჩევანს დღევანდლობასთან;
- ევროპის კავშირი, როგორ ქართული ისტორიული ანდერძის შესრულების ნაწილი.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ბროშურას [10 მითი ევროკავშირის შესახებ](#) და [ევროკავშირის პროექტებს](#) და მათთვის სასურველი ფორმატით მოამზადონ პრეზენტაცია თემაზე „საქართველო – ევროკავშირი“.

დამატებით რესურსად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ვებგვერდები: [საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი](#) და [ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია](#)

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

ა. მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს ჯგუფებად. მოსწავლეების მიზანია, განახორციელონ ინფორმაციული პროექტი ევროკავშირის თემაზე სკოლის თემში. თითოეული ჯგუფი ამუშავებს სასურველ საკითხს შემდეგი თემატიკიდან: ევროპის ქვეყანათა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება – ევროკავშირი; საქართველოს მიერ დადებული ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან; უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და შენგენის ზონაში; საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება.

პროექტში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- მიზანი
- ამოცანები
- პროექტის ვადები
- რესურსები/ბიუჯეტი
- მოსალოდნელი შედეგები
- კვლევის მონიტორინგი/შეფასება

მოსწავლეები ჯგუფებში შეიმუშავენ რაოდენობრივ კითხვარს, გამოკითხავენ სკოლის თემის კონკრეტულ წარმომადგენლებს (სასკოლო საზოგადოების განსაზღვრული რაოდენობა - ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები), დაამუშავენ მიღებულ შედეგებს და პრეზენტაციის სახით გააცნობენ მათ სკოლის თემს;

პროექტის მეორე ნაწილია ევროკავშირზე სასურველი ფორმატით (პრეზენტაცია, ვიდეო, ბუკლეტი, სიუჟეტი და სხვ.) მომზადებული ინფორმაციის გაცნობა სკოლის თემისთვის.

აღნიშნული დავალების შესრულებისას მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ შემდეგი რესურსები: [საქართველო და ევროკავშირი](#) და [გზამკვლევი ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლისთვის](#)

ბ. ევროპარლამენტის იმიტირებული პლენარული სხდომა

კლასი დაიყოფა ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ევროპარლამენტის დელეგატს. იმიტირებულ პლენარულ სხდომაზე განხილული იქნება ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა, მიღწეული შედეგები და მიღებული გამოცდილება, გამოწვევები, ურთიერთობის გაგრძელებისა და დაახლოების მიზანშეწონილობა თუ ამ გადაწყვეტილების გადახედვის აუცილებლობა.

მოსწავლეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ შემუშავებული არგუმენტები და კონტრარგუმენტები. პლენარული სხდომის ბოლოს მონაწილეებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზანშეწონილობის შესახებ.

აღნიშნული დავალების შესრულებაში მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ შემდეგი რესურსები: [საქართველო და ევროკავშირი](#)

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

6. საკითხი: გაერო (2 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გაეცნობიან: გაეროს შექმნის ისტორიას, მის სტრუქტურას, მიზნებს, პრინციპებს, მისიას, გაეროს მიერ მიღებულ ძირითად მნიშვნელოვან დოკუმენტებს; ინფორმაციას მიიღებენ გაეროსა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობებისა და საერთო გამოცდილებების შესახებ; იმსჯელებენ გაეროს იმ ძირითად დოკუმენტებზე, რომლებსაც მიერთებულია საქართველო.

გაეროს მნიშვნელობის გაანალიზების საფუძველზე, მოსწავლეები შეძლებენ, გააცნობიერონ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი წევრი ქვეყნების განვითარებაში (საქართველოს მაგალითზე).

საკვანძო შეკითხვები:

- რამ განაპირობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების დაარსების საჭიროება?
- რა არის გაერო და რა მისია აკისრია მას?
- რომელია გაეროს მიერ შექმნილი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები?
- რა ხარისხით იცავენ წევრი სახელმწიფოები ამ დოკუმენტებში გაწერილ მუხლებს?
- როგორია გაეროს სტრუქტურა და რომელ ორგანოს რა ფუნქცია აკისრია?
- როგორია გაეროს წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა?
- რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის გაეროს წევრობას? რამდენადაა დაცული საქართველოში ბავშვთა უფლებები? შშმ პირთა უფლებები? ადამიანის უფლებები? რატომ არის მნიშვნელოვანი ამ უფლებების დაცვა?
- როგორ ეხმარება გაერო საქართველოს მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის მშენებლობაში?

- რა განაპირობებს კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის შესახებ გადაწყვეტილებას?

თემატური ცნებები:

- გაერო
- ბავშვის უფლებები
- შშმ პირთა უფლებები
- ადამიანის უფლებები
- საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები
- მდგრადი განვითარება

აქტივობა

ჟურნალისტი/რესპონდენტი: ახალი ინფორმაციის მიწოდებამდე მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და სთხოვს, მოიზილონ ჟურნალისტი და რესპონდენტის როლი. ჟურნალისტის მიზანია, ჩაატაროს ინტერვიუ რესპონდენტთან გაეროს თემაზე, რესპონდენტი პასუხობს შეკითხვებს (მაგ.: რა იცით გაეროს შესახებ? რას ნიშნავს გაერო? არის თუ არა საქართველო გაეროს წევრი? რა როლს ასრულებს გაერო გლობალურ სამყაროში? და ა.შ.). კონკრეტული დროის შემდეგ წყვილები გაითამაშებენ თავიანთ როლებს კლასის წინაშე. მასწავლებელი ინიშნავს შეკითხვებს, რომლებზეც მოსწავლეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია და შემდეგ პასუხობს მათ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიდუალურად ურიგებს ამონარიდებს (კონკრეტულ მუხლებს) [ბავშვის უფლებათა კონვენციიდან](#); [ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან](#) და [შშმ პირთა უფლებების კონვენციიდან](#). მოსწავლეები დისკუსიის რეჟიმში მსჯელობენ იმის შესახებ, რომელი მუხლი ირღვევა/დაცულია საქართველოში.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ვებგვერდს [გაერო საქართველოში](#); სიიდან [გაეროს სააგენტოები](#) ინდივიდუალურად აირჩიონ მათთვის საინტერესო სააგენტო და მოამზადონ პრეზენტაცია, რომელსაც კლასს გაუზიარებენ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წყვილებში აირჩიონ [მდგრადი განვითარების 17](#) მიზნიდან მათთვის სასურველი ერთი მიზანი და მოამზადონ მისი მიმოხილვა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეებზე. ამ აქტივობისთვის დამატებით რესურსად მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ იუნისეფის ვებგვერდზე მოცემული [მდგრადი განვითარების მიზნები](#).

ამ საკითხზე მუშაობისას დამატებით რესურსად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს პროექტის „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ვებგვერდზე <https://www.living-democracy.com/ge/> მოცემული ნაშრომები:

განათლება დემოკრატიისთვის (<https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-1/>)

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში (<https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-3/>)

მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში (<https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-4/>)

ბავშვთა უფლებების კვლევა (<https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-5/>)

დემოკრატიის სწავლება (<https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-6/>)

ასევე:

სამოქალაქო განათლება ყველასათვის <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-15;>

ბავშვები ბავშვთა უფლებების შესახებ, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2017;

[ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება](#), მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი, 2017;

რუბენ გალიეგოს ავტობიოგრაფიული მოთხრობა [თეთრით შავზე](#);

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით, მასწავლებლის წიგნი, თბილისი, 2013.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები – 1 საათი:

ა. მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს [გაეროს მდგრადი განვითარების 17 გლობალურ მიზანს](#), რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის მანძილზე – 2016 წლიდან 2030 წლამდე. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და საკუთარი სურვილისამებრ ირჩევენ ერთ მიზანს. მათ უნდა იმსჯელონ ჯგუფებში და დასახონ ამ მიზნის მიღწევის კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელსაც შემდგომ პრეზენტაციის სახით წარუდგენენ თანაკლასელებს. სამოქმედო გეგმაში გაწერილი უნდა იყოს:

- ა) კონკრეტული ადგილი/რეგიონი/ქვეყანა, სადაც (მოსწავლეთა აზრით) ამ მიზნის მიღწევის საჭიროება დგას;
- ბ) ამოცანები დასახული მიზნის მისაღწევად (კონკრეტული ნაბიჯები/აქტივობები);
- გ) პერიოდი (კონკრეტული დრო), რაც საჭირო იქნება დასახული მიზნის მისაღწევად;
- დ) გეგმის წარმატებით განხორციელების ინდიკატორები (კონკრეტულად რის საფუძველზეც შეიძლება, ჩაითვალოს სამოქმედო გეგმა წარმატებულად).

ბ. გაეროს გენერალური ასამბლეის იმიტირებული სხდომა. მოსწავლეები წყვილებში მოემზადებიან გაეროს ასამბლეის იმიტირებული სხდომისთვის; მასწავლებლის რჩევით ან თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენლობა მოუწევთ სხდომაზე. კლასი შეარჩევს სხდომის ხელმძღვანელ ქვეყანას. გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომის იმიტირება ეძღვნება ადამიანის უფლებების დაცვისა და განვითარების თემატიკას. თითოეულმა ქვეყანამ (მოსწავლეთა წყვილმა) უნდა მოამზადოს მცირე პრეზენტაცია შემდეგ საკითხებზე:

- ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით;
- ადამიანის უფლებათა განვითარებისთვის არსებული გეგმა და სტრატეგია;
- ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვა და განვითარება;
- რასიზმის, დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და არატოლერანტული დამოკიდებულებების აღმოფხვრის ხერხები და გეგმა.

სხდომის დასასრულს ქვეყნები საერთო შეთანხმების გზით შეიმუშავენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და განვითარების ძირითად გეგმას სხდომაზე წარმოდგენილი პრეზენტაციებიდან საუკეთესო მიდგომების შერჩევით. გეგმა მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს წარმოდგენილ ქვეყანათა 2/3 (ეს წესი შეიძლება, შეიცვალოს კლასის საჭიროებიდან გამომდინარე).

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად არჩევს კომპლექსურ დავალებას, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.



USAID
ამერიკელი ხალხისათვის

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE



დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასაგეგმად

მოქალაქეობა VII კლასი

თემა: სასკოლო გარემო / სასკოლო საზოგადოება

ავტორი: ნინო ჭიაბრიშვილი

კონსულტანტი: შალვა მეკრავიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2019 წელი.

დამხმარე რესურსი მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოცემული დამხმარე რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება ავტორს და ის არ წამოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოქალაქეობა

VII კლასი

თემა: სასკოლო გარემო / სასკოლო საზოგადოება	საათების სავარაუდო რაოდენობა – 10 (+4)
საკითხები 1. უსაფრთხო სკოლა - 2 საათი; 2. სასკოლო თვითმმართველობა – 2 საათი; 3. თანასწორობა სკოლაში – 2 საათი; 4. „მწვანე სკოლა“ – 2 საათი; 5. ჩაგვრა (ბულინგი)– 2 საათი. შემაჯამებელი სამუშაო - 4 საათი	
ცნებები სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება	
საკვანძო შეკითხვები • რა და როგორ აყალიბებს სკოლაში არსებულ ჯგუფებს ერთიან სასკოლო საზოგადოებად? • როგორ გავხდეთ სასკოლო საზოგადოების წევრი? რა მიშლის ამაში ხელს? • როგორ და რატომ ვთანხმდებით ღირებულებებზე სკოლაში? როგორ აისახება ეს შეთანხმება ჩვენს ქცევაზე? • რატომ არსებობს სკოლაში თვითმმართველობა? როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად? ინიციატივების რეალიზაციისთვის? • როგორ და რაში იხარჯება სკოლის ფინანსები?	

• რატომ და როგორ უნდა ვითანამშრომლოთ სკოლაში განსხვავებული შეხედულებების /შესაძლებლობების/ წარმოშობის ადამიანებმა? რატომ უარესდება ურთიერთობები სკოლაში პიროვნული ღირსებების შელახვის შემთხვევაში? • როგორ შეიძლება, პირადი (პერსონალური) ინფორმაციის გამჟღავნებამ გავლენა მოახდინოს სასკოლო ურთიერთობებზე? • როგორ გადავჭრათ სკოლაში არსებული სირთულეები არამალადობრივი მეთოდებით? • რატომ ყალიბდება სკოლაში სტერეოტიპები (მაგალითად, ბიჭებისა და გოგონების არათანაბარი შესაძლებლობების შესახებ)? • როგორ და რატომ უნდა ვიზრუნოთ სკოლის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე?
აქტივობები იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (ჩაგვრა, ბულინგი), განათლების უფლების რეალიზაცია, უსაფრთხო სკოლა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქ.საბ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13); • სასკოლო თვითმმართველობაში (სასკოლო კლუბები, თანატოლთა მედიაცია) მონაწილეობა; საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში არსებულ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (დირექციასთან, სამეურვეო საბჭოსთან) თანამშრომლობა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,7,8,9,12,13); • სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა და მათი ინტერესების გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,12); პირადი და სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).
მკვიდრი წარმოდგენები • სასკოლო საზოგადოებას თავისი წესები და ღირებულებები აქვს; მე, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრს, ჩემი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები მაქვს; • სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა სკოლაზე ზრუნვას ნიშნავს;

- მოსწავლეებს საკუთარი იდეების, ინტერესებისა და ინიციატივების რეალიზება თვითმმართველობის საშუალებით შეუძლიათ;
- ადამიანის ღირსების პატივისცემა აუცილებელია სკოლაში მშვიდობიანი ურთიერთობებისთვის; სკოლაში კონფლიქტური სიტუაციების არაძალადობრივად მოგვარების მრავალი საშუალება არსებობს.

ეტაპების/ნაბიჯების სახით სასწავლო თემის აგების ნიმუში

1. საკითხი: უსაფრთხო სკოლა (2 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს მნიშვნელობას; შეძლებენ საკუთარი ადგილის პოვნას სასკოლო საზოგადოებაში; შეძლებენ პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანას (ამ თემაზე მუშაობისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მოსწავლეები უსაფრთხო სკოლის შექმნის საუკეთესო რესურსია. თუკი მოსწავლეები სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას აიღებენ, შეუძლიათ, პოზიტიურად და მდგრადად იმოქმედონ საკუთარ სასწავლო გარემოზე.)

საკვანძო შეკითხვები:

ვინ არიან სასკოლო საზოგადოების წევრები?

როგორ ყალიბდება სასკოლო საზოგადოება?

როგორია სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებები და ვალდებულებები?

რატომ არის მნიშვნელოვანი სასკოლო საზოგადოებაში ჯანსაღი კომუნიკაცია?

როგორ შეგვიძლია, შევქმნათ და შევინარჩუნოთ უსაფრთხო სასკოლო გარემო?

თემატური ცნებები:

- სასკოლო საზოგადოება
- უფლებები და ვალდებულებები
- წესები და პროცედურები
- დისციპლინა
- უსაფრთხო გარემო

აქტივობა

მოსწავლეები 4–5 კაციან ჯგუფებში მუშაობენ და ქმნიან „საკლასო ქცევების კოდექსს“. ჯგუფები ერთმანეთს ნამუშევრებს უზიარებენ. იმართება დისკუსია „საკლასო ქცევების კოდექსის“ მნიშვნელობაზე ინდივიდისა და საკლასო საზოგადოების უსაფრთხოებისთვის. დისკუსიის საფუძველზე მოსწავლეები საბოლოო სახეს ამღებენ კოდექსს (შესაძლოა, საჭირო გახდეს დებულებების დამატება, ამოღება, შეცვლა). კონკრეტული კლასის კოდექსის საბოლოო ვერსიას ყველა მოსწავლე ხელმოწერით ადასტურებს.

მასწავლებელი ხაზს უსვამს კლასის, როგორც საზოგადოების მოდელისა და მოსწავლეების, როგორც ამ საზოგადოების ცალკეული ინდივიდების, ჯანსაღი ურთიერთქმედების მნიშვნელობას; აღნიშნავს, რომ ინდივიდი ერთდროულად რამდენიმე საზოგადოების წევრი შეიძლება, იყოს; აღნიშნავს წევრობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

ყურადღებას ამახვილებს, რომ კლასში/თემში/საზოგადოებაში განსხვავებული მიზნების, ინტერესების, შეხედულებების, საქმიანობის, ჰობის, საცხოვრებელი ადგილის, სქესის, ეროვნების ან პრობლემების მქონე ადამიანები ერთიანდებიან. ამ ერთობის საფუძველი ადამიანებს შორის ურთიერთობაა; ყურადღებას ამახვილებს ოჯახში, სკოლაში, თემსა და საზოგადოებაში ურთიერთობების მრავალმხრივობაზე, მსგავსებასა და განსხვავებაზე.

აქტივობა

მოსწავლეები 4–5 კაციან ჯგუფებში მუშაობენ და ერთმანეთს ადარებენ საკუთარი ძალებით შექმნილ „საკლასო ქცევების კოდექსს“ და „[მოსწავლის ქცევის კოდექსს](#)“ (მასწავლებელს შეუძლია, წინასწარ მონიშნოს და მიუთითოს, მისი აზრით, მნიშვნელოვანი ადგილები); მსჯელობენ ამ ორი დოკუმენტის მნიშვნელობაზე ინდივიდისა და მთლიანად სასკოლო თემისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მათთვის ნაცნობი (საყვარელი, საინტერესო) რომელიმე თამაში და ამ თამაშის წესები ფურცელზე ჩამოწერონ; სთხოვს, ისაუბრონ ამ წესების მნიშვნელობაზე: რატომ ვიგონებთ და ვადგენთ წესებს? შესაძლებელია თუ არა წესების გარეშე ნებისმიერი საქმიანობის შესრულება? გვიადვილებს თუ გვირთულებს წესები ცხოვრებას?

სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი კითხვების საშუალებით აკავშირებს ამ აქტივობას წინა აქტივობასთან და შეჯამებისას მოსწავლეებთან ერთად განაზოგადებს ქცევის წესების საჭიროებას.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეთა 4–5 კაციან ჯგუფებს ურიგებს ფურცლებზე ამოთქმულ დიმიტრი უზნაძის სიტყვებს: „ნამდვილი დისციპლინა შეგნებული ხასიათისაა. დისციპლინას მხოლოდ მაშინ ექნება მაქსიმუმი აღმზრდელობითი მნიშვნელობისა, როდესაც ბავშვები თვითონ იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ და თვითონვე ცდილობენ თავისი შეგნებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას“. ჯგუფები ირჩევენ წარმომადგენელს ჯგუფის მოსაზრების გაზიარებისთვის; იმართება დისკუსია გააზრებული დისციპლინის მნიშვნელობაზე მშვიდობიანი სასკოლო გარემოსთვის.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სიტყვა „[პროცედურის](#)“ განმარტებას: „რისამე შესასრულებლად, განსახილველად საჭირო მოქმედებათა, ღონისძიებათა თანამიმდევრობა“ და სთხოვს, მოამზადონ პრეზენტაცია, სადაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- გაიხსენონ შემთხვევა, როცა აუცილებელი იყო პროცედურის დაცვა;
- გაადვილა თუ გაართულა პროცედურამ საქმიანობა?
- რას გრძნობდნენ მოქმედებათა თანამიმდევრობით შესრულებისას?
- სასურველი/საჭიროა თუ არა დადგენილი პროცედურების დაცვა?
- როგორ შეიძლება, ხელი შევუწყოთ პროცედურების დაცვას?

აქტივობის შეჯამებისას მასწავლებელი ხაზს უსვამს პროცედურების დაცვის აუცილებლობას ნებისმიერი საქმიანობის წარმატებით შესრულებისა და, ზოგადად, სკოლაში წესრიგის მიზნით.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ სასკოლო დაუწერელი წესის მაგალითი (მაგ., პირადი ჰიგიენის დაცვა, საკუთარი მაგიდის/ნივთების წესრიგი, თავაზიანი საუბარი, სკოლის დერეფანში/კიბეზე მოძრაობა და ა.შ.). შექმნან ამ წესების პოსტერი და ისაუბრონ დაწერილი და დაუწერელი წესების დაცვის აუცილებლობაზე სასკოლო გარემოს უსაფრთხოებისთვის.

აქტივობა

მასწავლებლის დავალებით და დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთან შეთანხმებით, მოსწავლეები დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ესაუბრებიან სკოლის თემის დაწერილი და დაუწერელი წესების შესახებ და მათი დაცვის მნიშვნელობაზე.

შენიშვნა: ამ თემისთვის დამატებით რესურსად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს [უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოში](#) მოცემული სიტუაციები. კერძოდ, განიხილოს საფრთხის III დონის შემთხვევები, რომელიც სახელმძღვანელოს 41–45 გვერდებზეა მოცემული. ეს შემთხვევები, შეგვიძლია, სიტუაციურ სავარჯიშოებად შევთავაზოთ მოსწავლეებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები ინტერვიუს იღებენ რამდენიმე ზრდასრულისგან (მაგ., ოჯახის, თემის, სამეზობლოს წევრი) იმის შესახებ, თუ რა დაწერილი და დაუწერელი წესები და პროცედურები იყო სავალდებულო მათ სკოლაში, როგორ ზრუნავდა სასკოლო საზოგადოება ამ წესებისა და პროცედურების დაცვაზე; უსაფრთხო იყო თუ არა სასკოლო გარემო და რა განაპირობებდა უსაფრთხოებას ან საფრთხეს; რა გავლენა მოახდინა სასკოლო გარემომ მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ინტერვიუსთვის საჭირო კითხვებს ჯგუფი მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით ამზადებს. ინტერვიუს საფუძველზე კი მოსწავლეები პრეზენტაციას ამზადებენ და კლასს წარუდგენენ. წარმოდგენილი პრეზენტაციების შესახებ დისკუსია იმართება.

ბ. მოსწავლეები გამოკითხვას ატარებენ თემში სასკოლო გარემოს შესახებ ძველად და ახლაც; აანალიზებენ რესპონდენტების შეხედულებებს, სასკოლო გარემოს უსაფრთხოების დროში ცვლილებას; ერთმანეთს უზიარებენ იდეალური უსაფრთხო სკოლის მოდელს. შემდეგ ამზადებენ პრეზენტაციას.

გ. მოსწავლეები პოზიტიური სასკოლო გარემოს ოთხი მახასიათებლის – უსაფრთხოება, ჩართულობა, ურთიერთკავშირი, მხარდაჭერა – მიხედვით იკვლევენ და აფასებენ საკუთარ სასკოლო გარემოს. კვლევისთვის საჭირო ინსტრუქციებს მასწავლებელთან ერთად შეიმუშავენ. შეფასების შედეგებს კი სკოლის თემს უზიარებენ. იმართება დისკუსია და მოსწავლეთა ჩართულობით იგეგმება სრულყოფის რეკომენდაციები.

დ. მოსწავლეები ქმნიან „იდეალური სკოლის“ მოდელს, ამზადებენ პრეზენტაციას მათთვის სასურველი ფორმატით და სასკოლო საზოგადოებას უზიარებენ.

იდეალური სკოლის მოდელი, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

1. როგორი გსურთ, რომ იყოს სკოლის გარე და შიდა ინფრასტრუქტურა?
2. როგორი მასწავლებლები გსურთ რომ ასწავლიდნენ სკოლაში? რა თვისებებს ეძებთ მათში?
3. რა როლი აქვთ მშობლებს თქვენეულ სკოლაში?
4. როგორი მოსწავლეები გსურთ რომ სწავლობდნენ სკოლაში? რა თვისებებს ეძებთ მათში?
5. როგორი საკლასო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აქტივობები უფრო მოგწონთ?
6. რა გჭირდებათ იმისათვის, რომ სკოლაში თავდაჯერებულობა იგრძნოთ?

7. როგორი ურთიერთობები გსურთ, რომ იყოს სკოლაში და რა არის ამისათვის საჭირო?
8. როგორ გამოიყენებთ სოციალურ მედიას, თუკი მომავალში რეალურად გექნებათ იდეალური სკოლის შექმნის შესაძლებლობა?

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

2. საკითხი: სასკოლო თვითმმართველობა (2 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გაიაზრებენ სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას ინდივიდის და სასკოლო თემის განვითარებისთვის; სკოლის თვითმმართველობის მნიშვნელობას მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და ინიციატივების რეალიზების თვალსაზრისით; შეძლებენ სკოლის თემის გაძლიერების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვას.

საკვანძო შეკითხვები:

რას ნიშნავს სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა?
რა ფუნქციები აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობას?
რა სარგებელი, შეგვიძლია, მივიღოთ სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით?
როგორ შეგვიძლია სასკოლო თემისათვის მნიშვნელოვანი იდეების ხორცშესხმა?
სამოქალაქო მონაწილეობის რა ფორმები არსებობს და სად არის ჩვენი ადგილი?

თემატური ცნებები:

- მონაწილეობა (მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება)
- თვითმმართველობა
- ინიციატივა
- თანამშრომლობა

ამ თემისთვის განკუთვნილი აქტივობების ნიმუშები მოცემულია დამხმარე სახელმძღვანელოებში:

„[მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში](#)“, თემა 1, დავალება 1.1, 1.2; თემა 4, დავალება 4.1, 4.2; თემა 5, დავალება 5.2;
 „[თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის](#)“, თემა 1, დავალება 1.1, 1.2, 1.3;
 „[სკოლების დემოკრატიული მმართველობა](#)“, აქ მასწავლებელი ნახავს სასარგებლო ზოგად რეკომენდაციებს მოსწავლეთა აქტიურ მოქალაქეებად აღზრდის გზების შესახებ; (ზემოაღნიშნული სამი სახელმძღვანელოს ბეჭდური ვერსია, შეგიძლიათ, სკოლის ბიბლიოთეკაში იხილოთ).
[სასიცოცხლო უნარები](#), მასწავლებლის სახელმძღვანელო, გვ. 79–86.

მასწავლებელს, ასევე, შეუძლია, გამოიყენოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შექმნილი ანიმაცია „[ბავშვები ჩვენი ქუჩიდან](#)“ და „[იყო და არა იყო რა, ადგილობრივი დემოკრატია](#)“ (Once upon a time, local democracy) მოსწავლეებთან დისკუსიისთვის - მონაწილეობის, თვითმმართველობის, ინიციატივისა და თანამშრომლობის შესახებ.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით სკოლის თემში ატარებენ გამოკითხვას არსებული პრობლემების შესახებ; პრეზენტაციას ამზადებენ და სკოლის თემს უზიარებენ. შემდეგ იმართება დისკუსია წარმოდგენილი პრობლემების მოგვარებისა და მოგვარებაში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ.

ბ. მოსწავლეები გამოკითხვას ატარებენ თემში სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის გამოცდილების შესახებ ძველად და ახლა; აანალიზებენ რესპონდენტების შეხედულებებს, მონაწილეობის გზების დროში ცვლილებას; ერთმანეთს სკოლის იდეალური თვითმმართველობის მოდელს უზიარებენ და პრეზენტაციას ამზადებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

3. საკითხი: თანასწორობა სკოლაში (2 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ნებისმიერი ადამიანის ღირსების აღიარება და პატივისცემა სასკოლო (და ზოგადად) საზოგადოებაში თანასწორობის აუცილებელი პირობაა; სასკოლო საზოგადოების წევრთა განსხვავებულობის მიუხედავად, ურთიერთზრუნვა ყველასათვის ხელსაყრელ თანასწორ სასწავლო გარემოს ქმნის; მოსწავლეები ინკლუზიურ გარემოზე ზრუნვას შეძლებენ.

საკვანძო შეკითხვები:

რატომ არის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თანასწორობაზე ზრუნვა?

შესაძლებელია თუ არა, განსხვავებული ინდივიდები თანასწორობი იყვნენ?

როგორია ინკლუზიური გარემო?

რატომ არის ინკლუზიურ გარემოზე ზრუნვა საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის ტოლფასი?

რა კავშირია მოსწავლის კეთილდღეობასა და სასკოლო თემის კეთილდღეობას შორის?

თემატური ცნებები:

- თანასწორობა
- ურთიერთზრუნვა
- ინკლუზიური გარემო
- სასკოლო თემის კეთილდღეობა

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სიტყვა თანასწორობასთან დაკავშირებული ფიქრები, ემოციები, ცხოვრებისეული გამოცდილება გაიხსენონ; შემდეგ აცნობს სიტყვა „[თანასწორობის](#)“ განმარტებას: „თანასწორობის ცნებაში უფლებებისა და კანონის წინაშე თანასწორობა იგულისხმება. ეს ცნება, თავისი მნიშვნელობით, ძალიან ახლოს დგას დისკრიმინაციის აკრძალვასთან“. დისკუსია იმართება თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ სასკოლო გარემოში და, ზოგადად, საზოგადოებაში.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ სიტუაციას: „ჩვენს კლასს დაევალა სკოლის თემისთვის შეხვედრის მოწყობა. სკოლაში ისეთი სივრცე უნდა შეარჩიოთ, რომელიც მისაწვდომი იქნება გადაადგილების შეზღუდვის მქონე, ეტლით მოსარგებლე, სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე და უსინათლო მოსწავლეებისთვისაც. მოიფიქრეთ, რა უნდა გაითვალისწინოთ და როგორ უნდა მოაწყოთ შეხვედრების ოთახი, რათა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ყველა ადამიანი შეძლოს მონაწილეობა“. (აქტივობა ადაპტირებული სახით აღებულია დამხმარე სახელმძღვანელოდან „[მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში](#)“, თემა 2, დავალება 2.6)

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვოლფგანგ და ქრისტოფ ლაუნშტეინების ანიმაციას [ბალანსი](#) (Balance short film won Academy Award for Best Animated Short of 1989). ანიმაციის შესახებ იმართება მსჯელობა, რომლის მიზანია, მოსწავლეებმა ადამიანების თანასწორობისა და შეთანხმებული ქმედების აუცილებლობა გააცნობიერონ სამყაროს წონასწორობის შესანარჩუნებლად.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოს [უთანასწორობა – ძაღლის ქცევა](#) (Inequality - Dog behavior) - ძაღლებისადმი არათანასწორო მოპყრობის შესახებ. იმართება მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანასწორობა ადამიანთა საზოგადოებაში.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს 4–5 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ ჯგუფებს, მოიფიქრონ და ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრება სასკოლო თემში თანასწორობის დამკვიდრების გზების შესახებ.

ამ თემისთვის დამატებით რესურსად მასწავლებელს, შეუძლია, გამოიყენოს:

დამხმარე სახელმძღვანელო „[მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში](#)“, თემა 2, გვ. 24–37;

დამხმარე სახელმძღვანელო „[როგორ გავხდეთ აქტიური მოქალაქე](#)“, თემა 3, გვ. 24–27;

სახელმძღვანელო „[გზა უფლებებისკენ](#)“, სავარჯიშო 20 - „განსხვავებული, მაგრამ თანასწორი“.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები ერთი კვირის განმავლობაში ოჯახის, სკოლისა და, ზოგადად, თემის გარემოს თანასწორობის „ლიწები“ აკვირდებიან. შემდეგ დაკვირვების დღიურში აღწერენ კონკრეტულ სიტუაციებს/ფაქტებს, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს თანასწორობის არსებობას ამ გარემოში. დაკვირვების შედეგებს ისინი პრეზენტაციის სახით უზიარებენ ერთმანეთს. დისკუსია იმართება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება, შევუწყოთ ხელი თანასწორი გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

ბ. მოსწავლეები ინტერვიუს იღებენ თემში მცხოვრები განსხვავებული კულტურის მქონე რამდენიმე ზრდასრულისგან (მაგ., ოჯახის, თემის, სამეზობლოს წევრი) იმის შესახებ, თუ როგორ ესმით მათ თანასწორობა, რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ და რას აკეთებენ

ასეთი გარემოს ხელშესაწყობად. ინტერვიუსთვის საჭირო კითხვებს ჯგუფი მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით ამზადებს. ინტერვიუს საფუძველზე კი პრეზენტაციას ამზადებენ და კლასს წარუდგენენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

4. საკითხი: „მწვანე სკოლა“ (2 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გაიგებენ, რომ: სასკოლო საზოგადოების წევრთა კეთილდღეობისთვის უმნიშვნელოვანესია სკოლის უსაფრთხოებასა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვა; პირადი და სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას აუცილებელია საკუთარი და სხვების ინტერესების წონასწორობის გათვალისწინება და, შეძლებისდაგვარად, დაცვა. ჩამოუყალიბდებთ სკოლისადმი მიკუთვნებულობისა და მასზე ზრუნვის გრძნობა.

საკვანძო შეკითხვები:

რატომ არ შეგვიძლია, ვაკეთოთ ყველაფერი, რაც მოგვესურება?

სად გადის ზღვარი „მინდას“, „შემიძლიასა“ და „საჭიროას“ შორის?

რატომ ვიქნებით უკეთ, თუკი სხვის/ების ინტერესებს გავითვალისწინებთ?

ვისია სკოლა და ვის ევალება მასზე ზრუნვა?

თემატური ცნებები:

- კეთილდღეობა
- ინტერესთა წონასწორობა
- მიკუთვნებულობა
- ურთიერთქმედება
- სკოლის თემი

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სენეკას სიტყვებს: „ყველაზე ძლიერი ის არის, ვისაც საკუთარი თავის მართვა შეუძლია“ და სთხოვს, იმსჯელონ სასკოლო თემში და, ზოგადად, საზოგადოებაში თვითმართვის უნარის მნიშვნელობაზე.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ნორვეგიულ სოციალურ სარეკლამო ვიდეოს [ბავშვს საჭმელი არ აქვს](#) (Pub Fosterhjem: A child has nothing to eat at school) და ყურადღებას ამახვილებს იმ შესაძლებლობებზე, რომელიც ნებისმიერი ჩვენგანის ხელთაა, თუკი მოვინდომებთ. თვით ფილმის შემქმნელთა სლოგანი „პრობლემის გადაჭრა ხშირად უფრო იოლია, ვიდრე გვეჩვენება“, მოსწავლეებს იმაზე დააფიქრებს, თუ რამდენის გაკეთება შეუძლიათ სასკოლო თემის კეთილდღეობისთვის.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს ავსტრალიური საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანიმაციას [ჭანჭიკები](#) (AIME Global's Launch Film: 'Cogs'), რომლის მიზანია დაფიქრდნენ იმაზე, რომ სამყაროს შეცვლა უკეთესობისკენ თითოეულ ადამიანს შეუძლია. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო სამართლიანი და ინკლუზიური. განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ, თავი დააღწიონ სიღარიბეს და უთანასწორობის ციკლი გაარღვიონ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს პირადი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობას უხსნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ვებგვერდზე არსებული „[პერსონალურ მონაცემთა ანბანის](#)“ დახმარებით.

აქტივობა

მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელოში „[გზა უფლებებისკენ](#)“ მოცემული სავარჯიშო 29 - „მშვიდობიანი თანაარსებობის წესი“.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს მარტინ ლუთერ კინგის სიტყვებს: „ჩემი ოცნებაა, რომ ჩემმა პატარა შვილებმა ოდესმე იცხოვრონ ისეთ ქვეყანაში, სადაც მათ განსჯიან არა კანის ფერის, არამედ მათი პიროვნული თვისებების მიხედვით“. 4–5 კაციან ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს სთხოვს, იმსჯელონ „ოცნების ქვეყნის“ შესახებ, მოამზადონ პრეზენტაცია სასურველი ფორმატით (მაგ., ტრადიციული Power Point პროგრამის გამოყენებით, ნახატით, მცირე ინსცენირებით, მოთხრობით და სხვ.) და ერთმანეთს გაუზიარონ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს სტივ ქატის ანიმაციას [ადამიანი](#) (Steve Cutts, Man). მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს ადამიანისა და ბუნების ჯანსაღი ურთიერთქმედების, მოხმარების კულტურის, რესურსების გონივრული გამოყენების, რესურსების დაზოგვის, სამყაროს მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე; ახსენებს მდგრადი განვითარების მთავარ პრინციპს: [„დღევანდელი მათხოვნილები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს“](#).

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს ჯონ დიუის ფრაზას განათლების შესახებ: „განათლება არ არის ცხოვრებისთვის მომზადება, ის თვით ცხოვრებაა. ის ცხოვრებისეული გამოცდილების უწყვეტი აგების პროცესია, რომელიც ინდივიდებში გარემოს კონტროლისთვის და საკუთარი პასუხისმგებლობების შესრულებისთვის აუცილებელ უნარებს ავითარებს“. შემდეგ იმართება მსჯელობა განათლებისა და ცხოვრების ურთიერთობის, გამოცდილების უწყვეტობის, გარემოს კონტროლის, პასუხისმგებლობების შესრულების საკითხებზე.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები (1 საათი):

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები ინტერვიუს იღებენ თემში მცხოვრები განსხვავებული კულტურის მქონე რამდენიმე ზრდასრულისგან (მაგ., ოჯახის, თემის, სამეზობლოს წევრი) იმის შესახებ, თუ როგორ ესმით გარემოზე ზრუნვა და მდგრადი განვითარება და რა შეუძლიათ ადამიანებს, გააკეთონ სამყაროს წონასწორობისთვის. ინტერვიუსათვის საჭირო კითხვებს ჯგუფი მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით ამზადებს. ინტერვიუს საფუძველზე კი პრეზენტაციას ამზადებენ და სასკოლო თემს წარუდგენენ.

ბ. მოსწავლეები სკოლის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისგან იღებენ ინტერვიუს, რომლის მიზანია, დაადგინონ, რა სჭირდებათ იმისათვის, რომ სკოლაში თავი „საკუთარ ტყავში“ იგრძნონ. რა უშლით ხელს, რა ეხმარებათ, რისი გაკეთება შეუძლიათ იმისათვის, რომ სკოლა „მათი ადგილი“ გახდეს. მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციას და სასკოლო თემს უზიარებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროს და შეფასების რუბრიკებს.

5. საკითხი: ჩავვრა (ბულინგი) (2 საათი)

თემის მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ადამიანის ღირსება უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა; გაიაზრებენ სხვა ადამიანების უფლება–მოვალეობებს; გაუჩნდებათ განსხვავებულის მიმართ თანაზიარობის გრძნობა; შეძლებენ კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზებზე ფიქრს.

საკვანძო შეკითხვები:

რა უდევს საფუძვლად ადამიანთა ღირსების აღიარებას?

რატომ არის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ადამიანთა ღირსების დაფასება?

როგორ უნდა ვიცხოვროთ მრავალფეროვან საზოგადოებაში მშვიდობიანად?

როგორ დავიცვათ საკუთარი მოსაზრება ისე, რომ პატივი ვცეთ სხვის მოსაზრებას?

შეუძლია თუ არა კონფლიქტს სიკეთის მოტანა?

თემატური ცნებები:

- ღირსება
- განსხვავებულობა
- თანაზიარობა
- მრავალფეროვნება
- კონფლიქტი
- ჩაგვრა (ბულინგი)

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დროებით იმ ადამიანად წარმოიდგინონ თავი, ვისაც ბავშვობაში დასცინოდნენ; დაფიქრდნენ და ისე შეავსონ ქვემოთ მოცემული სავარჯიშო ფურცელი. სავარჯიშოს მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ და თვითონ ირჩევენ, გაუზიარონ თუ არა კლასელებს. სავარჯიშოს მიზანი ჩაგვრის გამოცდილების გახსენება და დაფიქრებაა.

ჩემი სახელია _____

მე მეძახიან _____

მე სხვებისგან გამოვიჩიევი იმით, რომ

ვინაიდან სხვებისგან განვსხვავდებით, ჩემი თანაკლასელები (აღწერეთ ქცევა, მოქმედება)

მე ვგრძნობ _____

თვითგადარჩენის ჩემული სტრატეგიაა _____

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ საკუთარ ღირსებებზე, რომელიც მათ საკუთარ თუ გარშემომყოფთა თვალში განსაკუთრებულ ადამიანად აქცევს.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ანიმაციას [Sneetches](#) და სვამს კითხვებს, რათა მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ: ადამიანებს ნებისმიერი მიზეზის მოძებნა შეგვიძლია ერთმანეთის დასაჩაგრად; ხშირად გაუცნობიერებელი სტერეოტიპების მსხვერპლი ვხდებით და მჩაგვრელებად ვიქცევით; განსხვავებულობა მოცემულობაა, რომლის შეცვლა არ შეგვიძლია და რომელიც ადვილად შეიძლება, იქცეს ჩაგვრის ინსტრუმენტად, თუკი მას ადამიანის უმნიშვნელოვანეს ღირსებად არ მივიჩნევთ.

აქტივობა

მასწავლებელი 4–5 კაციან ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს სთხოვს, ბოლოდროინდელი კონფლიქტი გაიხსენონ; იმსჯელონ კონფლიქტის დროს და მის შემდგომ განცდილ ემოციებზე იმის შესახებ, თუ როგორ დასრულდა (მოგვარდა თუ არა) კონფლიქტი, როგორ შეიძლებოდა მოგვარებულიყო, რა ისწავლეს ამ კონფლიქტით, შესაძლებელი იყო თუ არა პრობლემის უკონფლიქტოდ მოგვარება? მოსწავლეები ირჩევენ წარმომადგენელს, რომელიც კლასს საკუთარი ჯგუფის ნამუშევარს უზიარებს.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს როლურ თამაშს სთავაზობს კონფლიქტის მოგვარების შესახებ. სავარჯიშოში დათოსა და გიორგის შორის დიალოგის 4 ვერსიაა. მოსწავლეებმა 4–ვე ვერსია უნდა გააანალიზონ და უმოკლესი და ყველაზე მშვიდობიანი ვერსია შეარჩიონ; იმსჯელონ შერჩეული ვარიანტის უპირატესობებზე.

სავარჯიშო: გიორგი და დათო ერთ ოთახში ცხოვრობენ. ბოლო კვირის განმავლობაში დათოს მეგობარი თითქმის მთელი ღამე რჩებოდა მასთან. გიორგი ვერ იძინებდა და გამოცდა ვერ ჩააბარა.

1-ლი ვერსია

გიორგი: მეგობრის დარჩენის შესახებ მინდა დაგელაპარაკო

დათო: რა თქმა უნდა, რა მოხდა? ადრეც ხომ რჩებოდა...

გიორგი: ვიცი, ამაზე შევთანხმდით, მაგრამ გასულ კვირას ვერ დავიძინე და გამოცდა ვერ ჩავაბარე. კარგი იქნება, თუ რაიმეს მოვიფიქრებთ.

დათო: გამოცდა იმიტომ ვერ ჩააბარე, რომ მთელი დღე ვიდუოთამაშებით ერთობი!

გიორგი: გთხოვ, ნუ ამიგდებ სიტყვას ბანზე! შენი მეგობრების მოსვლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ იქნებ რაღაც კომპრომისი მოვძებნოთ.

დათო: კარგი, ბოდიში... თუ მისი სტუმრობა ხელს გიშლის, ვეცდები, რამე მოვიფიქრო.

გიორგი: მადლობა, რომ გამიგე. ღამისთევის შემდეგ განსაკუთრებით მიჭირს ხოლმე დილით გაღვიძება.

მე-2 ვერსია

გიორგი: რატომ რჩება შენი მეგობარი მთელი ღამე?

დათო: რა იყო, მოხდა რამე? ადრეც ხომ რჩებოდა...

გიორგი: ჰო, მაგრამ აზრი შევიცვალე, ძალიან ხშირად რჩება და არ მომწონს ეს ყველაფერი!

დათო: გამოცდა იმიტომ ვერ ჩააბარე, რომ მთელი დღე ვიდუოთამაშებით ერთობი!

გიორგი: რა?! ვინ თქვა, რომ გამოცდა ვერ ჩავაბარე! უბრალოდ, ღამით ძილი მინდა!

დათო: კარგი, ბოდიში... თუ მისი სტუმრობა ხელს გიშლის, ვეცდები, რამე მოვიფიქრო.

გიორგი: შეგიძლია, თვეში ხუთი ღამით დატოვო ხოლმე შენი მეგობარი!

მე-3 ვერსია

გიორგი: გიორგი დათოს მხარზე ჰკიდებს ხელს და ეუბნება, რომ ყელში ამოუვიდა მისი მეგობრის დარჩენა და ეს მდგომარეობა.

დათო (გაბრაზებით ჰკრავს ხელს): რა მოხდა? ადრეც ხომ რჩებოდა... ვისი ბრალია, მთელი დღე ვიდუოთამაშებს რომ მისჩერებიხარ.

გიორგი (არტყამს შეურაცხყოფისთვის): შენ საქმეს მიხედე!

დათო: საპასუხოდ ურტყამს და არ ისმენს, რას ეუბნება გიორგი.

მე-4 ვერსია

გიორგი: დათო, ღამისთევა ძალიან მიჭირს ბავშვობიდან და ველარ ვმეცადინეო ხოლმე.

დათო: კარგი, გიორგი, იქნებ დაველაპარაკო ჩემს მეგობარს და ვთხოვო, რომ იმ დღეებში არ დარჩეს, როცა შენ სამეცადინო გაქვს.

გიორგი: მაგარი ხარ, დათო... მეც შევძლებ, შუალამემდე აღარ ვითამაშო ხოლმე ვიდუოთამაშები და გამოძინება მოვასწრო.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს გ. ბარდინის ანიმაციას [კონფლიქტი](#) (Garry Bardin, Conflict) და სვამს კითხვებს, რომლის საფუძველზეც მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ: ადამიანებს ძალიან გვეადვილება კონფლიქტის დაწყება; არ გვსურს უკან დახევა, ბოლომდე ვცდილობთ საკუთარი სიმართლის დამტკიცებას, რის გამოც ხშირად კონფლიქტი, შესაძლოა, მასში ჩართული ყველა მხარისათვის სავალალოდ დასრულდეს. ყურადღება გამახვილდება კონფლიქტის მოგვარების არაძალადობრივ გზებზე.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს უსაფრთხოების ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის რონალდ სტეფენსის კონგრესში (2005) წარმოთქმულ სიტყვებს: „ძალადობა ყოველთვის დაედგა მეტალის დეტექტორებსა თუ დამონტაჟებულ კამერებს, ვინაიდან ის სიბრაზე, ფრუსტრაცია და ემოციური გაუწონასწორებლობა, რომელიც ძალადობის წყარო ხდება, გარედან იშვიათად ჩანს. მას ადამიანები თავიანთ გულებში ატარებენ“. 4-5 კაციან ჯგუფებში მოსწავლეები მსჯელობენ ციტატის ძირითად სათქმელზე, პრეზენტაციას ამზადებენ და საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებენ.

ამ თემისთვის დამატებით რესურსად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს:

„[როგორ გავხდეთ აქტიური მოქალაქე](#)“, თემა 3, გვ. 24-27;

„[სასიცოცხლო უნარები](#)“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, გვ. 30-57, 94-95, 98-104;

სახელმძღვანელო „[გზა უფლებებისკენ](#)“, სავარჯიშო 19 - „რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის“

კაკაბაძე ი., ჩვენება <http://liberali.ge/articles/view/3780/chvenebea>

ვიდეო: [შევაჩეროთ სტერეოტიპები და დისკრიმინაცია](#) (Stop Stereotypes and Discrimination – Think for Yourself (Short Film))

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები (1 საათი):

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები ინტერვიუს იღებენ სკოლის თემის წევრებისგან ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე: რას მიიჩნევენ ძალადობად; რას მიიჩნევენ ძალადობის გამომწვევ მიზეზებად; როგორ იქცევიან, თუკი ძალადობის შეესწრებიან; როგორ ესახებათ ძალადობასთან ბრძოლის გზები და ა.შ. ინტერვიუსთვის საჭირო კითხვებს ჯგუფი მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით ამზადებს. ინტერვიუს საფუძველზე კი პრეზენტაციას ამზადებენ და წარუდგენენ კლასს. პროექტზე მუშაობისას სასურველია მოსწავლეების თანამშრომლობა მანდატურთან/მართლწესრიგის ოფიცერთან.

ბ. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ანიმაციას [Pip](#) (Pip A Short Animated Film). 3–4 მოსწავლისგან დაკომპლექტებული ჯგუფები ანიმაციაში წარმოდგენილ პრობლემაზე მსჯელობენ - სტერეოტიპული აზროვნების, განსხვავებულის მიუღებლობის საფრთხეებზე, არატოლერანტული ქცევის შედეგებზე და ა.შ; პრეზენტაციას ამზადებენ სასკოლო საზოგადოებისთვის. პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ იმართება დისკუსია, რომლის საფუძველზეც მოსწავლეები ტოლერანტული გარემოს ხელშეწყობის რეკომენდაციებს შეიმუშავენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისათვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.



დამხმარე რესურსი პედაგოგისათვის სასწავლო თემის დასაგეგმად

მოქალაქეობა IX კლასი

თემა: ცენტრალური ხელისუფლება

ავტორი: ნინო ჭიაბრიშვილი

კონსულტანტი: შალვა მეკრავიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2019 წელი.

დამხმარე რესურსი მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოცემული დამხმარე რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევით. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება ავტორს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მოქალაქეობა

IX კლასი

თემა: ცენტრალური ხელისუფლება

საათების სავარაუდო რაოდენობა – 17 (+4)

საკითხები

1. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები;
2. ხელისუფლების შტოები;
3. მასმედია - „მეოთხე ხელისუფლება“;
4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;
5. ენერგოეფექტურობა.

შემაჯამებელი სამუშაო - 4 საათი

ცნებები

სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები

ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები

სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება

მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება

საკვანძო შეკითხვები

- რატომ და როგორ იქმნება კონსტიტუცია?
- რატომ ვმონაწილეობ არჩევნებში?
- რატომ არის აუცილებელი ხელისუფლების დანაწილება? როგორ აბალანსებენ ხელისუფლების შტოები ერთმანეთს?
- როგორ ატარებს მთავრობა თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას?
- რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?
- როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან?
- რატომ იქმნება ქვეყანაში არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები? რა განასხვავებს მათ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან?

აქტივობები
იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • სახელმწიფოში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზების დასახვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13); • სათემო აქტივობების დაგეგმვისას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმების გააზრება (ინფორმაციის მოპოვება) (მოქ.საბ.1,3,4,5,8,9,12,13); • პოლიტიკური პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით (მოქ.საბ.3,4,7,9,10,11,12,13).
მკვიდრი წარმოდგენები • კარგი კონსტიტუცია აუცილებლად ფართო საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგია; • სახელისუფლებო შტოების დანაწილება და ბალანსი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა; • დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე; • მოქალაქეები სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არჩევნების, პეტიციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა საშუალებებით მონაწილეობენ; • ხელისუფლებისთვის ადმინისტრაციული განცხადებით მიმართვა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმია; • მედია და არასამთავრობო სექტორი ხელისუფლების კონტროლის საშუალებებია.

ეტაპების/ნაბიჯების სახით სასწავლო თემის აგების ნიმუში

1. საკითხი: საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები (3 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ: საქართველოს კონსტიტუციის მნიშვნელობას დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებაში; ხელისუფლების შტოების როლს ქვეყნის მმართველობაში წონასწორობის შენარჩუნებისთვის; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მოქალაქეების ურთიერთპასუხისმგებლობებს.

საკვანძო შეკითხვები:

რა არის პარლამენტი და რა ფუნქციები აქვს?

ვინ არის პრეზიდენტი და რა ფუნქციები აქვს?

როგორია მოქალაქის უფლებები და პასუხისმგებლობები დემოკრატიულ რესპუბლიკაში?

როგორია დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების პასუხისმგებლობები მოქალაქეების წინაშე?

რა უნდა ვიცოდეთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ?

თემატური ცნებები:

- თვითმმართველობა
- ადგილობრივი პრობლემები
- არჩევნები
- მოქალაქეთა მონაწილეობა
- საჯარო ინფორმაცია

აქტივობა

მასწავლებელი სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე და [პარლამენტის ვებ-გვერდზე](#) შესაბამისი ფანჯრის გამოყენებით ექსკურსიას გეგმავს პარლამენტში. მოსწავლეები მომდევნო გაკვეთილისთვის პრეზენტაციას ამზადებენ შთაბეჭდილებების შესახებ და ერთმანეთს უზიარებენ.

აქტივობა¹

¹ ამ მასალების გამოყენება მასწავლებელს შეუძლია იმიტირებული არჩევნების პროექტის განსახორციელებლად.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ 2019 წლის 19 მაისის შუალედური და რიგგარეშე არჩევნებისთვის შემუშავებულ სასწავლო/საინფორმაციო მასალებიდან ზოგიერთს:

- [საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს \(GEO\);](#)
- [ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები \(GEO\);](#)
- [ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები \(GEO\);](#)
- [საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები \(GEO\);](#)
- [გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრის ფუნქციები \(GEO\);](#)
- [ამომრჩევლის სამახსოვრო \(GEO\);](#)
- [საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის ამსახველი პოსტერი \(GEO\)](#)
- [სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის არჩევნების უსაფრთხოება \(GEO\);](#)
- [შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ ინსტრუქცია \(GEO\);](#)
- [ფოტოვიდეოგადაღება საარჩევნო უბანზე \(GEO\).](#)

სთხოვს, ისაუბრონ კონკრეტული საინფორმაციო–სასწავლო მასალის მათთვის მნიშვნელოვან ასპექტებზე.

აქტივობა

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით დისკუსიას/დებატებს მართავენ პრეზიდენტის არჩევის ძველი (პირდაპირი) და ახალი (არაპირდაპირი) წესის შედარების თემაზე.

აქტივობა

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით იკვლევენ საქართველოს პრეზიდენტის ძველ და ახალ უფლებამოსილებებს, შედარებითი ანალიზის შედეგებს კი პრეზენტაციის სახით წარუდგენენ კლასს, რის შემდეგაც იმართება დისკუსია/დებატები პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებების ცვლილების შესახებ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ამონარიდებს [საქართველოს კონსტიტუციიდან](#), რომელიც ეხება:

საქართველოს პარლამენტის (თავი მესამე, მუხლები 36–38),
საქართველოს პარლამენტის წევრთა (თავი მესამე, მუხლი 39–45),
საქართველოს პრეზიდენტის (თავი მეოთხე, მუხლი 49–53),

საქართველოს მთავრობის (თავი მეოთხე, მუხლები 54–58)

უფლებამოსილებებს და მოსწავლეებს სთხოვს, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში მოამზადონ შედარებითი ანალიზი და გაუზიარონ კლასს. ინფორმაცია, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

სტრუქტურის საშინაო ვალდებულებები;

სტრუქტურის საგარეო ვალდებულებები;

წევრთა ასაკობრივი ცენზი;

არჩევის წესი;

უფლებამოსილების ვადა;

გენდერული ბალანსი;

დათხოვნის წესი;

ასევე, ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელსაც მოსწავლეები საინტერესოდ მიიჩნევენ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს [საჯარო სამსახურის ბიუროს](#) ვებგვერდისა და შემდეგი ვებგვერდების გამოყენებით:

საქართველოს პრეზიდენტი <https://www.president.gov.ge/sajaro-informacia/sajaro-informaciis-motkhovna.aspx>

საქართველოს მთავრობა http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=379

საქართველოს პარლამენტი <http://parliament.ge/uploads/other/19/19445.pdf>

საერთაშორისო გამჭვირვალობა <https://www.transparency.ge/ge/content/rogor-gamovitxovot-sajaro-inpormacia>

სურვილისა და საჭიროების შესაბამისად, მასწავლებელს დამატებით რესურსად, შეუძლია, გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელო „თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“ [მასწავლებლის წიგნი](#) და [მოსწავლის წიგნი](#); ასევე, სასწავლო და საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალა ბმულზე: <http://electionreforms.ge/geo/list/show/2659-2019-tslis-19-maisis-shualeduri-da-riggareshe-archevnebisvis-shemushavebuli-sastsavlo/sainformatsio-masalebi>

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ვებგვერდს [„მიაწოდე შენი იდეა პარლამენტს“](#); სთხოვს, მოიფიქრონ საკანონმდებლო წინადადება/ები, რომლის გაზიარებასაც ისურვებდნენ პარლამენტისთვის და ამ წინადადების საჭიროება და მნიშვნელობა დაასაბუთონ ქვეყნის განვითარებისთვის. საკანონმდებლო წინადადების „მოქმედების“ სფეროს მოსწავლეები თავად ირჩევენ. ის, შეიძლება, ეხებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სისტემას, საოჯახო მეურნეობას, შრომის უსაფრთხოებას, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრას, ადამიანის უფლებებს და სხვ.

მოსწავლეები აღნიშნულ წინადადებას პრეზენტაციის სახით უზიარებენ სკოლის თემს, იღებენ უკუკავშირს და იმართება მსჯელობა მისი მიზანშეწონილობისა და განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. კლასმა, შესაძლოა, ამოარჩიოს მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი და დამუშავებული საკანონმდებლო წინადადებებიდან ერთ-ერთი, რომელიც შესაბამისი ვებგვერდის საშუალებით პარლამენტში გაიგზავნება.

ბ. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები გეგმავენ პარლამენტარის ვიზიტს სკოლაში ან თავად სტუმრობენ მას. შეხვედრამდე წინასწარ ამზადებენ მათთვის საინტერესო და/ან პრობლემური საკითხების ჩამონათვალს. ამ საკითხებს პარლამენტართან შეხვედრაზე განიხილავენ და საკითხთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს გაუზიარებენ პარლამენტარს; ასევე მოისმენენ, აღნიშნული პრობლემა თუ მოიაზრება განსახილველ საკითხად პარლამენტში. მოსმენილისა და ნანახის საფუძველზე ამზადებენ პრეზენტაციას და სკოლის თემს უზიარებენ. ალტერნატიულ ვარიანტებად მოსწავლეებს, შეიძლება, შევთავაზოთ ინფორმაციის მომზადება ვიზიტის შესახებ ბლოგის სახით, მისი გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე (ფეისბუქ გვერდზე) ან სიუჟეტის მომზადება ადგილობრივ რადიოში/ტელევიზიაში.

გ. მასწავლებელი მოსწავლეებს პარლამენტის იმიტირებული სხდომის ჩატარებას სთავაზობს სკოლისთვის მნიშვნელოვან, წინასწარ შერჩეულ საკითხზე (ეს, შეიძლება, იგივე საკითხი იყოს, რომელიც მოსწავლეებმა პარლამენტართან შეხვედრაზე განიხილეს, რადგან მოსწავლეები მის გარშემო გარკვეული ინფორმაციას უკვე ფლობენ). მოსწავლეები სხდომის ჩატარების პროცედურას წინასწარ ეცნობიან და ინაწილებენ როლებს. იმიტაციის შემდეგ კი აფასებენ სხდომას, მიღებულ გადაწყვეტილებებს და პარლამენტის რეალურ სხდომას ადარებენ.

დ. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თემში ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, თემის განვითარებისთვის კონკრეტული წინადადება შეიმუშაონ და ის სასკოლო თემს გააცნონ; შემდეგ მოამზადონ განაცხადი და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ვებგვერდზე არსებული ერთ-ერთი ვიდეოს - [როგორ მივაწვდინოთ ხმა დეპუტატს](#) - გაცნობის შემდეგ, შესაბამისი უწყებაში გააგზავნონ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

2. საკითხი: ხელისუფლების შტოები (3 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გააცნობიერებენ: ხელისუფლების დანაწილების მნიშვნელობას დემოკრატიის მშენებლობისთვის; ხელისუფლების შტოების როლს ქვეყნის მმართველობაში წონასწორობის შენარჩუნებისთვის; შეისწავლიან ხელისუფლების შტოების ფუნქციებს.

საკვანძო შეკითხვები:

რატომ მიიჩნევა ხელისუფლების დანაწილება დემოკრატიის მთავარ პრინციპად?

რას ნიშნავს ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილება?

რა ფუნქციები აქვს ხელისუფლების თითოეულ შტოს?

რა გავლენას ახდენს ხელისუფლების დანაწილება ჩვენს ცხოვრებაზე?

თემატური ცნებები:

- სახელმწიფო, სამართალი და საზოგადოება
- სახელმწიფოს არსი და ფუნქციები
- ხელისუფლების დანაწილება – ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა
- ხელისუფლების შტოები – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს შემდეგ ამონარიდს აცნობს: „შარლ ლუი დე მონტესკიე მიიჩნევდა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში არის სამი სახის ხელისუფლება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. პირველი მათგანის ვალია, შექმნას კანონები - დროებითი ან მუდმივი; მეორეს ევალება ომის გამოცხადება ან პირიქით, მშვიდობის დამყარება, აგზავნის ან იღებს ელჩებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ა.შ; მესამეს, სასამართლო ხელისუფლებას, ევალება დამნაშავეების დასჯა, კერძო პირებს შორის ურთიერთობების მოგვარება. ამ პრინციპით, ხელისუფლების შტოები დამოუკიდებელნი არიან და ერთმანეთის საქმიანობაში არ

ერევიან, რაც მათი ძალაუფლების ეფექტურ გადანაწილებას უზრუნველყოფს. ამ მექანიზმს გაწონასწორებისა და შეკავების მექანიზმი ეწოდება“.

იმართება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რას ემსახურება ხელისუფლების დანაწილება და რა გავლენას ახდენს ის დემოკრატიის განვითარებაზე.

აქტივობა

მოზარდებისთვის საინფორმაციო-სამართლებრივ პორტალზე <http://teen.court.ge/?category=8> შესაბამისი [ბმულის](#) გამოყენებით მასწავლებელი გეგმავს მოსწავლეთა ტურს სასურველ სასამართლოში.

აქტივობა

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მოზარდებისთვის საინფორმაციო-სამართლებრივ პორტალზე <http://teen.court.ge/?category=8> არსებულ რომელიმე [ვიდეო-რესურსს](#) და მსჯელობა იმართება ნანახის ირგვლივ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" ვებგვერდზე არსებულ [საპარლამენტო გზამკვლევს](#), სადაც საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გზებია წარმოდგენილი. მოსწავლეები სკოლაში/თემში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეარჩევენ მნიშვნელოვან საკითხს, რომლის მოგვარება მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით არის შესაძლებელი და ჩამოთვლილთაგან შეიმუშავენ ერთ-ერთს: საკანონმდებლო ინიციატივა, საკანონმდებლო წინადადება, პეტიციის წარდგენა; ხოლო შემდეგ შესაბამისი ფორმატის დაცვით მოამზადებენ.

აქტივობა

მოზარდებისთვის საინფორმაციო-სამართლებრივ პორტალზე <http://teen.court.ge> შესაბამისი ფანჯრების [ტესტები](#) და [თამაშები](#) გამოყენებით, მასწავლებელი მოსწავლეთა შეჯიბრს გეგმავს სამართალმცოდნეობაში.

ამ თემასთან დაკავშირებით მასწავლებელს, შეუძლია, გამოიყენოს შემდეგი რესურსები:

[პრაქტიკული სამართალი](#) (მოსწავლის სახელმძღვანელო), ავტორები: გ. გობრონიძე, ი. თოდრია, რ. აკრიანი, რ. ხოფერია, კ. წიქარიშვილი, თბ., 2014, გვ. 21–61;

[პრაქტიკული სამართალი](#) (მოსწავლის რვეული კონსტიტუციურ სამართალში), ავტორი ი. თოდრია, თბ., 2014;

პრაქტიკული სამართალი (მასწავლებლის წიგნი), ავტორი ა. ხარაიშვილი, თბ., 2014;

ბავშვი და სამართალი, ავტორი ი. ალაგიძე, თბ., 2011;

მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები, სამოქალაქო განათლების დამხმარე მოსწავლეებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2018;

სამართლის ქალაქი, ავტორები: თ. დარჯანია, კ. ყალიჩავა, კ. წიქარიშვილი, ა. ხარაიშვილი, გ. გობრონიძე, თბ., 2014;

საინფორმაციო-სამართლებრივი პორტალი მოზარდებისთვის – <http://teen.court.ge>

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები ეცნობიან მოზარდებისთვის საინფორმაციო-სამართლებრივ პორტალზე არსებულ რომელიმე ვიდეო–რესურსს; ასევე –საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე მოცემულ ფორმას [სასამართლოს მეგობრის მოსაზრება](#); შეიმუშავენ შემთხვევასთან დაკავშირებულ კონკრეტულ მოსაზრებას და ავსებენ ფორმას. შევსებული ფორმა განსახილველად წარედგინება იმიტირებულ სასამართლოს, რომელიც მოსაზრებას განიხილავს და შესთავაზებს დასკვნას.

ბ. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ადგენენ კითხვარს და გამოკითხვას ატარებენ თემში ხელისუფლების შტოების, მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილების შესახებ ცოდნის დასადგენად. არსებული კვლევის საფუძველზე კი ამზადებენ პრეზენტაციას, შეიმუშავენ რეკომენდაციებს და შექმნიან და გაავრცელებენ ბუკლეტს ხელისუფლების შტოების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად თემში.

გ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ კაზუსი და გააგზავნონ <http://teen.court.ge> ვებგვერდზე არსებული [ფანჯრის](#) გამოყენებით.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

3. საკითხი: მასმედია - „მეოთხე ხელისუფლება“ (3 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გაიაზრებენ: „მეოთხე ხელისუფლების“ როლს დემოკრატიის განვითარებაში; მედიასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას ადგილობრივი/გლობალური პრობლემების გადასაჭრელად; შეძლებენ მედიასთან თანამშრომლობას და საკუთარი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელებისას დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებას.

საკვანძო შეკითხვები:

რა არის „მეოთხე ხელისუფლება“?

რა მნიშვნელობა აქვს მედიას დემოკრატიის განვითარებისთვის?

რა ფუნქციები აქვს მედიას?

როგორ შეიძლება, ვითანამშრომლოთ მედიასთან?

თემატური ცნებები:

- „მეოთხე ხელისუფლება“
- მედიასთან თანამშრომლობა
- სოციალური მედიის როლი
- მედიის გავლენა

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სიტყვა [მედიის](#) ერთ–ერთ განმარტებას აცნობს: „მედია, შეიძლება, განვიხილოთ, როგორც წარმოება, საზოგადოებრივი სამსახური და აგრეთვე, პოლიტიკური ინსტიტუტი“ და სთხოვს, ისაუბრონ, თუ როგორ ესმით მედიის ეს სამმაგი ბუნება.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოამზადონ პრეზენტაცია მედიის ერთ–ერთი ფორმის (ტელევიზია, რადიო, კომპიუტერი, ბილბორდზე რეკლამა, ჟურნალი, წიგნი, გაზეთი და სხვ.) შესახებ და კლასს გაუზიარონ.

აქტივობა

მოსწავლეები მათთვის საინტერესო საკითხს შეარჩევენ. მასწავლებლის დახმარებით შეადგენენ კითხვებს ინტერვიუსთვის. ჯგუფებად დაყოფილები სიუჟეტს ამზადებენ შერჩეული საკითხის ირგვლივ და კლასს უზიარებენ.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის მედია რესურსი შეარჩიონ. მოსწავლეები რესურსის მნიშვნელობაზე მსჯელობენ და ფაქტსა და მოსაზრებას განასხვავებენ.

აქტივობა

მოსწავლეები მათთვის სასურველი ფორმატით, მათთვის საინტერესო საკითხზე (სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ.) მედიამიმართვას ამზადებენ.

აქტივობა

მოსწავლეები მოიძიებენ მედია რესურსებს, სადაც აღწერილია ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა და პრეზენტაციას ამზადებენ ამ საქმიანობის მიზნისა და მიღებული შედეგების შესახებ.

აქტივობა

მოსწავლეები გონებრივი იერიშის გზით ცდილობენ, პასუხი გასცენ კითხვას: როგორ შეიძლება მედიის გამოყენება ინფორმაციის არასწორად წარმოსაჩენად? მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აუხსნას მოსწავლეებს, რომ მათ, როგორც აქტიურმა მოქალაქეებმა, უნდა შეძლონ მედიის მიერ გადმოცემული ინფორმაციის ანალიზი. მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოს „თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“ [მოსწავლის წიგნში](#) მოცემული დავალება 5.4 (გვ. 53–55).

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, პრეზენტაცია მოამზადონ მედიის უახლეს ტექნოლოგიებზე (რომელიც, შესაძლოა, თავად არ იცოდეს).

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ შემდეგი კითხვების ირგვლივ:

- საკუთარი სატელევიზიო შოუ რომ გქონდეთ, როგორი იქნებოდა?

- საკუთარი რადიოსადგური რომ გქონდეთ, როგორ გადაცემებს, როგორ მუსიკას, როგორ საინფორმაციოს შესთავაზებდით მსმენელს?
- რაზე ისაუბრებდით საკუთარ პოდკასტში?
- საკუთარი ვებგვერდი რომ გქონდეთ, როგორი იქნებოდა?

აქტივობა

მოსწავლეები ქმნიან პოსტერებს, რომელიც ასახავს:

მედიის როლს მათ ცხოვრებაში;

მედიის ცნობიერ და არაცნობიერ გავლენას;

მედიის მიერ გადმოცემული შინაარსის მათეულ ანალიზს (მაგ., ნახონ სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ გაშუქებული ერთი და იგივე ამბავი და შეაფასონ, რა აკლია თითოეულს იმისათვის, რომ ჩაითვალოს სრულყოფილად და ობიექტურად გაშუქებულად – გამოიკითხა თუ არა ყველა მხარე, თანაბარი დრო დაეთმო თუ არა სხვადასხვა მხარეს და ა.შ.);

მედიაში წარმოდგენილ სტერეოტიპულ და არასწორ შეხედულებებს;

მედიასთან დაკავშირებულ საფრთხეებს.

იმართება მსჯელობა პოსტერებში წარმოდგენილი მოსაზრებების ირგვლივ.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოს [წამის მეასედი](#) (One Hundredth of a Second), რომლის შემდეგ მსჯელობა იმართება ზნეობრიობაზე მედია საქმიანობაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებელს, შეუძლია, გამოიყენოს სახელმძღვანელოები:

"თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან" [მასწავლებლის წიგნი](#) და [მოსწავლის წიგნი](#), © Project Harmony, Inc., 2018;

"მედია და ინფორმაციული წიგნიერების სწავლება", © 2019, მედიის განვითარების ფონდი <http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/105>

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით კითხვარს ადგენენ ადგილობრივი თემის საჭიროების დასადგენად; გამოკითხვას ატარებენ თემში საჭიროების განსაზღვრის მიზნით; პრეზენტაციას ამზადებენ მათთვის სასურველი მედიაფორმატით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს წარუდგენენ. შემდეგ მასთან ერთად გეგმავენ საჭიროების დაკმაყოფილებისა და მასში საკუთარი წვლილის (მონაწილეობის) შეტანის გზებს. შესაძლებელია, ვურჩიოთ მოსწავლეებს, რომ თავიანთი კვლევის პრეზენტაციაზე და ადგილობრივ თვითმმართველობაში შეხვედრაზე მედია მოიწვიონ.

ბ. მოსწავლეები ამზადებენ კვლევას მედიის სხვადასხვა ფორმის განვითარების შესახებ, რომელსაც მათთვის სასურველი მედიაფორმატით წარუდგენენ კლასს/სკოლას.

გ. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები იწვევენ ან სტუმრობენ ერთ–ერთს: ჟურნალისტს, გაზეთის რედაქტორს, ახალი ამბების წამყვანს, სატელევიზიო გადაცემის პროდიუსერს. ამ შეხვედრის მიზანია, მედიის წარმომადგენელმა მოსწავლეებთან ერთად განიხილოს, თუ რა წესების დაცვით უნდა უზრუნველყოს მედიასაშუალებამ ან ჟურნალისტმა მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის. მოსწავლეები წინასწარ ჩაინიშნავენ მათთვის საინტერესო საკითხებს. იმართება დიალოგი. შეხვედრის შემდეგ მოსწავლეები, მათთვის სასურველი მედიის გამოყენებით, ინფორმაციას ამზადებენ შეხვედრის შესახებ და უზიარებენ კლასს/სკოლას.

დ. მოსწავლეები სასურველ თემატიკაზე ქმნიან მედიარესურსს (პოსტერი, ფოტო, ბლოგი, ვიდეო, ანიმაცია, გაზეთი, და ა.შ.) და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, საკუთარი ნამუშევრების გამოფენას გეგმავენ.

ე. დაურიგეთ მოსწავლეებს სხვადასხვა სახის ჟურნალი; სთხოვეთ, მოძებნონ სასურველი სარეკლამო განცხადება და პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს:

- რა ფერები, განლაგება, განათება ან ელემენტებია გამოყენებული რეკლამაში?
- რისი რეკლამაა?
- რა არის რეკლამის მთავარი სათქმელი?
- რა მიზანს ემსახურება რეკლამა?
- რატომ იყენებს ავტორი კონკრეტულ ხერხს?
- რა ღირებულებებს ემსახურება რეკლამა?
- რა ემოციებს იწვევს რეკლამა?

თითოეული ჯგუფი საკუთარ მოსაზრებას წარადგენს.

სთხოვეთ მოსწავლეებს, დარიგებული ჟურნალებისა და სხვა რესურსების გამოყენებით შექმნან რეკლამა, რომელიც საზოგადოებაში გავრცელებული რომელიმე სტერეოტიპის (ქალს უკეთ გამოსდის საოჯახო საქმე; მამაკაცი უფრო ძლიერია; ქალს სინაზე შეენის, მამაკაცს – უხეშობა და სხვ.) დამსხვრევას ემსახურება. მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ, თუ რა ემოციებს იწვევს მათში ჯგუფების მიერ შექმნილი რეკლამა.

ამ აქტივობას, სასურველია, სარეკლამო კომპანიის წარმომადგენელიც დაესწროს, რომელიც მოსწავლეთათვის მნიშვნელოვან კითხვებს უპასუხებს.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

4. საკითხი: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება (3 საათი)

საკითხის მიზნები: მოსწავლეები გაიაზრებენ: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობას და იზრუნებენ მის დაცვაზე; ასევე, მედიის როლს საგზაო უსაფრთხოების დაცვის საქმეში; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნიან რესურსს, რომელიც უსაფრთხო მოძრაობის კულტურის განვითარებას შეუწყობს ხელს; შეძლებენ საგზაო უსაფრთხოების სფეროში ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და სამოქალაქო აქტივობების განხორციელებას ამ მიმართულებით.

საკვანძო შეკითხვები:

რა არის საგზაო უსაფრთხოება?

რა სამართლებრივი რეგულაციები არსებობს საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით?

რა როლს ასრულებს მედია საგზაო უსაფრთხოების დაცვაში?

რა შეგვიძლია გავაკეთოთ საგზაო უსაფრთხოებისთვის?

თემატური ცნებები:

- საგზაო მოძრაობა
- უსაფრთხოება
- მედიის როლი საგზაო უსაფრთხოების დაცვაში
- კანონმორჩილება და საგზაო უსაფრთხოება

ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებელს, შეუძლია, გამოიყენოს შემდეგი რესურსები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე არსებული რესურსი [საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება](#);

ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალზე არსებული [საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება](#);

[კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ](#);

[შსს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდი](#);

[112-ის ვებგვერდი](#);

[საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდი](#).

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას:

აქტივობა

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ქმნიან კითხვარს და ატარებენ მოქალაქეთა ვიდეოანკეტირებას ე.წ. „შავი წერტილების“ - ავარიასაშიში საგზაო მონაკვეთების გამოვლენა-იდენტიფიცირების მიზნით. კვლევის ანალიზის შედეგებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს უზიარებენ.

აქტივობა

მოსწავლეები ამზადებენ მედიარესურსს საგზაო უსაფრთხოების კუთხით სკოლის/თემის ცნობიერების ასამაღლებლად.

აქტივობა

მოსწავლეები ახორციელებენ წინასწარ დაგეგმილ კამპანიას საგზაო უსაფრთხოების წესების პოპულარიზაციის (ზებრაზე გადასვლა, საფეხმავლო ხიდი თუ მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობა, ფეხით, საზოგადოებრივი ტრანსპორტითა და ველოსიპედით მოძრაობის წესების დაცვა და ა.შ.) მიზნით.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ [112-ის](#) ვებგვერდზე „მთავარის“ ფანჯარაში არსებულ ინფორმაციას – „1 ზარი =3 დახმარება“, „საქართველოს მასშტაბით“, „112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისი“, „112-ის მობილური აპლიკაცია“; მათთვის სასურველი ფორმატით მოამზადონ პრეზენტაცია და გაუზიარონ კლასს/სკოლას.

აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მათთვის სასურველი მედიაფორმატით პრეზენტაცია მოამზადონ მათთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს [მომსახურების სააგენტოს](#) ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ვებგვერდზე მოცემულ სტატისტიკას „[საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკა 2013-2016 წლებში](#)“ და ქმნიან პიქტოგრამას, რომელიც, მათი აზრით, საკვანძო მოსაზრებებს ასახავს.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უსაფრთხო მოძრაობის შესახებ საუბარს სთავაზობს, სადაც ხაზგასმული იქნება შემდეგი საკითხები:

- რა შეიძლება გაკეთდეს მძღოლების კანონმორჩილების გაუმჯობესების თვალსაზრისით?
- რატომ არის მნიშვნელოვანი უსაფრთხოების ქამრის, დამცავი ტანსაცმლისა და ჩაფხუტის ტარება მანქანის/მოტოციკლეტის მართვისას?
- რა საფრთხის მატარებელია ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მოხმარება მძღოლისთვის?
- საჭიროა თუ არა სარეკლამო კამპანიების წარმოება საგზაო უსაფრთხოების გაზრდის მიზნით? რატომ?
- საჭიროა თუ არა კანონმდებლობის გამკაცრება საგზაო უსაფრთხოების გაზრდის მიზნით? რატომ?
- რომელი უფრო ეფექტურ გზად გეჩვენებათ, სარეკლამო კამპანია თუ კანონების გამკაცრება? რატომ?
- რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანებმა გააცნობიერონ საფრთხეები და უფრო უსაფრთხო ჩვევები გამოიმუშაონ?

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ადგენენ კითხვარს, რომლის საშუალებით ადგილობრივი გზების უსაფრთხოების მდგომარეობას (საგზაო ნიშნები, გზებზე არსებული სიჩქარის ბარიერები, ზებრა გადასასვლელი, ორმოები გზაზე და სხვ.) შეისწავლიან. გამოკითხვას ატარებენ თემში და მათთვის სასურველი მედიასაშუალებით ამზადებენ პრეზენტაციას, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს წარუდგენენ. შემდეგ მასთან ერთად გეგმავენ გზის კონკრეტული მონაკვეთის უსაფრთხოების დაცვის და მასში საკუთარი წვლილის (მონაწილეობის) შეტანის გზებს.

ბ. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ამზადებენ შეხვედრას და შეხვედრისათვის საჭირო რესურსებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ერთად. შეხვედრის თემა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება იქნება.

გ. სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მოსწავლეები სკოლის ეზოში უსაფრთხო მოძრაობის ღონისძიებას აწყობენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის; შესაბამისი ფერის საღებავებით ხაზავენ გზის სავალ ნაწილს და საგზაო ნიშნებს. შემდეგ იმართება იმიტირებული მოძრაობა, რომლის დროსაც, წინასწარ მომზადებული სცენარის მიხედვით, „სავარაო სიტუაციები“ იქმნება. „მძღოლები“ და „ქვეითები“ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ მოძრაობის გაგრძელებას, თუკი სიტუაციიდან სწორ გამოსავალს შესთავაზებენ მაყურებელს. მოსწავლეები ინიშნავენ მათთვის საინტერესო საკითხებს და შეხვედრის შემდეგ იმართება დიალოგი. მოსწავლეები, მათთვის სასურველი მედიის გამოყენებით, შეხვედრის შესახებ ამზადებენ ინფორმაციას და უზიარებენ კლასს/სკოლას. ამ შეხვედრას, სასურველია, ესწრებოდეს საგზაო უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელიც, რომელიც საკვანძო საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას.

დ. მოსწავლეები ქმნიან საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სასურველ მედიარესურსს (პოსტერი, ფოტო, ბლოგი, ვიდეო, ანიმაცია, გაზეთი, და ა.შ.) და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, საკუთარი ნამუშევრების გამოფენას გეგმავენ.

ე. აპლიკაცია <https://learningapps.org/>-ის გამოყენებით მოსწავლეები საკუთარი თანატოლებისთვის ტესტებს მოამზადებენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე.

ვ. მოსწავლეები ქმნიან ვებგვერდს, ვიდეოს, თამაშს, ონლაინგაზეთს და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე მედია კამპანიას აწარმოებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>

5. საკითხი: ენერგოეფექტურობა (3 საათი)

თემის მიზნები: მოსწავლეები გაიაზრებენ: ენერგოეფექტურობის არსს; ენერგოეფექტურობას, როგორც თანამედროვე გამოწვევას ადგილობრივ, ეროვნულ და მსოფლიო დონეებზე; დასახვეწენ ენერგოეფექტურობაზე ზრუნვის გზებს.

საკვანძო შეკითხვები:

რა არის ენერგოეფექტურობა?

რატომ არის ენერგოეფექტურობა თანამედროვეობის მნიშვნელოვანი გამოწვევა?

როგორ შეიძლება ენერგოეფექტურობაზე ზრუნვა ინდივიდის დონეზე?

თემატური ცნებები:

- ენერგოეფექტურობა
- ენერგორესურსები
- მომჭირნე ხარჯვა
- ენერგოეფექტურობის გზები
- ბიომასა
- კლიმატის ცვლილება

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ფიზიკოს ამორი ლოვინსის მოსაზრებას აცნობს, რომლის მიხედვითაც, სულ უფრო და უფრო მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არა მარტო ენერგეტიკული ობიექტების სიმძლავრეების ზრდა უნდა განიხილებოდეს, არამედ ენერგორესურსებზე მოთხოვნილებების ეფექტური მართვაც.

იმართება დისკუსია საკითხზე:

რა არის მოთხოვნილება? (იხ. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=17806>)

რა არის მართვა? (იხ. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7787>)

როგორ ვმართოთ მოთხოვნილებები? (მაგ., მოვიხმართ იმდენი, რამდენიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ისე, რომ სხვასაც მივცეთ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. აქ, შესაძლოა, მოსწავლეებს გავახსენოთ სტივ ჯატსის ანიმაცია [ადამიანი](#))

რა არის ენერგორესურსები, იგივე ენერგეტიკული რესურსები? (იხ. <https://genergynews.wordpress.com/> ვებგვერდზე არსებული [მასალა](#))

რა არის ენერგოეფექტურობა? (იხ. ნაშრომი [ენერგიის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა](#) 2013, გვ. 27)

როგორ ვმართოთ ენერგორესურსებზე მოთხოვნილებები ეფექტურად? (იხ. ნაშრომი [ენერგიის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა](#) 2013, გვ. 25–41).

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ინფოგრაფიკას: [„ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევა 2017 წელი“](#) და სთხოვს, სურვილის შემთხვევაში, სხვა წყაროებიც მოიძიონ, პრეზენტაცია მოამზადონ ენერგორესურსების მომჭირნე ხარჯვაზე და გაუზიარონ კლასს.

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან ბროშურას [„ენერგოეფექტურობა ყოფაცხოვრებაში“](#), საიდანაც მათთვის სასურველ საკითხზე სასურველი მედიასაშუალებით მოამზადებენ მასალას ყოველდღიურ ცხოვრებაში ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების შესახებ.

აქტივობა

მოსწავლეები მათთვის სასურველი ფორმატით ამზადებენ მედიამიმართვას ენერგოეფექტურობის შესახებ.

აქტივობა

მოსწავლეები ეცნობიან ვიდეოს [„რა არის ბიომასა?“](#) (What is Biomass?) და ამზადებენ სასურველი ფორმატის მედიარესურსს, რომელსაც შემდეგ თემში ავრცელებენ.

აქტივობა

მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას [გრეტა თუნბერგის](#) (მოცემული ბმული ერთ–ერთია მრავალთაგან და მოსწავლეები თავისუფალნი არიან წყაროს შერჩევისას) შესახებ და მის საქმიანობას ენერგოეფექტურობის კუთხით განიხილავენ; პრეზენტაციას ამზადებენ ყოველი ადამიანის შესაძლო წვლილის შესახებ რესურსების ეფექტურად გამოყენებაში.

აქტივობა

მოსწავლეები საუბრობენ გრეტა თუნბერგის მოსაზრების შესახებ (რომელიც მისივე ავტორობით გამოცემული წიგნის სახელწოდებაა): „არავინაა ისე პატარა, რომ რამე ვერ შეცვალოს“ და გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს საკუთარი გარემოს უკეთესობისკენ შესაცვლელად ენერგორესურსების რაციონალურად გამოყენებისთვის.

აქტივობა

მოსწავლეები ნახულობენ ვიდეოს [„სახლის აგება პლასტმასის ბოთლებისგან“](#) (House Construction with Plastic Bottles by Samarpan Foundation) და რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და ენერგოეფექტურობის კუთხით აანალიზებენ მას.

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ვიდეოს [„შემაცივრე ნარჩენი“](#), რომლის შემდეგ დისკუსია იმართება თემაზე "ენერგორესურსების ეფექტური გამოყენება და ნარჩენების მართვა".

აქტივობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს "მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის" (WEG)-ის მიერ მომზადებულ ანიმაციას: [„ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში“](#) და სთხოვს, მომავალი შეხვედრისთვის მოსაზრებები მოამზადონ ენერგეტიკული სიღარიბის დამლევის შესაძლო სტრატეგიებზე. კლასის საერთო საუკეთესო სტრატეგიებს მოსწავლეები მათთვის სასურველი ფორმით წარუდგენენ სკოლის თვითმმართველობას, ხოლო შემდეგ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გაუგზავნიან.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებები:

3–4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შემდეგი კომპლექსური დავალებებიდან ვთავაზობთ ერთ–ერთს:

ა. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით კითხვარს ადგენენ სკოლაში ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესასწავლად (მაგ., ხომ არ რჩება ღამით საკლასო ოთახში ანთებული ნათურა, მზიან დღეს ანთებენ თუ არა შუქს, როდის რთავენ გამათბობლებს, კარგად იკეტება თუ არა ფანჯრები და კარები და ა.შ.). კვლევის შედეგებს პრეზენტაციის სახით აცნობენ სკოლის ადმინისტრაციას და პრობლემის გადაჭრის გზებზე ერთობლივად მსჯელობენ.

ბ. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით კითხვარს ადგენენ ადგილობრივ თემში ენერგორესურსების მოხმარების დასადგენად; ატარებენ კვლევას; მათთვის სასურველი ფორმატით ამზადებენ პრეზენტაციას და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს წარუდგენენ. მასთან ერთად გეგმავენ ენერგოეფექტურობის გაზრდისა და მასში საკუთარი წვლილის (მონაწილეობის) შეტანის გზებს.

გ. მოსწავლეები სასურველი ფორმატით ამზადებენ ინფორმაციას ბიოსაწვავის (მყარი, თხევადი, ბიოგაზი) შესახებ და წარუდგენენ კლასს/სკოლას; შეხვედრაზე გაზიარებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ინფორმაციას საბოლოო სახეს აძლევენ და ამზადებენ პოსტერებს, ბუკლეტებს ან სხვა სასურველ თვალსაჩინოებას ბიოსაწვავის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად თემში.

დ. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები იწვევენ ან სტუმრობენ გარემოსდაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენელს. წინასწარ ჩაინიშნავენ მათთვის საინტერესო საკითხებს ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების გარემოზე გავლენის შესახებ. იმართება დიალოგი. შემდეგ კი მოსწავლეები მათთვის სასურველი ფორმატით ამზადებენ ინფორმაციას შეხვედრის შესახებ და კლასს/სკოლას/თემს უზიარებენ.

ე. მოსწავლეები ქმნიან ვებგვერდს, ვიდეოს, თამაშს, ონლაინგაზეთს და მედიაკამპანიას აწარმოებენ ენერგორესურსების ეფექტურად მოხმარების თემაზე.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კომპლექსურ დავალებას არჩევს, განსაზღვრავს მის მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგიძლიათ, იხილოთ ბმულზე: <http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shefaseba-sazogadoebriv-metsnierebebshi>